
Arabesque
BALLET MA
E
ბალეტზე
№2(15)'10
ვახტანგ ჭაბუკიანი
Vakhtang Chabukiani
100




KSB ქორ სტანდარტ ბანკი

55 00 00 www.KSB.ge

გონივრული ალტერნატივა

# ბრავო! ბრავო! ბრავო!

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გენერალური სპონსორი



**ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები**
**LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET**

სეზონი 2010/2011 SEASON

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი ჭირაქაძე და სარა ვილიამსონი<br>George Chirakadze and Sarah Williamson | ოქრო<br>Gold |
| 2. | ნეილ და მიშელ დანნები<br>Neil and Michele Dunn | ოქრო<br>Gold |
| 3. | პერ და ულა ეკლუნდები<br>Per and Ulla Lindhe Eklund | ოქრო<br>Gold |
| 4. | მასაიოში და ჯუნკო კამოჰარები<br>Masayoshi and Junko Kamohara | ოქრო<br>Gold |
| 5. | ფილიპ დუვეზი<br>Philippe Limet Dewez | ოქრო<br>Gold |
| 6. | კაროლინ ფორისტირი<br>Caroline Forestier | ოქრო<br>Gold |
| 7. | ელვირა სანდალი<br>Elvira Sandalli | ოქრო<br>Gold |
| 8. | მაიუმი ინო<br>Mayumi Iino | ვერცხლი<br>Silver |
| 9. | ივან იესტრაბი<br>Ivan Jestrab | ვერცხლი<br>Silver |
| 10. | ლია მაჭავარიანი<br>Lia Machavariani | ვერცხლი<br>Silver |
| 11. | ჯინჯერ მინგესი<br>Jinjer Minges | ვერცხლი<br>Silver |
| 12. | მერილის სევილა-გონზაგა<br>Merylis Sevilla-Gonzaga | ვერცხლი<br>Silver |
| 13. | იზუმი ტაკაჰაში<br>Izumi Takahashi | ვერცხლი<br>Silver |
| 14. | კარენ ვოლფსონი<br>Karen Wolfson | ვერცხლი<br>Silver |

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:
**For additional information, please call:**

(995 32) 99 93 64

# ქართული ბალეტის
## მეგობართა საზოგადოება

გთხოვთ გაწევრიანდეთ *ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში*, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი და ლილი ჰაუფი.

საპატიო დამფუძნებლები არიან: მეიდა მაკლარენი და ინა გუდავაძე

მმართველობითი საბჭოს წევრები არიან: ელვირა პიეტრა-როა სანდალი – თავმჯდომარე; ლია მაჭავარიანი – თავმჯდომარის მოადგილე.

მმართველობითი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე: მარიელა ს. ტეფტი

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: SILVA AKOPIAN, LILY HAUF, IRINA KHOMERIKI, LIA MACHAVARIANI and ELISABED SAGARADZE.

Honorary founders are: MAIDA MACLAREN and INNA GUDAVADZE.

Members of the Governing Board are: ELVIRA PIET-RAROIA SANDALI, Chairman; LIA MACHAVARIANI, Deputy Chairman.

Honorary Chairman is: MARIELLA C. TEFFT

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre DAVID SAKVARELIDZE.

*Friend of*
# THE GEORGIAN BALLET







ISSN 1512-3294

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორი

სილქლაინი თქვენი სახლის ტელეფონი
სილქკომი მაღალი სიჩქარის ინტერნეტი
სილქტელი თქვენი უკაბელო ტელეფონი
სილქტივი ახალი თაობის ინტერაქტიული ტელევიზია

სილქლაინი SILKLINE
სილქკომი SILKCOM
სილქტელი SILKTEL
სილქტივი SILKTV

www.silknet.com

# Arabesque

№2(15)'10

Ballet Magazine

„არაბესკი" ჟურნალი ბალეტზე






ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

**გამოდის წელიწადში ორჯერ** | **Issued twice a year**

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
**ნინო ანანიაშვილი**

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
**NINA ANANIASHVILI**

| | |
|---|---|
| **მთავარი რედაქტორი** | **Editor-in-Chief** |
| **ილია თავბერიძე** | **ILIA TAVBERIDZE** |
| ინგლისური ტექსტების რედაქტორი | Editor of the English language version |
| თორნიკე ხომერიკი | TORNIKE KHOMERIKI |
| დიზაინი | Design by |
| ბესიკ დანელია | BESIK DANELIA |
| ფოტოგრაფი | Photographer |
| ლადო ვაჩნაძე | LADO VACHNADZE |

ჟურნალში გამოყენებულია საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის, ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის, ნინო ანანიაშვილის და ბალეტის მსახიობთა პირადი არქივის ფოტოები

The photographs used are presented from the arhives of the Museum of Theatre, Film, Music and Choreography of Georgia; the Vakhtang Chabukiani Museum; the Opera and Ballet Theatre Museum; the private archives of Nina Ananiashvili and the ballet artists.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA
ტელ/TEL: +995 32 99 93 64

**დაიბეჭდა შპს სეზანში**
**წერეთლის გამზირი 140, ტელ: 357002**
**ელ-ფოსტა: brola@cezanne-web.com**
**ტირაჟი: 500**

UDC(უაკ)792.8
A-70
ISSN 1512-3294

www.ballet.ge



**04** თარიღი · DATE
ვახტანგ ჭაბუკიანი - 100
VAKHTANG CHABUKIANI - 100

**07** ტატიანა ვეჩესლოვა
ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად
WITH VAKHTANG CHABUKIANI
TATYANA VECHESLOVA

**10** ვერა წიგნაძე
ჯადოქარი
THE WIZARD
VERA TSIGNADZE

**13** ეთერ ფაღავა
უბადლო პარტნიორი
AN INCOMPARABLE PARTNER
ETER PAGHAVA

**16** ვერიკო ანჯაფარიძე
ვახტანგ ჭაბუკიანი
VAKHTANG CHABUKIANI
VERIKO ANJAPARIDZE

**18** მიხეილ ლავროვსკი
ვახტანგ ჭაბუკიანი
VAKHTANG CHABUKIANI
MIKHAIL LAVROVSKY

**22** კოტე მახარაძე
ცეკვის ჯადოქარი
WIZARD OF DANCE
KOTE MAKHARADZE

**27** ჯილდო · AWARD
დაჯილდოვდნენ ჭაბუკიანის მედლით
AWARDED THE VAKHTANG CHABUKIANI MEDAL

**28** BALLET NEWS

**30** პრემია · AWARD
ვარსკვლავი „ვარსკვლავებს“
STAR FOR THE STARS







30

33
თორნიკე ხომერიკი
ნინო გოგუა: „ვეცდები კვლავაც გაგახაროთ“
NINO GOGUA: "DOING MY BEST TO MAKE YOU HAPPY"
TORNIKE KHOMERIKI

35
თორნიკე ხომერიკი
დევიდ ჰოლბერგი: „ჩემი კარიერა მრავალფეროვანი გახდა“
DAVID HALLBERG: "ANOTHER RICH EXPERIENCE FOR MY CAREER"
TORNIKE KHOMERIKI

39
BALLET NEWS

გასტროლები · TOURS
42
ამომავალი მზის ქვეყანაში
THE RISING SUNIN COUNTRY OF

44
კეიკო ნაკამურა
პრიმა ბალერინას ნათელი, გამორჩეული ფიგურა
VIVID, OUTSTANDING PRESENCE OF A PRIMA BALLERINA
KEIKO NAKAMURA

46
იპეი ფუკუდა
დიდი, შთამბეჭდავი წარმოდგენა ფერია ნინოსაგან
FROM FAIRY NINA, SUPREME PERFORMANCES
IPPEI FUKUDA

48
სპოლეტოსა და ჯეიკობს ფილოუს ფესტივალებზე
AT THE SPOLETO AND JACOB'S PILLOW FESTIVALS

50
კლაუდია ლა როკო
დასი, რომელიც სასიამოვნო თავგადასავლებს გთავაზობთ
FLIRTATIOUS BUNCH, INSTIGATING PLAYFUL ADVENTURES
CLAUDIA LA ROCCO

52
ჯანინ პარკერი
ბალერინა და დასი, რომელიც გაიზარდა
A BALLERINA AND A TROUPE GROW UP
JANIN PARKER

პრემიერა · PREMIERE
56
სოფო კილასონია
სიცოცხლე მოძრაობაში
LIFE IN MOVEMENT
SOPHO KILASONIA

დიდი სახელები · THE GREAT NAMES
62
ილია თავბერიძე
ბალეტის „შავი მარგალიტი“ – თამარა თუმანოვა
THE BLACK PEARL OF BALLET – TAMARA TOUMANOVA
ILIA TAVBERIDZE

67
დასი
THE COMPANY

68
BALLET NEWS





56


### შეცდომების გასწორება / CORRECTION

არაბესკის 2010 წლის №1-ში დაშვებულია ორი უზუსტობა:

51 გვ. – სურათის წარწერა უნდა იკითხებოდეს ასე: კასიო – გურამ კუკულაძე
52 გვ. – მეოთხე აბზაცის მეოთხე წინადადებაში ბალეტ „ბაიადერას“ ნაცვლად უნდა ეწეროს ბალეტი „რაიმონდა“.

The *Arabesque* issue No.1 of 2010 contains two inaccuracies:

Page 51 – the picture caption should read: *Casio – Guram Kukuladze*
Page 52 – paragraph 4, line 4 –instead of *La Bayadere*, the ballet *Raymonda* should be listed.

UNESCO

United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერების და
კულტურის ორგანიზაცია

**100th Anniversary of the birth of Vakhtang Chabukiani**
Celebrated in association with UNESCO

**ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლის იუბილე**
აღინიშნება იუნესკოს მონაწილეობით



ვახტანგ ჭაბუკიანი ასი წლის გახდა.

ჩვეულებრივ საქართველოში უყვართ იუბილეების პომპეზური აღნიშვნა. ჩატარდება საღამოები, კონცერტები, გამოვა წიგნები....

წელსაც ასე იქნება...

ჭაბუკიანის იუბილეს, საქართველოს მთავრობის წინადადებით, მხარი დაუჭირა იუნესკომ და 2010 წელს მსოფლიოში აღსანიშნავ მნიშვნელოვან ღონისძიებათა ჩამონათვალში შეიტანა.

მაგრამ საიუბილეოდ მთავარი მაინც ჭაბუკიანის ფენომენის შეფასებაა, იმ დამსახურების აღნიშვნა, რომელიც მას მიუძღვის ქართული და მსოფლიო ბალეტის წინაშე!

ვინ იყო იგი, მხოლოდ გენიალური მოცეკვავე თუ გენიალური ქორეოგრაფიც?

რამდენად იცნობს მსოფლიო საბალეტო სამყარო მის მემკვიდრეობას?

ახლანდელ თაობას, ვისაც ჭაბუკიანი სცენაზე არ უნახავს, მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ვიდეო-ჩანაწერის მიხედვით შეუძლია მსჯელობა. მაგრამ მისი თანამედროვენი ამბობენ, რომ ამ ჩანაწერებიდანაც კი არ შეიძლება იმსჯელო ჭაბუკიანის ფენომენზე, რადგან ისინი უფრო გვიანი პერიოდისაა. თუმცა აქაც ჭაბუკიანი შესანიშნავ ფორმაშია.

ვახტანგ ჭაბუკიანზე რომ დაახლოებითი წარმოდგენა შეგვექმნას, უნდა მოუსმინო მის თანამედროვეებს, მის პარტნიორებს, მის მოსწავლეებს...

საიუბილეო ნომრის მასალებიც ამ პრინციპით შევარჩიეთ. ყველა მათგანი სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებშია დაბეჭდილი. ზოგი ადრინდელი პერიოდისაა, რამდენიმე კი სულ ბოლო წლებშია გამოქვეყნებული. მთლიანობაში მათი გაცნობა გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს გენიალური მოცეკვავისა და ქორეოგრაფის – ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ:

Vakhtang Chabukiani – 100.

Usually anniversaries are celebrated big in Georgia. Monuments are unveiled, evenings and concerts take place, books are published...

This year will be the same.

Based on the proposition by the Georgian government, the UNESCO has included the Chabukiani anniversary in the 2010 international significant dates' list.

Although the most important point on the anniversary agenda is to assess the Chabukiani phenomenon, to mark his merit to the Georgian and world ballet.

Who was he – a genius of dance only, or a genius of choreography too?

How well does the ballet world know his legacy?

The generation who has not seen Chabukiani on stage may judge him from the few films left to our days, although his contemporaries say he is not to be assessed by them, as the tapes depict the later period – although he is seen in a brilliant shape there too.

To picture Chabukiani one must listen to his partners and students… And we prepared the anniversary issue materials according to this principle. All of the articles were printed at various times in magazines, papers and books. Some of them date quite far back, while others were published just a short time ago. Delving in these materials, the readers will create an impression about the legendary dancer and choreographer for themselves.



# აი, მათი ავტორები:
## THE AUTHORS OF THE MATERIALS ARE:

**ტატიანა ვეჩესლოვა** ჭაბუკიანის ერთ-ერთი პირველი პარტნიორი იყო. სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის პრიმა-ბალერინასთან ერთად იგი თბილისში პირველად სწორედ მასთან ერთად ჩამოვიდა გასტროლზე.

**Tatyana Vecheslova** one of the first partners of Chabukiani; she was the Prima Ballerina of the Mariinsky Theatre of St. Petersburg when partnering Chabukiani in his first tour to Tbilisi.

---

**ვერა წიგნაძე,** რომელთანაც არის დაკავშირებული ჭაბუკიანის ყველა დიდი გამარჯვება ქართულ ბალეტში. იგი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე მისი უცვლელი პარტნიორი და ერთგული მეგობარი იყო.

**Vera Tsignadze** the dancer with whom all of Chabukiani's great achievements in the Georgian ballet are tied to. His long time Tbilisi Opera and Ballet Theatre stage partner, as well as a close friend.

---

**ეთერ ფაღავა** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, რომელიც ემიგრაციაში, პარიზში გახდა ცნობილი ბალერინა და ჰქონდა პატივი თბილისში ეცეკვა ვახტანგ ჭაბუკინათან ერთად.

**Ether Paghava** the granddaugther of Noe Zhordania, the first president of Georgia, becoming a popular ballerina while in emigration to Paris, and dancing with Vakhtang Chabukiani in Tbilisi.

---

**ვერიკო ანჯაფარიძე** ქართული თეატრის დიდი მსახიობი, რომელშიც უდიდეს შთაგონებას იწვევდა ჭაბუკიანის სცენაზე ხილვა.

**Veriko Anjaparidze** the great artist of the Georgian theatre, deeply impressed by Chabukiani on stage.

---

**მიხეილ ლავროვსკი** გენიალური მოცეკვავე და ჭაბუკიანის პირველი პარტნიორის – ელენე ჩიკვაიძის შვილი, თბილისში სპეციალურად ჩამოდიოდა და ემზადებოდა ვახტანგ ჭაბუკიანთან. შემდგომში მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერს და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს (1983-85) დიდი მეგობრობა აკავშირებდა ჭაბუკიანთან.

**Mikhail Lavrovsky** the legendary dancer and the son of Elene Chikvaidze, the first partner for Chabukiani. Periodically arrived in Tbilisi to prepare with the Georgian virtuoso. The Moscow Bolshoi Theatre Principal and the Artistic Director of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre ballet company (1983-85), he was in close friendship with Chabukiani.

---

**კოტე მახარაძე,** რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელის უკვდავყოფისათვის. მას ეკუთვნის ფილმი „ცეკვის რაინდი“, რომელმაც უნიკალური ვიდეოჩანაწერები და მოგონებები შემოგვინახა ჭაბუკიანის შესახებ.

**Kote Makharadze** the well-known public figure, contributing a lot to the popularization of Chabukiani's name. Author of the Knight of Dance film that preserved to us some unique tapes and memories of Chabukiani.

# ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად
# With Vakhtang Chabukiani

**ტატიანა ვეჩესლოვა**
**TATYANA VECHESLOVA**

*წიგნიდან „მე ბალერინა ვარ“. ნ. გურაბანიძის თარგმანი. იბეჭდება შემოკლებით*

*From the book "I'm a Ballerina". Translation by N. Gurabanidze. Published in short*

მაშინ ჯერ კიდევ ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე ვიყავი, როცა საღამოს კურსების კონცერტს დავესწარი.

დამამახსოვრდა თბილისიდან ჩამოსული ქერათმიანი ჭაბუკის გამოსვლა. ეს იყო ვახტანგ ჭაბუკიანი. იგი ცეკვავდა „ცეცხლის ცეკვას", რომელიც მასვე დაედგა.

უკვე მაშინაც კი განსაცვიფრებელი იყო მისი ნიჭის უჩვეულო ძალა. ყველა აღტაცებული იყო ჭაბუკი ვახტანგის შესანიშნავი აგებულებით – საშუალო სიმაღლე, ზომიერად გაშლილი მხარ-ბეჭი, ვიწროდ გამოყვანილი წელი და საკვირველად ლამაზი ფეხები, რომელზედაც კუნთები რაიმე ზედმეტი დამუშავების გარეშე რბილად იკვეთებოდნენ... პატარა ტერფი, ხელის მეტყველი მტევანი, კოხტად მორგებული პატარა თავი... მაგრამ როგორც კი ცეკვას იწყებდა, იგი ჩვენს თვალწინ იზრდებოდა, მისი ტანი თით-ქოსდა მაღლდებოდა. მის ცეკვას წარმოუდგენელი შინაგანი ექსპრესია წარმართავდა. და თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ სრულქმნილი არ იყო, ამ დროსაც კი უკვე საცნაური იყო მისი ცეკვის პროფესიონალურობა.

ვახტანგი ძალზე სწრაფად მიიწევდა მწვერვალე-ბისკენ. მისმა პირველივე გამოსვლამ ბალეტ „დონ კიხოტში“ განაცვიფრა ლენინგრადი.

ახალგაზრდა ჭაბუკიანზე უმალ ალაპარაკდა მთელი ქალაქი, მაგრამ ვახტანგს ამის გამო თავბრუ არ დასხმია. ჩვენ ყველას გვიკვირდა მისი შრომისმოყვარეობა, გვაოცებდა მისი სურვილი ცეკვაში ჩაექსოვა ყველაფერი ის, რისი გამოხატვაც ადამიანის სხეულს ძალუძს.

I was still student of the choreographic school when I attended an evening course concert.

The performance that got into my memory straight away was the one by a blonde young boy from Tbilisi. This was Vakhtang Chabukiani, performing the *Fiery Dance*, staged by himself. His extraordinary talents were amazing even back then. Everyone was in awe of young Vakhtang's brilliant physique – moderate height, wide shoulders, narrow waist



ტატიანა ვეჩესლოვა და ვახტანგ ჭაბუკიანი
TATYANA VECHESLOVA AND VAKHTANG CHABUKIANI

and surprisingly beautiful feet, with muscles shaping on it without any artificial strain… small foot, articulate hands, well-shaped head... Although he would grow in height in front of our eyes just as he started to dance. His dancing was inspired by inner expression beyond imagination. Although not everything was yet perfect back then, professional nature of his dance was already apparent.

Vakhtang's ascend to success was rapid. His debut *Don Quixote* performance in Leningrad captured the audience, and the entire city was full of talk about the young Chabukiani, although his feet remained firmly on ground. We were all amazed by his work rate and degree of wish to express all the possibilities of human body in dancing. Many witnessed him working on especially difficult and unknown movements during the pauses between rehearsals. Vakhtang would search for and compose new combinations, and then amaze the Company with innovatory movements in rehearsals. There was a thunderous applause in the studio when Chabukiani performed the *Don Quixote* variation created by him, for the first time. For some reason people do not remember now that he was the one who created it. Chabukiani's edition toured around the world, performed by the Soviet artists.

Vakhtang would enter the stage during a pause. Even his entrance was seen as dance – he would do a circle that demonstrated challenge. As if his every muscle strived to dance. As the first score from orchestra rang out, his starting pose sent out so much expressive power that the entire hall was rocked by applause, and he had not even started to dance.

His plasticity was perfect – he handled every nuance of classical dance - masculine performance would be followed by a feminine grace, when he, in order to amuse us, would switch to soft female dancing shoes and do the Aurora variations from *The Sleeping Beauty*, doing eight pirouettes on the way. Vaganova, the famous ballet master and pedagogue, would spread her hands and sigh.

Our first partnering took place in Vakhtang's homeland. In 1931 he proposed to do a tour to Tbilisi. *Don Quixote* was the piece for the staging, and he was returning home for the first time, to show what he had learned in Leningrad.

He restored *Don Q* in two weeks, and it had a striking success. Vakhtang conquered Tbilisi. Rumour about a "wonder of nature" spread out after the initial performance.



რეპეტიციებს შორის, შესვენებაზე, ხშირად უნახავთ იგი როგორი გულმოდგინებით ვარჯიშობდა რომელიმე განსაკუთრებულად რთულ მოძრაობაზე, რომელიც მანამდე არავის არ შეუსრულებია.

ვახტანგი ეძიებდა, თხზავდა ახალ კომბინაციებს და მორიგ რეპეტიციებზე მრავალჯერ განუცვიფრებია მთელი დასი აქამდე უნახავი მოძრაობით.

დაუცხრომელი ტაში ქუხდა სარეპეტიციო დარბაზში, როცა ვახტანგ ჭაბუკიანმა პირველად შეასრულა მის მიერ შექმნილი ვარიაცია ბალეტ „დონ კიხოტის" ბოლო მოქმედებაში. ახლა, რატომღაც აღარავის ახსოვს, რომ ამ ვარიაციის შემქმნელი ვ. ჭაბუკიანია. საბჭოთა მსახიობების შესრულებით ვახტანგისეულმა რედაქციამ მსოფლიოს ყველა ქვეყანა შემოიარა.

ვახტანგი პაუზის დროს შემოდიოდა სცენაზე. მისი თვით უბრალო გამოსვლა უკვე აღიქმებოდა როგორც ცეკვა. იგი აკეთებდა წრეს და ამ „გავლაში" იყო დამაჯერებელი გამოწვევა-აღქმა. თითქოსდა თითოეული მისი კუნთი თრთოდა და საცეკვაოდ მიილტვოდა. ორკესტრის პირველსავე ხმებზე იგი ისეთი ექსპრესიულობით იჭერდა პოზას, რომ დარბაზი ტაშით ზანზარებდა, ვახტანგს კი ჯერ ცეკვაც არ ჰქონდა დაწყებული.

მისი პლასტიკა სრულყოფილი იყო. იგი თავისუფლად ფლობდა კლასიკური ცეკვის ყველა ნიუანსს – ვაჟკაცურ მანერას ცვლიდა ქალური გრაცია, როცა იგი, ჩვენს გასართობად, ქალის საბალეტო ჩუსტებს იცვამდა და „მძინარე მზეთუნახავიდან" ავრორას ვარიაციებს ცეკვავდა და რვა-რვა პირუეტს აკეთებდა ფეხის წვერებზე.

სახელგანთქმული ბალეტმაისტერი და პედაგოგი ვაგანოვა გაოცებისაგან ხელებს შლიდა და ოხრავდა.

ჩვენი პირველი გამოსვლა ვახტანგის სამშობლოში შედგა. 1931 წელს მან შემომთავაზა ერთდ წავსულიყავით საგასტროლოდ თბილისში. ვ.ჭაბუკიანს, ჩემი მონაწილეობით, „დონ კიხოტის" დადგმა შესთავაზეს. იგი პირველად ბრუნდებოდა სახლში, რათა თანამემამულეთათვის ეჩვენებინა ის, რაც ლენინგრადში სწავლის დროს შეიძინა.

„დონ კიხოტი" მან ორ კვირაში აღადგინა. სპექტაკლს მქუხარე წარმატება ხვდა წილად. ვახტანგმა დაიპყრო თბილისი. პირველივე გამოსვლისთანავე ქალაქში ხმა დაირხა, რომ გამოჩნდა „ბუნების სასწაული".

შემდეგ იყო გასტროლები. უფრო და უფრო მატულობდა ჩვენი წარმატება. ერთ-ერთ ჩვენს კონცერტზე მოვიდა ამერიკელი იმპრესარიო,

ფირმა „კოლუმბია კორპორეიშენის“ წარმომადგენელი და შემოგვთავაზა საგასტროლო ტურნე ამერიკაში.

ჩვენ დაუქანცავად ვმუშაობდით, თავდაუზოგავად ვემზადებოდით ნიუ-იორკში, „კარნეგი ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში, გამოსვლისათვის.

ამ დარბაზს, ისევე როგორც მილანის „ლა სკალას“ თეატრს, მოსკოვის დიდ თეატრს, ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრს, თავისი საკუთარი, ღირსახსოვარი ისტორია აქვს. მის სცენაზე მრავალგზის გამოსულან კორიფეები: ტოსკანინი, რახმანინოვი, დუნკანი, პავლოვა, შალიაპინი, ჰოროვიცი, ხეიფეცი, კურჩი და სხვები.

ჩვენ გაგვაფრთხილეს: „თუ მსახიობი“ გამოვა „კარნეგი ჰოლში“, ამით უკვე განსაზღვრული იქნება მისი სიდიადე, მაგრამ თუ „ჩავარდა“, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მისი შემდგომი წარმატება ერთობ საეჭვო ხდება“.

„კარნეგი ჰოლში“ პირველ კონცერტზე დარბაზი გაჭედილი იყო. ძნელი იყო ყოველი გამოსვლა. ამერიკელებს – ჩვენგან განსხვავებით – არ უყვართ ნომრებს შორის მოსმენა. მათ ფული გადაიხადეს ბალეტისათვის და სურთ მხოლოდ ცეკვებს უყურონ. ამ სამ წუთში დასვენებას კი არა, კოსტიუმისა და გრიმის გამოცვლასაც ძვლივს ვასწრებდით....

ფრთხილი თავაზიანობით შეგვხვდა მაყურებელი. მაგრამ ნომრიდან ნომრამდე წარმატება უფრო და უფრო იზრდებოდა. დასასრულს კი მაყურებელი ყვიროდა და სკამებს აბრახუნებდა. და უცებ ჩვენ შემოგვესმა გულისწამღები სტვენა. „რა არის ეს“ – შიშით ვიკითხეთ ჩვენ. მაგრამ დაგვამშვიდეს: „ეს აღტაცების ნიშანია, ნუ აღელდებით, თქვენ დაატყვევეთ ამერიკელი მაყურებელი“.

ერთ-ერთ კონცერტზე მოვიდნენ ჩვენი თეატრის ყოფილი მსახიობები – პ. ვლადიმიროვი და ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი ბალეტმაისტერი ჯორჯ ბალანჩინი. ვლადიმიროვმა უთხრა ვახტანგს: „მე რომ თქვენი ნიჭის მეოთხედი მაინც მქონდეს, მთელი მსოფლიო მოიყრიდა მუხლს ჩემს წინაშე“...

გასტროლები გრძელდებოდა – ჩიკაგო, დეტროიტი, ბოსტონი, ლოს-ანჟელესი, სან-ფრანცისკო... შემდეგ გამოვედით იტალიაში, გენუაში. იძულებული გავხდით უარი გვეთქვა „ლა სკალაში” გამოსვლაზე – ვახტანგი გაცივდა და ავად გახდა.

...ნიუ-იორკში მე განსაკუთრებული ძალით ვიგრძენი ვახტანგის მეგობრული სიახლოვე, მისი ბუნების განუმეორებელი თავისებურება.



ᲛᲐᲠᲒᲝ ᲤᲝᲜᲢᲔᲘᲜᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲢᲘᲚᲘᲝ ᲚᲐᲑᲘᲡᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲖᲔ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ. 1974
MARGOT FONTEYN, VAKHTANG CHABUKIANI AND ATTILIO LABIS ON REHEARSAL. JAPAN 1974

This was followed by more touring. More and more success was coming on the way. An impresario from United States, representative of the Columbia Corporation, approached us at one of our concerts and proposed a tour to the States.

We worked tirelessly for our appearance in New York, on the Carnegie Hall stage - the stage which, just like La Scala of Milan, or Kirov Theatre in Leningrad, has its own significant history. Famous names like Toscanini, Rakhmaninov, Duncan, Pavlova, Chalyapin, Horowitz, Heifetz, Curci and others have many times been on this stage.

We had been informed that an actor is already marked by a performance in the Carnegie Hall, although, if they fail there, it would cast doubts over their future success.

Every evening there was in front of packed audience, and it was tough. Unlike us, Americans do not like listening between numbers – they pay for ballet and want to see dancing. We barely managed to change costumes and make up in those three minutes…

The audience met us with careful kindness, but with every number that changed into acknowledgement. There were shouts and knocking on seats close to the final part. And then there was this whistle. We were frightened, and asked what happened, but were told that this was a recognition by the American audience. During one of the evenings the former artists of our theatre – P. Vladimirov and now world famous ballet master George Balanchine – came to us and Vladimirov told Vakhtang: "If I had half your talent, the entire world would be on their knees in front of me"…

Tours went on – Chicago, Detroit, Boston, Los Angeles, San Francisco… Genoa, Italy was next, and we could not manage to appear in La Scala due to Vakhtang being ill.
…I especially experienced Vakhtang's friendship and his extraordinary character in New York.

# ჯადოქარი
# The Wizard

**ვერა წიგნაძე**
**VERA TSIGNADZE**

*საქართველოს სახალხო არტისტი*
*The People's Artist of Georgia*



ვერა წიგნაძე და ვახტანგ ჭაბუკიანი. „ლაურენსია“
VERA TSIGNADZE AND VAKHTANG CHABUKIANI. *LAURENCIA*

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი შეხვედრა ვახტანგ ჭაბუკიანის ხელოვნებასთან. ეს მოხდა ომის დროს. იმხანად ბაქოს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. ვახტანგ ჭაბუკიანი ბაქოში ჩამოვიდა გასტროლზე მარინა სემიონოვასთან ერთად. ჭაბუკიანის გამოსვლამ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი ჯადოქრული ცეკვა, როგორც საოცარი ხილვა, ისე ალიბეჭდა ჩემს ცხოვრებაში. ის, რაც იმ საღამოს ვნახე, არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. ლამის ჭკუიდან შევიშალე.

ვახტანგი ცეკვავდა პა დე დეს „კორსარიდან“, „ცეცხლის ცეკვას“, „ფრინველს“ და სხვა. დღესაც ცხადად მახსოვს მისი ალმაფრენა „ფრინველში“. რა საოცრად ლამაზი იყო ეს ცად აფრენილი პოეზია! თითქოს მიწაზე დაშვებას აღარ აპირებსო. ასე იყო გაჩერებული ჰაერში, ვიდრე არ გაშლიდა, ვიდრე არ მოიქნევდა თავის სასწაულმოქმედ ფრთებს.

ეს იყო აღმაფრთოვანებელი სანახაობა! მაშინვე შედგა ჩემი შეხვედრა ვახტანგ ჭაბუკიანთან. ჩემი პედაგოგი იცნობდა მარინა სემიონოვას. მან გადაწყვიტა წერილით მიემართა მისთვის. ამ წერილში იგი წერდა, რომ მასთან სწავლობს ნიჭიერი ქართველი გოგონა, რომელსაც ყურადღების მიქცევა სჭირდება. ეს წერილი მე თვითონ მივიტანე სასტუმრო „ინტურისტში“. კარი მარინა სემიონოვამ გამიღო. ის და ვახტანგი „კარტს“ თამაშობდნენ... როცა კარი გაიღო ორპირმა ქარმა კორიანტელი დააყენა და „კარტები“ აქეთ-იქეთ მიმოფანტა... დაბნეული ვიდექი... მარინა სემიონოვამ ჩემს თვალწინ წაიკითხა წერილი. მაგრამ ვახტანგს არაფერი არ უთხრა. მე კი ისეთი მორცხვი ვიყავი, რომ ვერაფრის თქმა ვერ შევძელი. არადა უნდა მეთქვა, რომ მეც ქართველი ვარ, რომ ვსწავლობ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, რომ გულით მინდა მისი მფარველობა... ეს ალბათ, აუცილებელი იყო. მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. გულდაწყვეტილი წამოვედი...

და აი, გავიდა რამდენიმე წელი. ამ დროისათვის უკვე დამთავრებული მქონდა ქორეოგრაფიული სასწავლებელი, ორი სეზონის მანძილზე ბაქოს ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვცეკვავდი. ერთ მშვენიერ დღეს,

I will never forget my first touch with the art of Vakhtang Chabukiani. It happened during the war, when I was studying at the Baku Choreographic School and Chabukiani visited the city on tour, with Marina Semenova. His performance impressed me beyond any measure – his wizardry of dance occupied a place in my life like an amazing vision. What I saw that evening will never be erased from my memory. I almost went mad.

Vakhtang was dancing the pas de deux from *Le Corsaire*, *Dance of Fire*, *The Bird* and other roles. I remember his inspired bird vividly even today. It was such a beautiful poetry in the air! It looked like he did not intend to descend from there. He floated in the air before spreading and swinging his wings, and this was an amazing sight! My meeting with him took place at that time. My pedagogue was familiar with Semenova, and decided to address her with a letter about me, writing that there was a talented Georgian girl studying with her that could be taken into attention. The letter was brought by myself to the Intourist hotel. Semenova opened the door. She and Chabukiani were playing cards, which were scattered by the the two-way wind that rushed in upon the opening of the door... I stood confused… Semenova read the letter but did not say anything to Vakhtang, and I was too shy to talk, although I was to say that I was Georgian too, studying at the choreographic school and would be happy if I could have her support. So I went back dissapointed...

Several years passed, and I had graduated from the school, now dancing at the Akhundov Opera and Ballet Theatre of Baku. One day I received a totally unexpected letter from Chabukiani, inviting me to Tbilisi. Thanks to God, he had heard about me.

What could I say?

Chabukiani turned my world upside down, and turned it around. It is difficult to assess what he did for me.

So who is Vakhtang Chabukiani?

He is the wirzard. A wonder that even the greatest professionals have not been able to explain and understand fully. Chabukiani's genius can not be analyzed.



სრულიად მოულოდნელად დეპეშა მივიღე ჭაბუკი-ანისაგან. იგი თბილისში მეძახდა. ღმერთის წყალობით მას თურმე რაღაც ჰქონდა გაგებული ჩემს შესახებ.

აბა რა მეთქმის? ვახტანგ ჭაბუკიანმა თავდაყირა დააყენა მთელი ჩემი ცხოვრება. ძნელია სიტყვებით იმის თქმა, რაც მან ჩემთვის გააკეთა.

მაინც ვინ არის ვახტანგ ჭაბუკიანი? ჯადოქარი. სასწაული, რომლის არსი თვით მაღალი რანგის პროფესიონალებმაც კი ვერ ამოიცნეს, ვერ გაითვითცნობიერეს. ჭაბუკიანის გენია არ ექვემდებარება ანალიზს.

ვახტანგ ჭაბუკიანს თავისი პოზები არასდროს შეუმოწმებია, არასდროს დაუხვეწია სარკის წინ. მას ეს უბრალოდ არ სჭირდებოდა. იგი ბუნებამ შექმნა. ბუნებამ დაანათლა მას ენითაუწერელი სილამაზე და ჰარმონიულობა. იდეალური, სრულქმნილია ჭაბუკიანის სხეული, არაჩვეულებრივ ზემოქმედებას ახდენდა მისი ყოველი მოძრაობა. ყველა და ყველაფერი ცოცხლ-დებოდა, როცა ვახტანგი სცენაზე ჩნდებოდა.

ერთი ლენინგრადელი აკადემიკოს-ბალეტომანი მწერდა: „თქვენ, ალბათ, ვერ ხედავთ რა ხდება სცენაზე, რა ემართებათ არტისტებს, როცა ჭაბუკიანი გამოდის. მაყურებელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“.

დიახ, შეუძლებელი იყო ვახტანგის ცქერა მღელვა-რების, სიხარულის, აღფრთოვანების გარეშე. საოცარი გამოსვლა იცოდა. ჭაბუკიანივით ვერავინ ვერ იდგა, ვერავინ ვერ დადიოდა სცენაზე. დიდებული გამოსვლა ჰქონდა „დონ კიხოტში“ ვარიაციის წინ! იგი უბრალოდ მოდიოდა. მაყურებელთა დარბაზი კი უკვე სუნთქვა შეკრული შეჰყურებდა... და აი, ვახტანგი დაუვიწყარ პოზაშია და სასწაულიც იწყებოდა. ბედნიერება იყო ამის ხილვა!

„ჟიზელი“? ჩვეულებრივ პირუეტებსაც კი ვახტანგი მაღალი ხელოვნების ნიმუშად აქცევდა. გრიგალივით დაჰქროდა, როცა დიდ პირუეტს ასრულებდა. ვერც ერთი ორკესტრი ვერ ეწეოდა. ერთმა ლენინგრადელმა დირიჟორმა გულწრფელად აღიარა: ასეთ თავბრუდამხვევ ტემპში შეუძლებელია დაკვრაო. მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ მომცა შესაძლებლობა შევხებოდი დიდი ჭაბუკიანის ხელოვნებას. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ დღემდე შევინარჩუნე ეს სიყვარული და აღფრთოვანება. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

1990

He never polished his poses in mirror. He did not need to. The nature created his beauty and harmony. His body was perfect, and his each movement had an extraordinary effect. Everything came alive while Vakhtang was on stage.

One academic balletomane from Leningrad wrote: “You probably have not seen what happens to the artists while Chabukiani is performing. And I have not yet mentioned the audience.”

Yes, it was impossible to see Chabukiani without emotion, joy, and excitement. He had amazing appearances. Nobody could stand or walk on stage like Chabukiani. His performance ahead of the *Don Quixote* variations was great. He simply walked, while the audience held its breath... And there was Vakhtang in the unforgettable pose, and the magic began. It was a great joy to watch this.

And *Giselle*? Even the simple, ordinary pirouettes were done by him in a way that made them pieces of great art. He flew like a hurricane while doing pirouettes; no orchestra could match his pace. There was a conductor from Leningrad who said that it was impossible to play at that dizzy tempo. I thank God that I was able to touch the art, and I consider myself happy that I saved this love and amazement until today. God bless him.

1990

# უბადლო პარტნიორი

# An Incomparable Partner

ეთერ ფაღავა
ETER PAGHAVA



ეთერ ფაღავა და ვახტანგ ჭაბუკიანი. „დონ კიხოტი" თბილისი

ETER PAGHAVA AND VAKHTANG CHABUKIANI. *DON QUIXOTE* IN TBILISI

Vakhtang Chabukiani was a great dancer. I was so happy when I found out that he would be partnering me on the stage of the Tbilisi Opera Theatre, in *Don Quixote* and *Giselle*.

He was an extraordinary partner. Despite having danced with numerous dancers on various stages, including Serge Lifar, nobody was like Chabukiani. Only with him I felt an amazing feeling of lightness. I was left extatic when he brought me up into air with one hand, before turning me with the same sharpness. I danced in the most free and light way thanks to him.

He made me feel the incomparable moments of emotion and happiness that are impossible to forget. I see the *Giselle* with Chabukiani as the greatest achievement of my life.

I remember the words by Chabukiani, when he said: "Eter! You are in Georgia. Here you must dance like a fire, for the Georgians are used to fiery dances." And I have become witness of truth of these words many times even then, and after it as well. There was fire on stage in Chabukiani's productions, with the strong representatives of the "Chabukiani academy". And do not forget that this was when Mr. Chabukiani was 60 years old, which is amazing. In France, even the greatest dancers quit their career far earlier, at the age of 40 or 45, while Chabukiani's dancing at 60 was impressive. This was another moment of his wizard-like energy and skillfullness. His beautiful body knew no age, and photographs of that age are witness to this. People in France were shocked with this fact, and I used to tell everyone: "Georgians are this strong."

Chabukiani is known in France. There are many fans in Paris, among both balletomanes and people of artistic field. His name enjoys much prestige there.

The French press has mentioned Vakhtang Chabukiani as the greatest dancer of the world.

1990

ვახტანგ ჭაბუკიანი დიდი მოცეკვავეა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევიტყვე, რომ მასთან ერთად უნდა მეცეკვა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე „დონ კიხოტსა“ და „ჟიზელში“. არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო. ასეთი პარტნიორი არ მყოლია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მოცეკვავესთან მიცეკვია ამა თუ იმ ქვეყნის სცენაზე. სერჟ ლიფართანაც კი მომიწია ცეკვამ. მაგრამ მხოლოდ ვახტანგ ჭაბუკიანმა მაგრძნობინა რაღაც საოცარი სიმსუბუქე. სახტად დავრჩი, როცა ცალი ხელით ჰაერში ამიტაცა, მერე კი ასევე სხარტად დამატრიალა. მისი წყალობით ვცეკვავდი ლაღად, ძალდაუტანებლად, მსუბუქად.

ვახტანგ ჭაბუკიანმა განმაცდევინა მღელვარებისა და სიხარულის განუმეორებელი წუთები. შეუძლებელია ამის დავიწყება. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ მიღწევად „ჟიზელში“ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად ცეკვა მიმაჩნია.

კარგად დამამახსოვრდა ბატონი ვახტანგის სიტყვები: „ეთერ! შენ იმყოფები საქართველოში. აქ უნდა იყო როგორც ცეცხლი, რადგან ქართველები ცეცხლოვან ცეკვას არიან დაჩვეულიო“. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში არა ერთხელ დავრწმუნებულვარ მაშინაც და მერეც.

ცეცხლი ენთო ბატონი ვახტანგის სპექტაკლებში, რომლებშიც ცეკვავდნენ „ჭაბუკიანის აკადემიის“ ძლიერი წარმომადგენლები. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ დროს ბატონი ვახტანგი უკვე 60 წლის იყო. ეს საკვირველი ამბავია. საფრანგეთში თვით ყველაზე სახელოვანი მოცეკვავეებიც კი ცეკვას თავს ანებებენ გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 40-45 წლის ასაკში. 60 წლის ვახტანგ ჭაბუკიანი კი შესანიშნავად ცეკვავდა. ესეც მისი შესანიშნავი ჯადოქრული ენერგიისა და ოსტატობის გამოვლინებაა! ხნოვანობა არ ეტყობოდა მის მშვენიერ სხეულს. ამას იმდროინდელი ფოტოსურათებიც ცხადყოფენ. საფრანგეთში ყველა განცვიფრებული იყო ამ ფაქტით: „ქართველები ასეთი ძლიერები არიან-მეთქი“ – ვეუბნებოდი.

ვახტანგ ჭაბუკიანს იცნობენ საფრანგეთში. მას პარიზში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, როგორც ბალეტის მოყვარულთა, ისე სპეციალისტთა წრეებში. იქ მისი სახელი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს.

ფრანგულ პრესაში ვახტანგ ჭაბუკიანს მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავე უწოდეს.

1990



ვახტანგ ჭაბუკიანი. „მშვიდობისათვის“
VAKHTANG CHABUKIANI. *FOR PEACE*

ვერიკო ანჯაფარიძე
VERIKO ANJAPARIDZE

*წიგნიდან „მოგონებათა თითო ფურცელი“*
*From the book "A Single Page of Memories"*



# ვახტანგ ჭაბუკიანი
# Vakhtang Chabukiani

უკვე რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ შემიძლია მშვიდად ვილაპარაკო არაჩვეულებრივ საღამოზე, სპექტაკლ-დღესასწაულზე. მსურს გავერკვე, რა უფრო მეტად მომეწონა და რა – ნაკლებად. ვიცი, რომ იმ საღამოს სპექტაკლ „ოტელოს“ გასინჯვაზე ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მე ბედნიერი, ამაყი ვიყავი და სიმარტოვეს არ ვგრძნობდი. მაყურებელთა მთელი დარბაზი აღაფრთოვანა მსახიობის, რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის დიდმა ხელოვნებამ.

სცენა გვატყვევებდა მხატვრის დიდებული ფანტაზიით, ფერთა გამის გასაოცარი შეგრძნებით. გვხიბლავდა მაღალი გემოვნებითა და შექსპირის ტრაგედიის ღრმა წვდომით. გვხიბლავდა შექსპირის სულისკვეთებით გაჟღენთილი მუსიკა. ვხედავდით თუ როგორ ქმნიდა მსახიობის გენია ოტელოს სახეს. მთელი სპექტაკლის მანძილზე, შექსპირის სიტყვის გარეშე, ვახტანგ ჭაბუკიანი ძერწავდა ოტელოს, თავისი ტანის მოძრაობით. მან თავისი სული შთაბერა მას. მე მესმოდა ოტელოს მონოლოგები. მესმოდა მისი ღრიალი, კვნესა, ქვითინი. ჭაბუკიანს არ სჭირდება სიტყვა, რომ განაცვიფროს მაყურებელი. მისი ოტელო ვაჟკაცური მეომარია, მაგრამ ნაზი, ბავშვურად მიმნდობი. მე იშვიათად მინახავს, რომ სცენაზე ასე უყვარდეთ, როგორც უყვარს ჭაბუკიანის ოტელოს თავისი დეზდემონა. მაგრამ აი, იგი მივიდა უნაპირო, მწველ ბედნიერებამდე, სიხარულმა აღანთო იგი და ჩვენთვის მოულოდნელად, მაგრამ ძალზე მართლად ალაპარაკდა მასში წინაპრების სისხლი. იგი იწყებს ხარხარს (მე ზედმიწევნით მესმის ეს ხარხარი) და ცეკვას, ცეკვას რიტმულსა და ცეცხლოვანს, ისეთს, როგორც ცეკვავენ ოტელოს სამშობლოში. მასში ყველაფერი თრთის და როკავს. ყოველი კუნთი თრთის, და ეს ყველაფერი გასხივოსნებულია თავშეუკავებელი, ბედნიერი სიცილით.

ასე ბრწყინვალედ ამოხსნა მსახიობმა უდიდესი ბედნიერების გრძნობა. შემდეგ კი ურწმუნოება, ეჭვიანობა, თავზარდაცემა. დაკარგვა იმედის, სიყვარულისა და ბოლოს, სიცოცხლის დაკარგვაც.

მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში ქედს ვიხრიდი ჭაბუკიანის თვალისმომჭრელი ნიჭის წინაშე, მაგრამ ახლა ჩემთვის კიდევ უფრო გაიზარდა, ამაღლდა იგი. მე ბედნიერი ვარ იმიტომაც, რომ ეს შესანიშნავი თეატრალური მოვლენა დაიბადა ჩვენს მშობლიურ თბილისში.

1957

Several days have passed, although I still cannot speak calmly about the extraordinary evening, the festive show. I wish to discover what I liked more, and what less. I know that on that evening, at the probation of the *Othello* production at the Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre I was happy and proud, and was not alone in this state. The entire hall was ecstatic by the great work of the artist, director, designer and composer.

The stage captured us with great imagination and amazing feel for gamma, good taste and deep understanding of the Shakespeare tragedy. So was the music full of Shakespeare's spirit. We were witnesses of how the Othello image was created by the genius of the artist. During the entire performance Vakhtang Chabukiani carved Othello with the movement of his body, he instilled his spirit into it. I saw the monologues by Othello; heard his roar, his moan, his cry. Chabukiani does not need words to amaze the audience. His Othello is a brave warrior, but a gentle, trustful like a child. I have rarely seen love on stage similar to the one of Chabukiani's Othello to his Desdemona. But there he reaches the boundless, burning happiness, and unexpected by us, blood of his ancestors starts to act in him. He begins his laughter (which I can clearly hear) and the rhythmic, fiery dances they perform in Othello's homeland. Everything in him shivers, and this is lit up on by the unrestrained, happy laughter.

This is how brilliantly the actor discovered the feeling of great happiness. And after it the unbelief; jealousy; terror; loss of hope; of love; and finally, of life.

I have acknowledged the glaring talent of Chabukiani all my life, but now he has risen even higher for me. I am happy that this remarkable theatrical phenomenon was born in our native Tbilisi.

1957



# ვახტანგ ჭაბუკიანი
# Vakhtang Chabukiani

მიხეილ ლავროვსკი
MIKHAIL LAVROVSKY

*ნაწყვეტი წიგნიდან „პირველი პირის ნაამბობი“*
*Fragment from the book "Told in the First Person"*

**ნიუტონი ამბობდა, რომ თუ რაიმეს მიაღწია ცხოვრებაში – მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე იდგა. ჩვენი თაობაც იდგა ისეთი გიგანტის მხრებზე როგორიც ვახტანგ ჭაბუკიანი იყო. მაღალფარდოვნად რომ შევეცადოთ ამის თქმა, იგი ტერფსიქორას ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილია, საკუთარი არსების სიღრმემდე მოცეკვავე; არა მხოლოდ ამა თუ იმ მოძრაობის უბრალო შემსრულებელი, არამედ მოცეკვავე – ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.**

**Newton used to say that whatever he achieved in life was done thanks to the giants' shoulders he stood on. So did our generation stand on the shoulders of the giant like Vakhtang Chabukiani. To express this in a lyrical sense, he is one of the beloved sons of Terpsichore, the one who dances his personality out. Not only a performer of some movements, but the dancer in the broadest meaning of the term in the choreographic art.**

ჯარჯი. „მთების გული“
JARJI. *HEART OF THE MOUNTAINS*

ბავშვობაში ბევრი რამ მესმოდა ჭაბუკიანის შესახებ. მისი სახელი ხშირად ისმოდა ჩვენს ოჯახში. როდესაც  დედა და მამა ერთმანეთს დაშორდნენ, ჭაბუკიანის შესახებ საუბარი გრძელდებოდა ბარიკადის ორთავე მხარეს – მე, რა თქმა უნდა, ვიყავი იქაც და იქაც.

ჭაბუკიანი სრულიად საოცარი ნატურაა. ზემოთ აღვნიშნე, რომ იგი ტერფსიქორას უბადლო პარტნიორი და მეტოქეა (ა. დანელიას სიტყვებია) და ამასთანავე ძალიან იღბლიანიც. მისი ცხოვრების პირველ ნახევარში იღბლიანი იყო ყველაფერში, სიბერე კი მისთვის – ავადმყოფური და მძიმე გამოდგა. თბილისში მე მანახეს ადგილი, სადაც იგი დაიბადა – სარდაფი ვერაზე. სხვათა შორის მეც ვერაზე დავიბადე, ახლოს ამ სარდაფთან. მაგრამ,  მე იქ არ ჩავსულვარ, რადგან უკვე სხვები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით ეს სარდაფი, სახლთან ერთად, დაანგრიეს. მის ადგილზე ფილარმონია  ააგეს – ალბათ სიმბოლურია ეს. მამამისი ქართველი იყო, დედა კი – ფინელი. ერთმა მასაჟისტმა, რომელიც კარგად იცნობდა მის წინაპრებს, ერთხელ ჭაბუკიანს უთხრა:

– თქვენ კარგი სისხლი გაქვთ, დიდხანს შეძლებთ ცეკვას. და დიდხანს გექნებათ ლამაზი სხეული.

ჭაბუკიანმა სწავლა თბილისში მარია პერინისთან დაიწყო  (სიცოცხლის ბოლომდე მას პირველი მასწავლებლის იტალიელი  პერინის  ფოტო კაბინეტში ეკიდა). ვახტანგ მიხეილის ძე, როგორც  თვითმხილველები მიყვებოდნენ, ყოველთვის ავლენდა ლიდერობისა და ქორეოგრაფიული დადგმების განხორციელების სურვილს. იგი თავად დგამდა ნომრებს და დედაჩემთან ერთად – რომელიც მისი პირველი პარტნიორი იყო – ამ ნომრებს კინოსეანსების დაწყების წინ ასრულებდნენ, რომ რთულ 20-იან წლებში ფული გამოემუშავებინათ.

მოგვიანებით, არ ვიცი როგორ, ისინი ლენინგრადში გადავიდნენ და ვაგანოვას სახელობის სასწავლებელში ჩაირიცხნენ. ჭაბუკიანის კარიერა უეცრად, სულ მოკლე დროში, ზევით წავიდა. მას ყველა ანგარიშს უწევდა, თავად ვაგანოვას ჩათვლით. თავიდან მას არ ჰქონდა მაღალი ნახტომი. მას ხომ იტალიური საბალეტო სკოლა ჰქონდა გავლილი, სადაც  ტრიალს (Вращение) დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ ბალონეს (Ballone) არ აქცევდნენ ყურადღებას – მოსწავლეები ხტოდნენ ისე, რომ ქუსლს იატაკზე არ დგამდნენ. ეს მთავარი შეცდომაა, რადგან მთავარია ახტომის წინ ქუსლი მყარად იდგეს იატაკზე. ამას კი შესანიშნავად ასწავლიდა რუსული საბალეტო სკოლა.

შემდგომში ჭაბუკიანი „დაფრინავდა“ სცენაზე. მაგრამ „მაღლა ხტოდა“ ეს არ არის სწორი

I heard a lot about Chabukiani in my childhood. His name was mentioned often in my family. When my parents split, the talk about Chabukiani went on, on the both sides of the barricade.

Chabukiani is an amazing character. As I already mentioned, he is an incomparable partner and rival for Terpsichore (quote by A. Danelia), and a lucky one. He was lucky in everything during the first half of his life, while he had ill and hard ageing.

I was shown the place of his birth in Tbilisi – a cellar on Vera. I was too born on Vera, quite close to the place, although never went there, as others lived in the place by that time. Later the cellar, as well as its house, was demolished, and the Philarmonic Hall was built there – symbolic, perhaps. His father was Georgian, and the mother was Finnish; one physiotherapist, familiar with his ancestors, told him:

– You have blood that will enable you to dance for a long time, and to have a beautiful body during it.

Chabukiani began to receive his dance education in Tbilisi, under Maria Perini (photo of the Italian pedagogue had its place on the wall of his cabinet until the end of his life). I have been told by many that he always demonstrated the will of leadership and staging. He would stage the numbers, and then perform them, alongside my mother – his first dance partner – ahead of the movie shows, to fund themselves in the difficult 20ies.

Later, although I do not know how, they moved to Leningrad, and enlisted at the Vaganova school. Chabukiani's career started its advance to the top. He was influential on everybody, including Vaganova herself. He did not possess a high jump, having been trained on Italian school, where there is much attention to turns, but not to *ballones*. Students would jump without standing on their heels, which is a major mistake, as it is of utmost importance that the heel is firmly on ground before a jump. This was taught perfectly by Russian ballet school.

Later Chabukiani would "fly" on stage. For ballet theatre, it is not a right term to say "to jump high" – you could say something similar to that in sport, but to mention what an artist wanted to express in ballet, you should say, and feel, that they "flew up high". Flying with body, soul and expression, was done brilliantly by Chabukiani.



ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲡᲙᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲘᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
MIKHAIL LAVROVSKY, VAKHTANG CHABUKIANI AND ZURAB KIKALISHVILI. TBILISI OPERA THEATRE

გამოთქმა საბალეტო თეატრისათვის. ასე შეიძლება თქვა სპორტში – "взял планку". ბალეტში გმირის, პერსონაჟის ესა თუ ის გრძნობა რომ გამოხატო უნდა ილაპარაკო და იგრძნო – „მაღლა აფრინდა". აფრინდა სხეულით, სულით, გამოხატვით – ამას ჭაბუკიანი ბრწყინვალედ ახერხებდა.

მას, ვისაც ჭაბუკიანი სცენაზე არ უნახავს, შეუძლია 70 წლის წინათ გადაღებული ორი ფირის საშუალებით იმსჯელოს. ესენია „ტარას ბულბა" და „ბაიადერა". მაგრამ ეს მხოლოდ მისი აჩრდილია – ასე ამბობენ ისინი, ვისაც ის სცენაზე უნახავს, განსაკუთრებით ომამდე.

შურიანი?.. უსაზღვროდ! მაგრამ არა ისე, როგორიც ჩემთვის ნაცნობი სხვა მსახიობები. მას ასე ვთქვათ კარგად მიესადაგებოდა, ორმოცდაათი პროცენტით მაინც, პუშკინის სიტყვები: "гений и злодейство – две вещи несовместные". მას ბევრი არაადეკვატური რამ ახასიათებდა, მაგრამ რამდენადაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მასთან მჭიდროდ ვმეგობრობდი და დიდად დამეხმარა ჩემს კარიერაში, ვფიქრობ, მისი ეს ქმედებები, ახალგაზრდობაში, ნახევრად გაუცნობიერებლად იყო ჩადენილი.

ჭაბუკიანი, მისი შემოქმედებითი წარმატებების გამო, ბედნიერად გრძნობდა თავს ცხოვრებაში. ინტუიციით ხვდებოდა ნებისმიერ მიმდინარეობას. სცენაზე მისი ორი წარუმატებლობა – „დონ კიხოტის" პირველ სპექტაკლში, მესამე მოქმედების ფინალური ვარიაციის დიაგონალზე, ორი ბრუნის შემდეგ ხელით შეეხო სცენას და მეორე, უკვე ვარსკვლავი, რომელიღაც ვარიაციას ასრულებდა (არ მახსოვს რომელს და რომელ სპექტაკლში) და ბოლო ორი ბრუნი მან სცენაზე დაცემით დაასრულა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ისეთი ლამაზი პოზა მიიღო, რომ დიდი წარმატება ჰქონდა. შემდეგ, საგრიმიოროში დალია და როდესაც სახლში მიდიოდა (თავად მართავდა მანქანას. მას ერთ-ერთს პირველთაგანს ჰყავდა მანქანა ლენინგრადში), საჭესთან ჩაეძინა, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა.

მაშინ არც ვიდეოკასეტები იყო და არც სხვა რამ ინფორმაცია, მაგრამ ჭაბუკიანმა შეძლო დაედგა გენიალური ესპანური ბალეტი „ლაურენსია". შემდეგში, უკვე ჩემს დროს, როცა უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ ქორეოგრაფები, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ესპანური ცეკვების სწორად დადგმის გამო. ინტუიცია, ტალანტის ინტუიცია!..

ჭაბუკიანი უნიკალური მოვლენაა. იგი თავისი დროის საჩუქარი გახლდათ, ცოტათი უსწრებდა კიდეც დროს. ალბათ გენიოსის, ლიდერის, ტალანტის შემთხვევაში ასე უნდა იყოს კიდეც. ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვა „გენიოსს". გნებავთ სხვა სიტყვა ვიხმაროთ: ტალანტის უმაღლესი ხარისხი, როგორც გენებოთ. მაგრამ: იგი დაიბადა ღარიბ ოჯახში, განათლება (ჰუმანიტარული) პრაქტიკულად არ მიუღია. ის კი არა და გამიგია, რომ ახალგაზრდობაში ხელის მოწერისაც კი ეშინოდა ორთოგრაფიული შეცდომა რომ არ დაეშვა; 20-30-იანი წლები – „რკინის ფარდა" – საიდან აღმოაჩნდა ადამიანს ამხელა შესაძლებლობა, დაედგა ბალეტი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" მიხედვით, შესანიშნავი ესპანური ცეკვები ესპანურ ფოლკლორზე დაყრდნობით – ხალხურიც და კლასიკურიც, იმ დროისათვის საინტერესო რეჟისურით. მის ცეკვებზე, მათ ლოგიკასა და ორიგინალურობაზე მე არ ვსაუბრობ – იგი ბრწყინვალედ გამოიყურება, მისი შესრულებით კი – უბრალოდ გენიალურია! ფიგურა, კოორდინაცია, პლასტიკა, ინდივიდუალობა, თავისუფლება და ცეკვის ბუნებრივად გადმოცემა – ყველაფერი ეს ერთად საოცრად უნიკალური იყო.

მე ეს ყველაფერი ჩემს თავზე გამოვცადე, როცა მის გვერდით კლასზე ვიმყოფებოდი. მაშინ ის 50 წელს გადაცილებული იყო და პრაქტიკულად მხოლოდ დადიოდა დარბაზში.

ჩემი აზრით, ჭაბუკიანმა დაუშვა დიდი შეცდომა, სამუშაოდ ლენინგრადში ან მოსკოვში რომ არ დარჩა. პატრიოტიზმმა მას არ მისცა ამის საშუალება.

„სისულელე" მოცეკვავისთვის – არ არის საშიში. საკუთარ თავში დაჯერებულობა, იმ შემთხვევაში თუ ნიჭი გაქვს, კარგი რამაა. მაგრამ რეჟისორ-ბალეტმაისტერისთვის – ეს დამღუპველია. პერიფერიაში ჭაბუკიანს გემოვნებამ უღალატა. მაგრამ იმდენად დიდი ნიჭი ჰქონდა, რომ მან შექმნა „ოტელო". მაგრამ ეს შედევრია იმ მსახიობთა შესრულებით, რომელთათვისაც დაიდგა (იაგო და დეზდემონა) ბალეტი. თუმცა, მასში არის ბევრი საინტერესო რეჟისორული მიგნება.

შემდეგ საქართველოში გაანადგურეს იგი, დააბრალეს უამრავი საშინელება. უთვალთვალებდნენ, გაათავისუფლეს თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელობისგან. მაგრამ არ დაიბნა, აგრძელებდა მუშაობას ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, საზღვარგარეთაც კი გაემგზავრა მასტერ-კლასების ჩასატარებლად. შემდეგ ოპერის თეატრი დაიწვა, რაშიც ასევე დაადანაშაულეს. მერე გაუძლიერდა ფეხების ტკივილი, თეძოებისაც – უკვე სიარულიც უჭირდა.

გარდაიცვალა ვახტანგ ჭაბუკიანი თითქმის ყველასაგან მიტოვებული, საკუთარ, ოდესღაც არაჩვეულებრივად მოწყობილ, მაგრამ იმ დროისათვის ცარიელ ბინაში. მაგრამ, როდესაც მისი ნეშტი დარბაზიდან გამოჰქონდათ, მთაწმინდაზე რომ დაეკრძალათ, მოედანზე შეკრებილმა უამრავმა ადამიანმა მქუხარე ოვაცია მოუწყო, ისეთი, რომელიც მთელი ცხოვრება თან დაჰყვებოდა გენიალურ მოცეკვავეს. ეს იყო ბოლო, საუკეთესო საჩუქარი, ეპიტაფია მაესტროსათვის; ეს იყო მისი საბოლოო აღიარება.

The people who did not see Chabukiani on stage could judge from the two films – *Taras Bulba* and *La Bayadere* – made 70 years ago; although they are only a ghost of him, as said by those who witnessed him on stage, especially before the war.

Envious? Greatly so, although not as other actors known to me. He would be described well by Pushkin's words: "Genius and evil cannot be relevant." He had some inadequacies in character, although, as I was tied to him with a firm friendship for the last twenty years and was greatly helped by him in my career, I think those things were done by him in his youth, unintentionally in part.

Chabukiani was happy in life due to his artistic success. He would guess every direction in an intuitive way. There were two misfortunes on stage for him – the initial *Don Quixote* performance, when on the final variation of the third act he touched the stage after two turns, and the second one, doing one of the variations (can not recall the production now), being already a star, he fell after the final two turns in arabesque. But even in these circumstances he landed in a beautiful pose that enjoyed much appreciation. And he also had a moment when he drank in the make-up room and drove home in his car (he was one of the first in Leningrad to have a car), falling asleep on his way and narrowly avoiding accident.

There were no tapes or other kind of information back then, but he managed to stage the great Spanish ballet *Laurencia*. Later, the choreographers visiting me from abroad could not hide their amazement at the fact that these dances were staged so accurately. Intuition of a genius!..

Chabukiani is a unique phenomenon. He was the gift of his time; maybe even slightly ahead of the time – and probably this is how it should be in case of a leader and a great talent. We often use the term "Genius", although we could use another one here – The highest degree of talent. But he was born in a poor family, not really receiving any education; I even heard that he was afraid to post his signature in his childhood, afraid not to make some spelling mistake. And it was the time of 20ies and 30ies, with the "Iron Curtain". How did he manage to stage this great ballet on *Fuente Ovejuna* by Lope de Vega, on the Spanish folklore, that was classical and folk at the same time? And I am not even speaking about the logic and innovation of his dances – he looks brilliant, and is a pure genius performing them. Physique, coordination, plasticity, individuality, freedom and natural dancing – all this was unique.

I experienced this on myself while on a class alongside him. He was past 50 then, and could only walk in the studio.

In my opinion Chabukiani made a big mistake in not staying in Leningrad or Moscow for his career. Patriotism did not allow him to.

"Sillyness" is not dangerous for a dancer. Self-belief is good if you are talented, although not a good thing for a director-ballet master. His taste failed him in the periphery, although he was talented enough to create *Othello*. A masterpiece with the actors (Iago and Desdemona) it was staged for, although there are a lot of interesting pieces in the production for a director too.



He was later assaulted in Georgia – blamed for a lot of things, being spied on, and fired as the artistic director of the company. Although he did not become confused and kept on working in the choreographic school, even traveled abroad for conducting master classes. Then the Opera Theatre in Tbilisi was destroyed in fire, which he was also blamed for, and then illness – pain in feet and thighs – that kept him almost unable of walking.

Vakhtang Chabukiani passed away abandoned by almost everyone, in his own apartment that was once decorated beautifully, although empty at the time. But, as his body was carried out of the hall to be buried at the Mtatsminda pantheon, the huge crowd gathered at the square applauded him in a striking way, just like the genius of dance was used to hearing. This was the last, and the best epitaph for the maestro, his true acknowledgement.

ალბერი. „ჟიზელი". ALBRECHT. *GISELLE*



ვახტანგ ჭაბუკიანი გაკვეთილზე
VAKHTANG CHABUKIANI ON LESSON

# ცეკვის ჯადოქარი

# Wizard of Dance

**კოტე მახარაძე**
**KOTE MAKHARADZE**

*ფრაგმენტი წიგნიდან „ორი ბატონის მსახური“*
*Fragment from book "The Servant of Two Masters"*

**მის ფეერულ ხელოვნებასთან შეხვედრა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ცხოველი შთაბეჭდილებაა. ერთი იმათგანი, არასდროს რომ არ ქრება, ოდნავადაც არ ფერმკრთალდება და დღემდე გვაფორიაქებს.**

**Meeting his amazing art has been one of the most vivid impressions of my life. One of those that never disappear, never fade away, still excite you.**

პირველად მინკუსის „ფრინველში“ ვნახე და მოხიბლული დავრჩი, მშვენიერ მინიატურის ტაქტს აყოლილი შემოფრინდა სცენაზე ჭაბუკიანი და ჰაერში გამოეკიდა. ასეთივე, ზეცაში მოლივლივე, დარჩა იგი მეხსიერებაში...

თბილისელები უდიდესი მოუთმენლობით ელოდნენ ვახტანგ ჭაბუკიანის გამოჩენას სცენაზე თავის მშობლიურ ქალაქში. როდესაც აფიშებმა ამის შესახებ გვამცნეს, ინტერესი გაორკეცდა. იმ დღეს „ყველა ვარსკვლავის“ კონცერტი საოცრად ზეიმური გამოვიდა. ყოველ ნომერში ვარსკვლავი მონაწილეობდა, თანაც ყველა ეშხზე იყო, ბოლოს პროგრამის წამყვანმა წყნარად, ჩვეული პათოსის გარეშე, გამოაცხადა: მინკუსი, „ფრინველი“, ასრულებს რსფსრ-ს დამსახურებული არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი“. დარბაზი გაინაბა. პირველი ტაქტები – და სცენაზე, თითქოს კატაპულტიდანო, გამოფრინდა ადამიანი და სცენის თავზე გამოეკიდა ჰაერში. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაოგნებულმა დარბაზმა რეაგირება ვერ მოასწრო. დღეს ბევრისთვის ადვილად შე-სასრულებელი ჰაერში გამოკიდება, ცნობილი „ბალონები“, მაშინ ყველასთვის უცნობი იყო. იმის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, რომ ადამიანს შეუძლია მაღლა შეხტეს და ფრენაში გაშეშდეს, მერე კი უეცრად სწრაფადვე, გამაოგნებელ ტემპში გააგრძელოს ცეკვა.

ცნობილი ბალერინა ტატიანა ვეჩესლოვა თავის წიგნში წერს: „ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სცენაზე ერთი კი არა, ერთდროულად ორი ჭაბუკიანი იყო“. იმ ღირსახსოვარ დღეს კი, სცენაზე სამი ჭაბუკიანი იყო. ყოველ შემთხვევაში მაყურებელს ასე ეჩვენებოდა...

სამშობლოში მას ყველაფრის თითქმის ნულიდან დაწყება მოუხდა. ამგვარი უჩვეულო ჰიბრიდის – კლასიკური ბალეტი პლუს ეროვნული ცეკვა – შექმნის ანალოგები საერთოდ არ არსებობდა. საჭირო იყო ახალი ფორმების ძიება და მიგნება, გაუკვალავი ბილიკებით სიარული. დღეს, როცა ჭაბუკიანის დაუოკებელ ენერგიას და უშრეტ

The first time I saw him was in Minkus' *Firebird* and I was left fascinated. Chabukiani flew into the stage on a beautiful miniature score and floated in the air. This is exactly how he remained in memory...

Tbilisi audience was looking so much forward to seeing Chabukiani in his home city. When banners informed the public about the event the interest doubled. That day the "All Star" concert turned out especially festive. Every number was performed by a star, and they were all excited about it. At the end of the program the announcer was unusually calm in declaring: "Minkus, *Firebird*, performed by the Honoured Artist of RSFSR, Vakhtang Chabukiani." The audience held its breath, and with the first sounds of music a man flew, just like being thrown by a catapult, out onto the stage, and floated above it for a moment. This was so unexpected that the hall did not even manage to react. The well-known *ballons*, done so easily nowadays, were unknown to anybody back then. It was hard to even imagine that a man could jump and hold in the air, before carrying on to dance in an amazing tempo.

The well-known ballerina Tatiana Vecheslova said in her book: "Sometimes you had an impression that there were not one but two Chabukianis". On that memorable day there were three. At least that is what the audience thought...

He had to start everything from scratch after coming back to his homeland. There were no examples of creating hybrids of classical ballet and national dancing. New forms had to be searched for and discovered. Recalling Chabukiani's endless energy and fantasy now, it is hard to hide the amazement. He did not give writers and composers any rest, constantly proposing to unite them for the noble deed of expressing aspirations and nature of the Georgian people in classical dance. He managed to instill everybody with this enthusiasm, and the work got going. There was a new ballet with each new season. He staged Mzechabuki *(Heart of the Mountains)*. The work was renamed *Mzechabuki*. The critics did not

ფანტაზიას ვიხსენებ, გაოცებას ვერ ვმალავ. მწერლებსა და კომპოზიტორებს არ ასვენებდა, სთავაზობდა გაერთიანებულიყვნენ კეთილშობილური საქმისათვის საბრძოლველად, ქართველი ხალხის სულისკვეთებისა და ბუნების კლასიკურ ცეკვაში გამოსახატად. მან იმდენი შეძლო, რომ ყველას გადასდო გაუგონარი ენთუზიაზმი და ჩარხიც დატრიალდა. ჭაბუკიანმა დადგა პირველი ბალეტი „მზეჭაბუკი“ („მთების გული“). ქართული ცეკვების სპეციალისტებმა არ  მიიღეს სპექტაკლი, ჩათვალეს, რომ ბალეტმაისტერი კლასიკურ ბალეტს დაშორდა, ეროვნულამდე კი ვერ მივიდა – შუა გზაზე გაიჭედა. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ახალ მოვლენასთან ბალეტში – კლასიკური ბალეტის და ქართული ხალხური ცეკვის სინთეზთან. იგი ფარ-ხმალს არ ყრიდა და მუშაობას განაგრძობდა. მალე სპექტაკლი ახალი წახნაგებით აელვარდა. მაყურებლებიც და კრიტიკოსებიც უკვე აღფთოვანებით იღებდნენ მთლიანად სპექტაკლსაც და მოულოდნელი გადასვლებით, გადაბმებით და ჭაბუკიანის მიერ შესრულებულ საბალეტო პათა კასკადით გამდიდრებულ ტრადიციულ ქართულ ცეკვებსაც – მაგალითად, ისეთს, როგორიცაა „ხორუმი“ მესამე აქტიდან.

არსებობს აზრი, რომელიც პრაქტიკასაც არა ერთხელ დაუდასტურებია, რომ ხშირად ბალეტის ვარსკვლავები, მამაკაცებიც და ქალებიც, თავს არიდებენ ერთობლივ გამოსვლებს, გაურბიან ძლიერ პარტნიორთან წყვილში გამოსვლას. ალბათ იმიტომ, რომ მიაჩნიათ, შეიძლება ამან ხელი შეუშალოს პირად წარმატებას – თითოეულ პარტნიორს ან წარმატების განაწილება, ან მისი საერთოდ დათმობა მოუწევს. ადრე ქალებისათვის ეს პრობლემა პრაქტიკულად არ არსებობდა. ძირითადად ისინი ცეკვავდნენ, მამაკაცები კი მხოლოდ ეხმარებოდნენ მათ. მამაკაცებს ასეც ეძახდნენ – „მზიდავები“. პირველმა ეს უპატივცემულო მეტსახელი, მგონი, ვაცლავ ნიჟინსკიმ უკუაგდო ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, დიაგილევის პარიზული ანტრეპრიზების დროს. ხოლო მერე ჭაბუკინმა და ერმოლაევმა, მათ კვალდაკვალ კი ვ. ვასილიევმა, მ. ლავროვსკიმ, მ. ლიეპამ და სხვებმა მამაკაცი თანასწორუფლებიანი პარტნიორის, ზოგჯერ კი ცეკვის მთავარი საწყისის რანგში აიყვანეს. გვარების დაუსახელებლად აღვნიშნავ: ბევრი მაღალი კლასის ბალერინა გაურბოდა ვახტანგ ჭაბუკიანთან წყვილში გამოსვლას და ნაკლებად ბრწყინვალე პარტნიორ მამაკაცს ამჯობინებდა. ჭაბუკიანის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ მასთან პირისპირ მეტოქეობა ბევრს უბრალოდ არ უნდოდა. რა დასამალია და, ერთხელ თვითონ ვ. ჭაბუკიანმაც არ მოინდომა თბილისში ცნობილ ინგლისელ ბალერინასთან, ბერილ გრეისთან წყვილში ცეკვა. თავისი უარი კი გასტროლიორი ბალერინას ძალზე მაღალი ტანით ახსნა. ალბათ ეს დამაჯერებელი მიზეზი იყო, ან შესაძლოა, უარის მიზეზი სხვა რამეში მდგომარეობდა.

1944 წელს, როცა მე უკვე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ჭაბუკიანი თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის ჩამოყალიბებას შეუდგა. პროფესიული განათლების მქონე ხალხის ნაკლებობა იყო. ასეთები უბრალოდ არ იყვნენ, ან ძალზე მცირე რაოდენობით. იგი გულმოდგინედ

receive the production well – in their view the ballet master moved away from the classical ballet, but did not quite arrive to the national dancing. But they missed the point that this was a new way, a synthesis of both. He did not give up and carried on working. Soon the production had its success and both audience and the critics were embracing the entire work and the Georgian dances, enriched by the unexpected transitions, links and successive ballet pas performed by Chabukiani. The “Khorumi” from the third act is one of the examples for this.

There is an opinion, witnessed on numerous occasions, that the ballet stars, both male and female, are not keen on performing alongside each other, as they believe this might harm their personal stardom – success will need to be shared, or lost entirely. This problem did not exist for female dancers in past – they were the ones dancing, while the males were only their support. They even had the name ‘carriers’, which, if I am not mistaken, was first refused by Vaslav Nijinsky, in the beginning of the century, at Diaghilev’s Parisian *entres prix*, followed by Chabukiani and Ermolaev, and then by V. Vasiliev, M. Lavrovsky, M. Liepa and others, who promoted male dancer to the full-scale performer, and sometimes even the main source of dance. Without mentioning any names I would say that many high level ballerinas avoided partnering Vakhtang Chabukiani and preferred less stellar partners. His success was such that many just refused to challenge him. It should be noted that Chabukiani himself said ‘no’ to a performance with the well-known English ballerina Beryl Grey, citing the tall physique of the female dancer, which was possibly a realistic reason, or it might have been something else.

It was 1944 and I was in my first year as a student of the Theatrical Institute, while Chabukiani began the forming of the Tbilisi Opera Theatre ballet company. There was shortage of people with professional education – such were only a few, if

ეძებდა დასის შევსების შესაძლებლობებს, კითხულობდა, გებულობდა, ცნობებს აგროვებდა, ბინებშიც კი დადიოდა. ამ საქმეში მას სხვა კი არა, ჩემი მსახიობის ოსტატობის პედაგოგი, მოუღლელი და დაუდეგარი დოდო ალექსიძე ეხმარებოდა (წარსულში თვითონაც შესანიშნავი მოცეკვავე, პერინის ბალეტის კერძო სკოლის კურსდამთავრებული, სადაც იგი ჭაბუკიანთან ერთად სწავლობდა).

ჩემი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის მესამე წელი იყო. დადგა საწარმოო პრაქტიკის დაძაბული დრო – ასე ერქვა ნამუშევრების საზოგადო ჩვენებებს ცალკეულ დისციპლინებში. ბოლო, მეოთხე კურსის სტუდენტებს რიტმიკაში უნდა წარედგინათ სადიპლომო ნამუშევარი. იყო მაშინ ასეთი საგანი, რომელიც ამჟამად გაუქმებულია და ჩემი აზრით, სულ ტყუილად არის გაუქმებული. ზედ ჩვენების წინ ერთი მეოთხეკურსელი ავად გახდა და მთელი სემესტრის ნამუშევარს ჩაშლა დაემუქრა. და აი, ამ დროს ვიღაცას წამოსცდა, პირველკურსელებს შორის ერთი ბიჭია, რომელსაც ქორეოგრაფიული სტუდია აქვს დამთავრებულიო. მალე მომაგნეს. დიპლომანტებისა და მათი პედაგოგის გასახარად, მე სწრაფად და ადვილად გავერკვიე რიტმული სცენის ნახაზში და მეორე დღეს ჩვენებაც შედგა.

ალბათ სხვებში გამოვირჩეოდი. დოდო ალექსიძე უმალ მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მე მეორე დღეს დილიდანვე მთხოვეს, საპროფესოროში ჩავსულიყავი. „ვახტანგ ჭაბუკიანი გეძებსო“, – ამას რომ მეუბნებოდნენ, ხელებს გაკვირვებით შლიდნენ. ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილება – თეატრის სასარგებლოდ მეთქვა უარი ბალეტზე – საბოლოო


ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ
KOTE MAKHARADZE ON THE MOURNING OF VAKHTANG CHABUKIANI

any. He thoroughly searched for possibilities of filling the company – asking, learning, collecting notes, even visiting people. Assisting him was my artistic pedagogue, the tireless Dodo Aleksidze (a great dancer in past, graduate of the Perini private ballet school, studying alongside Chabukiani).

It was my first year at the Institute and time for practices. The students were to present their diploma works in rhythmic discipline – this was one of the majors, abolished now – for the wrong reasons in my opinion. One of the students became ill just ahead of the presentation and their collective work was in danger. Somebody mentioned that there was 'a guy' among the first year students who had finished the choreographic studio. Soon they found me and to the delight of the presenters and their pedagogue, I quickly understood the rhythmic plot, so the presentation was set for the next day.

I possibly stood out and Dodo Aleksidze understood what was going on, so they called me to visit the professors' room in the morning. "Vakhtang Chabukiani is looking for you", they said with a surprise. My decision to sacrifice ballet to my theatrical aspirations was final, although I knew I would not be able to say no to Chabukiani himself, who was an incarnation of everything spiritual and beautiful for me. Would it be hard for the conqueror of the United States to convince a 17 year old hesitant fellow? I knew a single word from him would be enough. But I was so desperate for this not to happen. So the only way, even though not very sincere, to avoid this, was to escape silently, which I did. I knew a hole which we used to enter the Rustaveli Theatre, and that hole I used... This was my first, 'to be' meeting with Chabukiani.

But there was another, actual artistic meeting. In 1969 I was appointed the Senior Director of the Russian Program Direction at the Georgian TV. I had already prepared several literature evenings for the central TV when a plot for a program about

იყო. მაგრამ რა უნდა მექნა, თუ თავად ვ. ჭაბუკიანი მთხოვდა, როგორ მეთქვა უარი ადამიანისთვის, რომელიც ჩემთვის ხელოვნებაში ყოველივე მაღლისა და მშვენიერის განსახიერება იყო? რა უღირდა ამერიკის დამპყრობს 17 წლის უწვერული, თანაც არცთუ მტკიცე ხასიათის ყმაწვილის დარწმუნება და დაყოლიება?! მისი ერთი სიტყვა და დანებება მომიწევს. მაგრამ როგორ არ მინდოდა ამის გაკეთება, რომ იცოდეთ, როგორ არ მინდოდა! რა მექნა? ავდექი და არც თუ პატიოსანი, მაგრამ, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ერთადერთი შესაძლო გზა ავირჩიე: უბრალოდ გამოვიპარე, ვიცოდი, რომ ორ მორყეულ რკინის წნელს შორის ხვრელი იყო, გავძვრებოდით ხოლმე აქ და რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე შევიპარებოდით. ჰოდა გავძვერი იმ ხვრელში და თავს ვუშველე... ასეთი იყო ჩემი პირველი – არშემდგარი შეხვედრა ჭაბუკიანთან.

მაგრამ სხვა შეხვედრაც იყო, უკვე რეალური შემოქმედებითი შეხვედრა. 1969 წელს საქართველოს ტელევიზიის რუსული პროგრამების რედაქციის მთავარ რეჟისორად დამნიშნეს. უკვე დადგმული მქონდა რამდენიმე ლიტერატურული საღამო ცენტრალური ტელევიზიისთვის, როდესაც რედაქციაში მოიტანეს სცენარი ფილმისთვის ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ. დიდი პასუხიმგებლობითა და მღელვარებით შევუდექი ფილმზე მუშაობას... ამ დროისთვის საკმაოდ კარგად ვიცნობდი ბატონ ვახტანგს. ჩემი უფროსი ქალიშვილი – მაკა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბალეტის სოლისტი გახდა – ჭაბუკიანის ნებიერი იყო. როგორი სიყვარული იპყრობს ადამიანს, როცა ის საყვარელ თემაზე მუშაობს, მისთვის კარგად ცნობილ საქმეს აკეთებს.

მუშაობას მაქსიმალურად მობილიზებული, დიდი ენთუზიაზმით შევუდექით. საკმაოდ ვრცელი კინომასალა მოვიძიეთ. ამერიკელი ოპერატორების მიერ 35 წლის წინ გადაღებული „დონ-კიხოტის“ იმ ნაწყვეტსაც კი მივაგენით, რომელშიც ჭაბუკიანი მონაწილეობდა. გადავიღეთ ინტერვიუები გ. ულანოვასთან, მ. პლისეცკაიასთან, რ. სტრუჩკოვასთან, ტ. ვეჩესლოვასთან, ჭაბუკიანის ერთ-ერთ პირველ პარტნიორთან და ერთგულ მეგობართან ელენე (ლიალია) ჩიკვაიძესთან, მის სახელოვან შვილთან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან, მიხეილ ლავროვსკისთან და სხვებთან. დიდ თეატრში ფირზე აღვბეჭდეთ ჭაბუკიანის მიერ სპეციალურად ლავროვსკისთვის დადგმული და დამუშავებული ვარიაციები „კორსარიდან“ და აშ.

ჩემთვის ეს ფილმის შექმნის პირველი ცდა, კინორეჟისორის ამპლუაში ძალების პირველი მოსინჯვა იყო. ვმუშაობდი არა მარტო სიამოვნებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ინტერვიუები საინტერესო გამოვიდა, ჭაბუკიანი საოცრად ცეკვავს, სხვაგვარად ცეკვა მას არც შეეძლო, ფილმის ავ-კარგს კი მე ვერ განვსჯი.

რამდენიმე წლის მერე, არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მან „დონ-კიხოტი“ დადგა, ბატონმა ვახტანგმა გვიამბო, რომ არგენტინაში წაღებული ჰქონდა ჩემი ფილმი „ცეკვის ჯადოქარი – ვახტანგ ჭაბუკიანი“ და ეს ფილმი ბუენოს-აირესის ტელევიზიით აჩვენეს, მეორე დილით კი სახელგანთქმული თეატრის „კოლონის” დასი სრული შემადგენლობით შეეგება მას თეატრის შენობის შესასვლელთან და ნამდვილი ოვაცია გაუმართა...

Vakhtang Chabukiani was brought to the office. I began the work with much responsibility and emotion... I knew Chabukiani quite well by now. My elder daughter, Maka, had become the soloist of the ballet company after graduating, and she was one of Chabukiani's favourites. While working on the film I experienced how much love is felt my a man working on the beloved topic.

We all worked with a lot of focus, collecting great deal of film material, among it the *Don Quixote* fragment with Chabukiani, captured by the American film makers 35 years ago. We recorded interviews with G. Ulanova, M. Plisetskaya, R. Struchkova, T. Vecheslova; with one of Chabukiani's first partners and close friends Elene (Lyalya) Chikvaidze; with her famous son, the People's Artist of USSR Mikhail Lavrovsky, and others; In the Bolshoi Theatre we captured the *Le Corsaire* variations staged and reworked by Chabukiani specially for Lavrovsky..

This was my first attempt at film directing and I worked not only with great pleasure, but with a lot of responsibility too. The interviews of well-known artists turned out interesting; Chabukiani's dancing was fabulous - he could not have done otherwise; the overall quality of the film should not be judged by me though.

Several years later, after returning from Argentina, where he staged *Don Quixote*, Mr. Chabukiani told us that he had taken my film *The Wizard of Dance - Vakhtang Chabukiani* with him on tour and it was broadcasted on the Buenos Aires TV; the next morning the famous *Colon* company met him in front of the Theatre entrance with grand applause...





## დაჯილდოვდნენ ჭაბუკიანის მედლით

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერმა გიგი უგულავამ ვახტანგ ჭაბუკიანის მედალი დააარსა, რომელიც ჭაბუკიანის შემოქმედების უკვდავყოფის საქმეში გაწეული ღვაწლის, საბალეტო ხელოვნებაში გამორჩეული წარმატებებისა და საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილისთვის ენიჭებათ. 28 მაისს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, ვახტანგ ჭაბუკიანის მედალი გადაეცათ: ვახტანგ ჭაბუკიანის პარტნიორს, საქართველოს სახალხო არტისტს ვერა წიგნაძეს, საქართველოს სახალხო არტისტს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პედაგოგ-რეპეტიტორს ლილიანა მითაიშვილს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის წამყვან სოლისტებს ლალი კანდელაკს და ვასილ ახმეტელს, საბალეტო დასის სოლისტს ოთარ ხელაშვილს, დასის მოცეკვავეს ანა ალბუთაშვილს და სხვა პირებს.





## AWARDED THE VAKHTANG CHABUKIANI MEDAL

In regard to the 100 Years Anniversary of the birth of Vakhtang Chabukiani, Mr. Gigi Ugulava, the Tbilisi Mayor, has established the Vakhtang Chabukiani Medal, awarded for the merit in popularization of the work of Vakhtang Chabukiani, outstanding success in field of ballet, and extraordinary share in popularization of ballet art. On 28 May, at the Tbilisi Youth Palace, the Medal was awarded to: Vera Tsignadze – People's Artist of Georgia, Liliana Mitaishvili – Ballet Coach of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre, Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli – Leading Soloists of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company, Otar Khelashvili – Soloist of the Ballet Company, Anna Albutashvili – dancer of the Company, among others.





# სეზონის დახურვა



ნინო ანანიაშვილი სეზონის დახურვის დროს
NINA ANANIASHVILI AT THE CLOSING OF THE SEASON

158-ე თეატრალური სეზონი საბალეტო დასმა 7 ივნისს დახურა. რუსთაველის თეატრში Ballet Gala გაიმართა. საღამოში მონაწილეობდნენ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის სოლისტები და მსახიობები. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტები: „ბიზე ვარიაციები“ (ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია), „Falling Angels” (ირჟი კილიანის ქორეოგრაფია), ფრედერიკ ეშტონის პა დე დეები და ჯორჯ ბალანჩინის „Duo Concertant”. გალა-კონცერტის დასასრულს მაყურებელს სიტყვით მიმართა საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა მაყურებელს სეზონის განმავლობაში გამოჩენილი თანადგომისათვის და მომავალი სეზონიდან საინტერესო პროექტების განხორციელებას დაჰპირდა. გალა-კონცერტი მაყურებლისთვის მომზადებული სიურპრიზით დასრულდა – შესრულდა ვ. კახიძის მუსიკაზე გია მარღანიას მიერ დადგმული „კინტაური“.

სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტის შემდეგ ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში, სადაც მიმდინარეობდა გალა-კოცერტისათვის მზადება, სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი წვეულება გაიმართა.

საბალეტო დასს სეზონის წარმატებით დახურვა მიულოცეს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრებმა, იაპონიის ელჩმა საქართველოში ბატონმა მასაიოში კამუჰარამ და მოწვეულმა სტუმრებმა.



ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი.
„გაზაფხულის ხმები“
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI.
*VOICES OF SPRING*

## Closing of the Season

The 158th season was rounded off by the Ballet Company on June 7. The Ballet Gala was presented at the Shota Rustaveli Theatre, starring the Prima Ballerina Nina Ananiashvili, the soloists and actors of the Company. The program consisted of one-act ballets *Bizet Variations* (choreography by Alexei Ratmansky), *Falling Angels* (choreography by Jirí Kylián), several pas de deux by Sir Frederick Ashton and *Duo Concertant* by George Balanchine. The Artistic Director Nina Ananiashvili addressed the audience at the end of the evening, expressed her gratitude for their support to the Company and promised them more interesting projects for the next season. The gala was concluded by a surprise piece – *Kintauri* by G. Marghania, staged on the music by V. Kakhidze.

After the gala, the closing of the season was marked at the celebratory event at the Griboedov Russian Drama Theatre.

The Company was congratulated by the members of the Friends of Georgian Ballet, the Ambassador of Japan to Georgia Masayoshi Kamohara and the attending guests.

# ირმა ნიორაძე თბილისში

პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე ამჯერად თბილისს ფესტივალ „ქართული სულის“ პროგრამის ფარგლებში ეწვია. 25 მაისს რუსთაველის თეატრში მან ნ. რიმსკი-კორსაკოვის ბალეტ „შეჰერე-ზადას“ პრემიერა იცეკვა (მ. ფოკინის ქორეოგრაფია. აღდგენილ იქნა ა. ლიეპას მიერ). სპექტაკლი თბილისში მარის ლიეპას საქველმოქმედო ფონდის ხელშეწყობით და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით განხორციელდა. ირმა ნიორაძეს პარტნიორობას უწევდა საბალეტო სამყაროს აღიარებული მოცეკვავე ფარუხ რუზი-მატოვი. სპექტაკლში მონაწილეობდა ქართული საბალეტო დასი.


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და ირმა ნიორაძე
ILIA II THE CATHOLICOS-PATRIARCH OF GEORGIA AND IRMA NIORADZE

პროგრამის მეორე განყოფილებაში პრიმა-ბალერინამ შეასრულა რამდენიმე ცნობილი საბალეტო მინიატურა („კარმენი“, „მომაკვდავი გედი“ და ნაწყვეტი ბალეტი-დან „ლეგენდა სიყვარულზე“). საკონცერტო პროგრამაში ასევე მონაწილეობდნენ საბალეტო დასის მსახიობები, რომლებმაც შეასრულეს ლ. გოშტალკის „ტარანტელა“ (ჯ. ბალანჩინის ქორეოგრაფია – ნ. მათიაშვილი, ი. მერგალიევი) და ა. კნაიფელის „ფრთები“ (გ. ალექსიძის ქორეოგრაფია – ა. ალბუთაშვილი, ო. ხელაშვილი). საღამოს დაესწრო უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.


ირმა ნიორაძე, ფარუხ რუზიმატოვი. „შეჰერეზადა“
IRMA NIORADZE, FAROUK RUZIMATOV. *SCHEHEREZADE*

## Irma Nioradze in Tbilisi

Prima Ballerina Irma Nioradze visited Tbilisi again, this time in frame of the *Georgian Spirit* festival. On May 25 she danced at the Rustaveli Theatre, performing in *Sheherezade* by N. Rimsky-Korsakov (choreography by M. Fokine, reconstructed by A. Liepa). The performance was held with support of the Maris Liepa Charity Foundation, the Tbilisi Opera and Ballet State Theatre and Nina Ananiashvili. Partnering Nioradze was a well known international dancer Farouk Ruzimatov. The State Ballet of Georgia took their part in the performance.

The second part of the program saw the Prima Ballerina feature in several ballet miniatures (*Carmen, The Dying Swan* and the fraction from the ballet *Legend of Love*). The program also starred the actors of the Ballet Company, performing L. Gottschalk's *Tarantella* (choreography by George Balanchine – N. Matiashvili, Y. Mergaliev) and A. Knaifel's *Wings* (choreography by George Aleksidze – A. Albutashvili, O. Khelashvili). The evening was attended by the Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II.





# „ვარსკვლავი“ ვარსკვლავებს

# Star for the Stars

საბალეტო სამყაროს ამომავალი ვარსკვლავების ამორჩევის დღესასწაული თბილისს მეორედ გაზაფხულზე ეწვია. 29 აპრილს, ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო საბალეტო პრემიის „ვარსკვლავის“ გადაცემის ცერემონიალს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა უმასპინძლა. ცნობილი შვეიცარელი იუველირი ჟილბერ ალბერი დაჯილდოების ცერემონიალს და გალა-კონცერტს ვერ დაესწრო. მისი ვიდეომიმართვა თეატრში შეკრებილმა ბალეტის ასობით გულშემატკივარმა იხილა:

THE EVENT OF SELECTING THE RISING TALENTS OF THE BALLET WORLD TOOK PLACE FOR THE SECOND TIME IN TBILISI. ON APRIL 29, THE SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE WAS THE HOST FOR THE AWARDING CEREMONY OF THE NINA ANANIASHVILI AND GILBERT ALBERT INTERNATIONAL PRIZE “STAR”. THE FAMOUS SWISS JEWELLER COULD NOT BE PRESENT AT THE CEREMONY AND THE GALA CONCERT, ALTHOUGH HIS VIDEO ADRESS WAS SEEN BY HUNDREDS OF BALLETOMANES AT THE THEATRE:

„ფერწერისა და სკულპტურისგან განსხვავებით, ცეკვის ხელოვნება ზოგმა შეიძლება ეფემერულად მიიჩნიოს. არაფერი მსგავსი. ეს არის ხელოვნება, რომელიც ალამაზებს ჩვენს მეხსიერებას და აკაშკაშებს ბალეტის  ვარსკვლავებს.

მე და ნინოს გვსურდა ძვირფასი ვარსკვლავები შემოგვეთავაზებინა თქვენთვის. ისინი ამ გალა-საღამოს მოგონებად  დარჩებიან და ცეკვისადმი ჩვენი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურება იქნება“.

**ჟილბერ ალბერი**

Some could deem the art of dance as ephemeral, in contrast to those of painting and sculpture. But there is no truth in that. This is the art that beautifies our memories and makes ballet stars shine.

Me and Nina wanted to present precious stars to you. They will stay as memories of this gala evening and be another proof of our love to dance.

**Gilbert Albert**

საერთაშორისო აღიარება წელს ქართველ ბალერინას, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვან სოლისტს ნინო გოგუას და ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერს დევიდ ჰოლბერგს ხვდათ წილად.

გალა-კონცერტზე ნინო გოგუამ თეთრი ადაჟიო შეასრულა „გედების ტბის“ მეორე მოქმედებიდან და მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი ადაჟიო იური პოსოხოვის ერთმოქმედებიანი ბალეტიდან „საგალობელი“. დევიდ ჰოლბერგმა კი ფრედერიკ ეშტონის საბალეტო მინიატურა „*Dance of the Blessed Spirits*” და შავი პა დე დე პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“ (ლალი კანდელაკთან ერთად).

„არაბესკი“ ესაუბრა „ვარსკვლავის” ახალ ლაურეატებს:

This time the Prize was granted to Nino Gogua, the Leading Soloist of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company, and David Hallberg, the Principal Dancer of the American Ballet Theatre.

Gogua danced the white adagio from the II act of *Swan Lake*, as well as the popular duo from Yuri Possokhov's one-act *Sagalobeli*. David Hallberg featured in Sir Frederick Ashton's miniature *Dance of the Blessed Spirits* and the black pas de deux from *Swan Lake* (partnering him was Lali Kandelaki).

*Arabesque* talked to the latest laureates of the "Star":



ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲒᲣᲐ, ᲓᲔᲕᲘᲓ ᲰᲝᲚᲑᲔᲠᲒᲘ ᲒᲐᲚᲐ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ
NINO GOGUA, DAVID HALLBERG ON GALA CONCERT

# ნინო გოგუა:

## „ვეცდები კვლავაც გაგახაროთ“

# Nino Gogua:

## "DOING MY BEST TO MAKE YOU HAPPY"



თორნიკე ხომერიკი
TORNIKE KHOMERIKI

**ნინო გოგუას წარმატებებს ჩვენ უკვე მივეჩვიეთ. ბოლო ხუთი წელია მან ბევრი მნიშვნელოვანი პარტია იცეკვა და დასის საგასტროლო ტურნეებზე უცხოელი ბალეტის კრიტიკოსების მაღალი შეფასებები დაიმსახურა.**

**We have grown familiar with Nino Gogua's success. She has danced many significant roles for the last five years and received critical acclaim for her performances during the Company's tours.**

**ნინო, გილოცავთ „ვარსკვლავით“ დაჯილდოებას.**

მადლობას გიხდით მოლოცვისთვის.

**როგორი შთაბეჭდილებები მიიღე გალა-კონცერტზე?**

ხელოვნების სფეროში მოღვაწე ყოველი ადამიანი-სათვის მეტად მნიშვნელოვანია ასეთი აღიარებისა და სტიმულის მიღება. ეს ჯილდო ჩემთვის სწორედ ასეთ სტიმულს წარმოადგენს. აღფრთოვანებული და ემოციურად ამაღლებული ვარ, ჯადოსნურ საღამოსავით იყო. გალა-კონცერტი ხომ ორი ადამიანისათვის – ჩემთვის და დევიდისთვის იყო მომზადებული და ჩვენ მაყურებლისთვის უნდა გვეჩვენებინა, თუ რატომ დავიმსახურეთ ეს ჯილდო.

**როდის შეიტყვე პრემიის ლაურეატი რომ იქნებოდი?**

საღამოს გამართვამდე სულ მცირე ხნით ადრე ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა მითხრა ამის შესახებ. საოცარი ემოციები მქონდა.

**Nino, congratulations on being awarded the Star prize.**

Thank you very much.

**Could you sum up your impressions from the evening?**

For every person of artistic field such appreciation of their work and stimulus for future is very important. I feel very excited and on a high emotional note – it was like a dream evening. This was an evening for two performers, me and David, so it was important for us to show the audience why we were awarded.

**When did you find out that you would be one of the two laureates?**

It happened just a short time before the event actually took place, and to hear it from Nina Ananiashvili was very emotional. I gradually realized the full importance of this event.

**What kind of partner was David Hallberg?**

Unfortunately I did not have a lengthy part with him on the evening, although we had a short piece together at the end of the program. I also had several talks with him, where his attitude towards a partner and poise to make the work process as well as performances easier for them was apparent. And this is a very important personal quality.

**The Star was founded for young talents of dance. What does being the laureate of such prize mean for you?**

It means a lot in this sense. Ballet career unfortunately is very short, and you need to achieve as much as possible in that period. The dancers who have been awarded – Lasha Khozashvili, Yevgenia Obraztsova and David Hallberg – for me they are complete stars, so it is a great honour to receive the same prize.

**David mentioned that he takes pleasure from visiting venues and enjoying ballet performances other than performing himself. Do you have the same interest in watching ballet evenings from the audience?**

Absolutely. First of all, we have a very family atmosphere in our theatre and I have lots of friends around. I view their success as my own, and they treat me the same way. Taking this into account, it is really important to know what people close to you are doing; probably you will not even experience artistic growth if you do not pay attention to events around you.

**Congratulations again for your achievement and we wish you more success in future.**

I will do my best!

**დევიდი როგორი პარტნიორი იყო?**

მასთან აქტიურად არ მიმუშავია. ჩვენთვის დაიდგა მცირე პარტია საღამოს ფინალისათვის. ჩანს, რომ ის პარტნიორის აზრს ითვალისწინებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოცეკვავისთვის.

**„ვარსკვლავი" ბალეტის სამყაროს ახალგაზრდა პერსპექტიული მოცეკვავეებისთვის დაარსდა. რას ნიშნავს შენთვის ამ პრემიის ლაურეატობა?**

ეს პრემია ჩემთვის განსაკუთრებით დიდ ფასს ატარებს. საბალეტო კარიერა სამწუხაროდ მეტად ხანმოკლეა და ამ მოკლე დროში ბევრის მიღწევაა საჭირო. ჩემთვის ასეთი ჯილდოს მიღება დიდი პატივია, რადგან ამ პრემიით უკვე დაჯილდოებული მოცეკვავეები – ლაშა ხოზაშვილი, ევგენია ობრაზცოვა და დევიდ ჰოლბერგი ჩემთვის ნამდვილად შემდგარი ვარსკვლავები არიან.

**დევიდმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ ის დიდ სიამოვნებას იღებს საბალეტო წარმოდგენებისაგან, თუნდაც თავად არ ცეკვავდეს. შენც ხშირად ესწრები შენი კოლეგების გამოსვლებს?**

ჩვენს თეატრში ოჯახური ატმოსფეროა და უამრავი მეგობარი მყავს, რომელთა წარმატებულ ნაბიჯს კარიერაში საკუთარ წარმატებად აღვიქვამ. ასეთივე მიდგომას ვგრძნობ მათგან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნამდვილად საჭიროა ერთანეთის საქმიანობით დაინტერესება და ალბათ არტისტულადაც  ვერ გაიზრდები, თუკი შენს გარშემო მიმდინარე მოვლენებს არ მიადევნე თვალი.

**კიდევ ერთხელ გილოცავთ წარმატებას და მომავალ მიღწევებს გისურვებთ.**

ვეცდები კვლავაც გაგახაროთ!



# დევიდ ჰოლბერგი:

## „ჩემი კარიერა მრავალფეროვანი გახდა“

# David Hallberg:

## "ANOTHER RICH EXPERIENCE FOR MY CAREER"

თორნიკე ხომერიკი
TORNIKE KHOMERIKI



**დევიდ ჰოლბერგმა საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში უკვე მოახერხა საბალეტო სამყაროში აღიარებისთვის მიეღწია. ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერს მსოფლიოს სხვადასხვა თეატრების სცენებზე უწევს გამოსვლა. ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავის“ მისაღებად დევიდი მოსკოვიდან ჩამოფრინდა, სადაც მან „ჟიზელი“ იცეკვა. ინტერვიუ დევიდ ჰოლბერგთან გალა-კონცერტის წინ შედგა:**

David Hallberg has already managed to achieve his share of recognition in ballet world. The Principal of the American Ballet Theatre, he can often be seen on various stages around the world. David travelled to Tbilisi from Moscow, where he performed *Giselle*, to receive the Gilbert Albert and Nina Ananiashvili International Prize *Star*. The interview with him was recorded ahead of the gala performance:

**დევიდ, გმადლობთ რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა თბილისში.**

გმადლობთ, აქ ყოფნა ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა.

**როდის გაიგეთ რომ „ვარსკვლავის“ ლაურეატი გახდით?**

ქალბატონი ნინოს სახელით დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ მას ჩემი მოწვევა და დაჯილდოება სურდა. ეს ჩემთვის მეტად ამაღელვებელი იყო. თუმცა ეს გასულ გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. რამდენჯერმე გადაიდო და დაგვჭირდა ძალისხმევა, რათა ყველაფერი დაგვეზუსტებინა და თარიღიც განსაზღვრულიყო. ამ პერიოდში მოსკოვში გახლდით და თბილისში ჩამოსვლასაც მხოლოდ მოკლე ფრენა დასჭირდა. ქალბატონი ნინო მეტად ხელგაშლილი მასპინძელია – მან ფართოდ გამიღო როგორც თეატრის, ისე საკუთარი სახლის კარი.

**როდესმე ეჭვი გაგიჩნდათ, რომ ეს ღონისძიება შესაძლოა არ შემდგარიყო?**

სრულიად შესაძლებელი იყო ჩემი ჩამოსვლა და გალა-კონცერტში მონაწილეობის მიღება ვერ მომეხერხებინა, რადგან დატვირთული განრიგი მაქვს და ძნელი აღმოჩნდა ჩვენი გეგმების თანხვედრა. თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჯილდოს მისაღებად აქ ვყოფილიყავი და მეცეკვა კიდეც.

**საქართველოში ჩამოსვლასა და გალა-კონცერტში მონაწილეობის მიღებას ისე უყურებთ, როგორც კიდევ ერთ ახალ გამოცდილებას?**

ნამდვილად ასეა – საქართველოში აქამდე არ ვყოფილვარ. ამ ჯილდოს მიღებაც ალბათ იმის ნიშანია, რომ მაღალი დონის პროფესიონალი ხარ, ან ადამიანთათვის გარკვეულ მაგალითს წარმოადგენ, რაც ჩემთვის მეტად სასიამოვნოა. ჩემთვის საინტერესოა ვნახო დასი, რომელსაც ქალბატონი ნინო ხელმძღვანელობს. ეს ყველაფერი ნამდვილად დამამახსოვრდება – ასეთი შთაბეჭდილებები ჩვენს კარიერას მრავალფეროვნებას მატებს.

**ნინო ანანიაშვილს თქვენ ABT-ში პარტნიორობას უწევდით მის ბოლო სეზონზე. ერთად იცეკვეთ ბალეტში „სილფიდა“.**

შემიძლია განვაცხადო, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ამაღლევებელი მოცეკვავეა იმათგან, ვინც სცენაზე მინახავს. მასზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. დღეს ბევრი დიდ ყურადღებას აქცევს ცეკვის ტექნიკურ მხარეს, ზოგჯერ ემოციურ მხარეზე მეტადაც კი. ქალბატონი ნინო კი განსაკუთრებული შემთხვევაა. მისი ცეკვა არაა მხოლოდ ფეხის მოძრაობები, სწრაფი ტრიალი და მაღალი ნახტომები. იგი ძლიერი, ემოციური მოცეკვავეა – გაჩვენებთ, თუ რას თამაშობს.

**ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერობამდე იყო არც თუ გრძელი გზა თქვენი კარიერისა. საბალეტო განათლების მიღება არიზონას ბალეტში დაიწყეთ ჯუან ჰანის ხელმძღვანელობით, რომელიც, როგორც აღნიშნავთ, მეტად მკაცრი პედაგოგი იყო. ეს თქვენთვის სასარგებლო გამოცდილება აღმოჩნდა?**

ის ჩემთვის მამასავით იყო საბალეტო სკოლაში. ყურადღება, რომელსაც მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ვგრძნობდი, ნამდვილად სასარგებლო იყო. ასეთივე ყურადღების ქვეშ ვიყავი ამერიკის ბალეტის თეატრში, სადაც მოცეკვავედ ჩამომაყალიბეს. საკმაოდ ბევრ შეცდომას ვუშვებდი და არტისტული თვალსაზრისითაც ბევრის სწავლა მჭირდებოდა. ვფიქრობ, ბევრ დასში მოცეკვავეებისაგან ყველაფერს ერთბაშად ითხოვენ. ჩემს შემთხვევაში ასე არ იყო და ამით კმაყოფილი ვარ.

**2000 წლის ზაფხული ABT-ს ინტენსიურ საზაფხულო კურსზე გაატარეთ, რის შემდეგაც პარიზის ოპერის საბალეტო დასში გაემართეთ ისე, რომ არც სტიპენდიით სარგებლობდით და მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე იყავით. ამანაც დადებითი გავლენა მოახდინა თქვენზე?**

ნამდვილად ასე იყო. ეს მეტად რთული გამოცდილება გამოდგა, რადგან ისე მიმიღეს, როგორც უცხოელი. მეტად სასარგებლო იყო ატმოსფერო, რომელსაც იქ ვგრძნობდი. პარიზის გაცნობა, დასში მუშაობა, სკოლაში სწავლა – ამ ყველაფრის შემდეგ ჩემი მსოფლმხედველობა გაფართოვდა.

**თქვენ არაერთხელ აღნიშნავთ კლასიკური ბალეტის მკაცრი ხასიათის შესახებ. პარიზში ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა?**

ეს აზრი ჩემს პედაგოგთან მუშაობის გამო ჩამომიყალიბდა, თუმცა არასდროს შევწინააღმდეგებივარ სიმკაცრეს. ასეთ მუშაობას მიჩვეული ვიყავი, ამიტომ პარიზში სიახლე უფრო ატმოსფერო იყო, ვიდრე სამუშაოს ხასიათი – პედაგოგების გავლისას ფეხზე ადგომა, ინსტიტუციური გარემო და მოსწავლეების განსაკუთრებული პატივისცემა პედაგოგთა მიმართ.

**საბალეტო სპექტაკლის დროს საკმაოდ ხშირად გხედავენ მაყურებელთა დარბაზშიც. ყოველთვის გქონდათ ეს სურვილი, რაც შეიძლება მეტი გენახათ?**

ეს ბუნებრივად გამომყვა მშობლებისაგან. ყოველი კვირის ბოლოს სხვადასხვა თეატრის სტუმარი ვიყავი და წარმოდგენებს ინტერესით ვადევნებდი თვალს. დროსთან ერთად გემოვნებაც შემეცვალა – ნიუ იორკში ცხოვრებით ავანგარდული, არაკლასიკური სტილის მიმართ განმივითარდა ინტერესი და ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის. ასე გაცილებით უკეთ ეცნობი გარემოს და მეტ შთაბეჭდილებას იღებ.

**დევიდ, გილოცავთ ამ ჯილდოს. იმედი გვაქვს, რომ თბილისში მომავალშიც გიხილავთ.**

მადლობას გიხდით. მეც ამის იმედი მაქვს.



დევიდ ჰოლბერგი. DAVID HALLBERG
*DANCE OF THE BLESSED SPIRITS*

**David, thank you for finding time for the interview. It is a pleasure to see you arrive in Tbilisi.**

Thank you, it is really good to be here.

**How did you get involved in plans for the event?**

I was contacted in the name of Nina and informed that she wanted to invite and award me. This was news for me, and I was quite excited about it, but it took two attempts to get me here, as it did not work out from the start. We tried a couple of times, and finally the date was set. I was in Moscow for this time and it was a very short flight from there. She has been such a great hostess, opening up theatre and hosting me at her own house.

**Did you think at some point that this project might not have happened?**

It was possible that I might not have been able to come and receive the prize due to my busy schedule, but I thought it was important that if I was to be awarded, I would need to come and be here.

**Do you see this visit to Georgia and the gala as another fresh experience?**

Most definitely, because I have never been to Georgia and being awarded something is like a recognition that maybe you are making difference, or you are doing something right, or maybe people are influenced by you, which is nice. It is very nice experiencing company under Nina and it is something I will hold a certain memory of. It adds texture to your career.

**You partnered Nina Ananiashvili in her last season with ABT, and you performed together in *La Sylphide*.**

I can say that she is one of the most spontaneous performers I have danced with and one of the most exciting performers I have seen on stage in the sense that she draws audience

into what she is going to give to them. There is a lot to be said about her, because in this generation many people are more interested in technical side than the emotional one, and that is what Nina is so great in, showing what she is portraying and not only pointing her feet, turning faster and jumping higher.  I learned that after a couple of years of watching her perform.

**Let's go back in your career. You started receiving your ballet education at the Arizona ballet, and your teacher was Kee Juan Han, who, as you have mentioned, was a very strict person in terms of training. Was that beneficial for your development?**

Mr. Han was a father figure for me in training and the kind of nurturing he gave me was really beneficial. The same kind of attention was given to me at the ABT, where they really formed me as a dancer. I made a lot of mistakes and needed to learn a lot artistically. I think some of the companies do not wish to be patient with dancers and want to see results right away. That was not the case with me and I really benefited from it.

**After spending the summer of 2000 at ABT's summer intensive, you went to the Paris Opera Ballet school, where you did not have scholarship, and were totally on your own. Was it also a beneficial experience?**



ლალი კანდელაკი. დევიდ ჰოლბერგი. „გედების ტბა“
LALI KANDELAKI, DAVID HALLBERG. *SWAN LAKE*

It was, and it was a very hard experience. They really treated me like a foreigner, and the atmosphere was very influencing. Getting to know Paris, seeing the company perform, being in school, learning French – I walked away really having my eyes open.

**You have also mentioned the strict nature of classical ballet. Was this especially apparent in Paris?**

I had it before from my teacher who was very strict – and I did not question it. It was the way I was used to, so the work itself was not harder than what I did with Mr. Han. It was more like atmosphere – you stood up when teachers went by, and this whole institutional atmosphere and the respect of students to their teachers was very interesting.

**You are quite often found among the audience for various evenings. Did you always have this wish to see as much as possible?**

Yes, it came quite naturally and I think it came from my parents. Every weekend I was at various venues seeing things with this insatiable curiosity about everything. Also, my taste has grown with time – having been in New York now I'm very much into avant garde style, a bit weird one. Weird in the sense that it's not classical. It is really important for me, for developing my dancing. You are so much more aware of your surroundings and experience more.

**David, we congratulate you on receiving the prize and hope to see you in more ballet events here in Tbilisi.**

Thank you very much, I hope so too.

## მიხაილოვსკის თეატრში „ლაურენსიას" პრემიერა შედგა



5 და 6 მაისს სანკტ-პეტერბურგის მიხაილოვსკის თეატრში ბალეტ „ლაურენსიას" პრემიერა შედგა. დიდი ქორეოგრაფის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლის იუბილის აღსანიშნად ბალეტი მიხაილ მესერერმა, თეატრის წამყვანმა ბალეტმაისტერმა დადგა. ვადიმ რუნდინის დეკორაციები ოლეგ მოლჩანოვისა და ვიაჩესლავ ოკუნევის მიერ ხელახლა იქნა შექმნილი. სპექტაკლი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან თანამშრომლობით დაიდგა.

ლაურენსიას წამყვან პარტიას ირინა პერენი (5 ივნისს) და ეკატერინა ბორჩენკო (6 ივნისს), ფრონდოსოს კი – მარატ შემიუნოვი ცეკვავდნენ.

საღამოს მონაწილეებმა პატივი მიაგეს მე-20 საუკუნის დიდი ქორეოგრაფის ხსოვნას. პრემიერის შემდეგ აჩვენეს ფრაგმენტები ფილმიდან ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ.



## *Laurencia* premiered at the Mikhailovsky Theatre

On June 5 and 6 the ballet *Laurencia* premiered at the Mikhailovsky Theatre of St. Petersburg. To celebrate the centenary from the birth of the great choreographer Vakhtang Chabukiani, Michael Messerer, the Ballet Master in Chief of the theatre staged the legendary ballet. The sets by Vadim Ryndin were revived by Oleg Molchanov and Vyacheslav Okunev. The production was staged in association with the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

The title role was danced by Irina Perren (June, 5) and Ekaterina Borchenko (June, 6). Frondoso was performed by Marat Shemiunov.

The participants of the evening paid tribute to the great choreographer of the 20th century. The premiere was followed by fragments of the film featuring Chabukiani.

## საიუბილეო გამოცემები




ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით გამოიცა ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის ფონდების მცველის ლამარა ნებიერიძისა და მუზეუმის დირექტორი დავით ჯანგველაძის წიგნი „ვახტანგ ჭაბუკიანი 100".

„ქართული თეატრის საცავმა" გამოსცა თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშ-ვილის წიგნი „მოვლენა", რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

## Anniversary Editions

The book *Vakhtang Chabukiani – 100* by Lamara Nebieridze – Manager of the Vakhtang Chabukiani Memorial Museum Assets, and David Jangveladze – Director of the Museum, has been published with the support of the Tbilisi City Hall.

The Archives of the Georgian Theatre have published the book *Phenomenon* by the Theatrical Expert Kote Ninikashvili, dedicated to the 100 Years Anniversary of the birth of Vakhtang Chabukiani.

## დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გაიმართა გალა-კონცერტი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. გალა-კონცერტი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა და წარმოდგენილ იქნა ჯორჯ ბალანჩინის („მოცარტიანა“ და „აპოლონ მუსგაეტი“) და ირჟი კილიანის („Sacs Tänze”) ერთმოქმედებიანი ბალეტები.

## Gala Dedicated to the Independence Day

On May 26, marking the Independence Day of Georgia, the Marjanishvili State Drama Theatre hosted a gala concert, attended by the officials of the Ministry of Foreign Affairs and the foreign diplomatic corps representatives. The gala was presented in three acts and featured one act ballets *Mozartiana, Apolo Musagete* (choreography by George Balanchine) and *Sechs Tänze* (choreography by Jirí Kylián).

## ქართული ბალეტი მინსკში




5 ივლისს მინსკში, ბელორუსის რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ აკადემიურ თეატრში, საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო გამართა. ქართული ბალეტის გამოსვლა მინსკში ბელორუსის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა, რომელიც 3 ივლისს აღინიშნა. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტები – „სერენადა“, „საგალობელი“ და „ექვსი ცეკვა“.

ქართული ბალეტის წარმატებულ გამოსვლასთან დაკავშირებით ნინო ანანიაშვილს ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ პირადი მადლობა გადაუხადა.

## The Georgian Ballet in Minsk

On July 5 in Minsk, the capital city of Belarus, the National Academic Opera and Ballet Theater of the Republic of Belarus hosted the State Ballet of Georgia, performing the one-act ballet program. The appearance of the Georgian company was dedicated to the National Independence Day of Belarus, marked on July 3. The program presented ballets *Serenade, Sagalobeli* and *Sechs Tänze.*

Alexander Lukashenko, the President of Belarus congratulated Nina Ananiashvili on the successful performance of the Georgian ballet.

## ბიარიცი, ბურნონვილის საზაფხულო სკოლაში

2010 წლის 25-31 ივლისს, საფრანგეთის საკურორტო ქალაქი ბიარიცი მასპინძლობდა ტრადიციულ საზაფხულო სკოლას ბალეტის ახალგაზრდა მოცეკვავეებისათვის – „ბურნონვილი ბიარიცში“. მეცადინეობებს სკოლაში დანიელი ქორეოგრაფები და ბალეტმაისტერები ფრენკ ანდერსენი, დინა ბიორნი, ან მარი ვესელ შლიუტერი და ევა კლობორგი უძღვებოდნენ. ახალგაზრდა მოცეკვავეები ბურნონვილის სტილსა და ტექნიკას სწავლობდნენ. ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებითა და დაფინანსებით ბიარიცში ჩვენი საბალეტო დასის მოცეკვავეები სოფო ფანცულაია, ეკატერინე ლომინაძე და გიორგი მშვენიერაძე იღებდნენ მონაწილეობას.

## Biarritz, the Bournonville Summer School

During July 25-31, 2010 the Friench resort Biarritz was the place of the traditional Summer School for the young dancers – *Bournonville in Biarritz*. The studies were conducted by the Danish choreographers and ballet masters – Frank Andersen, Dinna Bjoern, Anne Marie Vessel Schlueter and Eva Kloborg. The dance talents studied the Bournonville style and technique. With the organizing and financing of the Friends of the Georgian Ballet, the dancers of our Company – Sopho Phantsulaia, George Mshvenieradze and Ekaterine Lominadze – were taking part in the Summer school program.

## მიღება იაპონიის საელჩოში


საბალეტო დასი იაპონიის საელჩოში
THE BALLET COMPANY AT THE EMBASSY OF JAPAN

იაპონიაში გასტროლიდან დაბრუნების შემდეგ საბალეტო დასი საკუთარ რეზიდენციაში მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ მასაიოში კამუჰარამ და მისმა მეუღლემ ჯუნკო კამუჰარამ. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილი ელჩს და მის მეუღლეს გასტროლის შედეგებზე ესაუბრა და მადლობა გადაუხადა საელჩოს გასტროლის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის.

## Reception at the Embassy of Japan

Upon returning from the Tour of Japan the Company was hosted by the Ambassador of Japan to Georgia, His Excellency Mr. Masayoshi Kamohara and Mrs. Junko Kamohara at the residency. The Artistic Director of the Company Nina Ananiashvili spoke to the Ambassador and his spouse about the Tour and expressed her gratitude towards the Embassy of Japan for the aid in organizing it.



## „მძინარე მზეთუნახავი" ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა ტრადიციულ, ყოველწლიურ შემაჯამებელ საღამოზე, წელს პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“ წარმოადგინა. (მარიუს პეტიპას ქორეოგრაფია. ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა). სასწავლებლის გამოსაშვები საღამო 27 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიმართა და ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. საღამოს საკონცერტო განყოფილებაში შესრულდა ვარიაციები ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტებიდან, კლასიკური და სახასიათო ცეკვები.



მთავარი პარტიები „მძინარე მზეთუნახავში“ სწავლების მე-7 წლის მოსწავლეებმა: ნინო სამადაშვილმა (ავრორა), მარი ელოშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა (სწავლების მე-6-7 წლები. ლურჯი ფრინველი) შეასრულეს.

## *The Sleeping Beauty* at the Choreographic School

The Tbilisi V. Chabukiani State School of Ballet Art presented P. Tchaikovsky's *The Sleeping Beauty* (choreography by Marius Petipa, choreographic edition and staging by Nurki Maghalashvili) at this year's concluding evening. The annual event was held on April 27 at the Rustaveli Theatre, and was dedicated to the 100 years anniversary of the birth of Vakhtang Chabukiani. The concert part of the evening presented the variations from ballets by Vakhtang Chabukiani, as well as classical and character dances.

The leading parts in *The Sleeping Beauty* were performed by the students of the school's 7th year Nino Samadashvili (*Aurora*), *Mari Eloshvili* and *Mamuka Kikalishvili* (6-7th years, *The Blue Bird*).




# ამომავალი მზის ქვეყანაში

ქართული ბალეტის კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა ამომავალი მზის ქვეყანაში. სამი წლის შემდეგ იაპონიაში კვლავ შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თაეატრის საბალეტო დასის გასტროლი. კლასიკური ბალეტები „ჟიზელი“ და „რომეო და ჯულიეტა“ საბალეტო დასმა ქალაქებში ნაგოიაში, ოსაკაში  და ტოკიოში წარმოადგინა. ტოკიოში ქართული ბალეტი ბუნკა კაიკანისა და U-Port-ის პრესტიჟულ 4 000 კაციან დარბაზებში გამოდიოდა. გასტროლში, დასთან ერთად მოსკოვის დიდი თეატრის სოლიტები ანდრეი უვაროვი და მორიხიტო ივატა მონაწილეობდნენ. დასის გამოსვლები იაპონიაში 14 მარტს დასრულდა.

გთვაზობთ იაპონური პრესის გამოხმაურებებს საგასტროლო სპექტაკლებთან დაკავშირებით:




# In Country of the Rising Sun

**Another successful visit of the Georgian ballet in the country of the rising sun. After a three year break, Japan witnessed the tour of the State Ballet of Georgia. Classics *Giselle* and *Romeo and Juliet* were presented by the Company in Nagoya, Osaka and Tokyo. In the capital city the Georgian company danced at the prestigious 4000-seater halls of Bunka Kaikan and U-Port. Performing alongside the Company at the tour were soloists of the Bolshoi Theatre Andrei Uvarov and Morihiro Iwata. The performances were concluded on March 14.**

**We present the Japanese press reaction on the Company performances:**

# პრიმა ბალერინას ნათელი, გამორჩეული ფიგურა

**კეიკო ნაკამურა**

*Yomiuri Online by Yomiuri Shimbun*
*11 მარტი 2010*

„დიდი თეატრის მშვენებად“ ცნობილი ნინო ანანიაშვილი მისი იაპონური დებიუტის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებულ წარმოდგენებს ატარებს. მე ვნახე სპექტაკლი ნაგოიაში (2010 წლის 24 თებერვალი, აიჩის პრეფექტურის ხელოვნების დარბაზი), რომელიც დაახლოებით 20-დღიანი იაპონური ტურნეს პირველ საღამოს წარმოადგენდა.

ის უკვე 6 წელია ამ დასის სამხატვრო ხელმძღვანელია და მეორე იაპონურ გასტროლს ატარებს ქართულ საბალეტო დასთან ერთად. წინა ტურნე სამი წლის წინ შედგა.

დასი ორ პროგრამას წარმოადგენს: ნაგოიაში „რომეო და ჯულიეტა“ (მუსიკა ს. პროკოფიევი, ქორეოგრაფია ლ. ლავროვსკი, 3 მოქმედება) იყო ნაჩვენები.

პირველი მოქმედების პირველი სცენა ვერონას მოედანზე დაძაბული ბრძოლით დაიწყო, რის შემდეგაც მოქმედებამ კაპულეტების სახლში გადაინაცვლა, სადაც წვეულებისთვის ემზადებიან. ჯულიეტა (ანანიაშვილი), ძიძასთან ერთად, მართლაც 14 წლის გოგონასავით ხარობდა. მისი ფერიასავით მსუბუქი მოძრაობები ზუსტად შეესაბამებოდა გოგონას ქცევას.



პირველად ნინო 1991 წლის მსოფლიო საბალეტო ფესტივალზე ვიხილე. მაგრამ, ამ წარმოდგენაში ის გაცილებით უფრო ახალგაზრდა და მშვენიერი იყო, ვიდრე მაშინ. ჰარუკო სუგიმურამ, დიდმა იაპონელმა მსახიობმა, 15 წლის გოგონა 80 წლის ასაკში განასახიერა; კაბუკის ძველმა მსახიობებმაც მოხიბლეს მაყურებელი გოგონათა როლების შესრულებით, თუმცა ბალეტი სრულებით განსხვავდება იმ სპექტაკლებისაგან. ნინო ანანიაშვილმა დიდი თეატრისა და ამერიკის საბალეტო თეატრის უმაღლესი დონის ბალერინას სტატუსი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა. მისთვის ღვთისგან ბოძებულ უნართა რიცხვში ახალგაზრდული ენერგიაც შედის.

მესამე მოქმედება განსაკუთრებულად მშვენიერი იყო. მან ჯულიეტას განცდები მეტად გამომხატველად გადმოსცა – სწრაფი ზრდასრული ნაბიჯებით ის ახალგაზრდა გოგონადან ქალად გადაიქცა. „რომეო და ჯულიეტა“ სიყვარულის, განშორების, ტკივილისა და ტრაგედიის ცნობილი ისტორიაა. ამის გამო სპექტაკლში იყო პანტომიმით დატვირთული სცენები, რომლებიც მოძველებულად ჩანდა. თუმცა, ასეთი შეგრძნებები პრიმა ბალერინას ყოვლისმომცველი პიროვნებით იქნა გადაფარული, რომელიც „გარდაცვლილი“ ჯულიეტას როლშიც კი მშვენიერი იყო.

ანდრეი უვაროვი (რომეო) და მორიხიტო ივატა (მერკუციო), დიდი თეატრის მსახიობები, ბრწყინვალენი იყვნენ – პირველი კეთილშობილებით, მეორე კი – შთამბეჭდავად შესრულებული აწევებით.

გამუდმებით ჩანან სცენაზე საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ისეთი ახალგაზრდა მოცეკვავეები, როგორებიც არიან ლალი კანდელაკი და ვასილ ახმეტელი.

ეკა სურმავა, ნინო გოგუა, მორიხირო ივატა, ნინო ანანიაშვილი, ანდრეი უვაროვი, ანა მურადელი, ანა ალბუთაშვილი
EKA SURMAVA, NINO GOGUA, MORIHIRO IVATA, NINA ANANIASHVILI, ANDREY UVAROV, ANNA MURADELI, ANNA ALBUTASHVILI

# Vivid, Outstanding Presence of A Prima Ballerina

**KEIKO NAKAMURA**

*Yomiuri Online by Yomiuri Shimbun,*
*March 11, 2010*



ნინო ანანიაშვილი, ანდრეი უვაროვი, ალექსეი ფადეეჩევი, მორიხირო ივატა სპექტაკლის შემდეგ. ტოკიო. ბუნკა კაიკანის თეატრი.
NINA ANANIASHVILI, ANDREY UVAROV, ALEXEI FADEECHEV, MORIHIRO IVATA AFTER A PERFORMANCE. TOKYO, THE BUNKA KAIKAN THEATRE

Nina Ananiashvili, admired as "Bolshoi Beauty", has performances commemorating the 20th anniversary of her Japan debut. I saw a performance in Nagoya (February 24, 2010 at Aichi Prefectural Arts Theatre), which was the opening performance of the approximately 20-days-long Japan tour.

She has been Artistic Director of the company for 6 years and this is the second Japan tour for the company, last seen in Japan three years ago.

The company brings two programs; *Romeo and Juliet* was staged in Nagoya (Music by S. Prokofiev, Choreographed by L. Lavrovsky, 3 Acts).

Act I, Scene 1, started with a vigorous skirmish in a square in Verona; the action moved on to the Capulet home, where a ball was about to take place. Juliet (Ananiashvili), as a 14-year-old, cavorted with delight with her nanny. Her light-as-a-fairy movements were exactly like a girl's; it seemed as if she were "love is the loadstone of love".

I saw Nina for the first time at the *World Ballet Festival* in 1991. [In this performance as Juliet] she was much more youthful and pretty, as pure as a lily, compared with that time. Haruko Sugimura, a great Japanese actress, played a 15-year-old-girl when she was in her 80s; similarly, old Kabuki actors have won over the audience with their girl roles. We have these kinds of splendid performances but ballet is totally different from such performances. Nina Ananiashvili has kept her position as a top ballerina at both Bolshoi Ballet and American Ballet Theatre for more than 20 years. Her God-given talents obviously include the youthful spring in her muscles.

Act III was particularly splendid. She danced Juliet's feelings very expressively – with quick running steps she transformed from a young girl to a woman through her falling in love with Romeo (Andrei Uvarov). Romeo and Juliet is a well-known story of the joy of love, the pain of separation and above all, the tragedy of star-crossed lovers. Due to this, there were some scenes which felt somewhat old fashioned – the choreography laden with explanatory mime. However, such feelings were driven away with the overwhelming presence of the prima ballerina, who was beautifully expressive even as the "dead" Juliet.

Uvarov and Iwata, both Bolshoi artists, were brilliant – the former particularly for his nobility, the later for his astounding elevation.

In addition, the young dancers of the State Ballet of Georgia, such as Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli are steadily growing up.

# დიდი, მთამბეჭდავი წარმოდგენა ფერია ნინოსაგან

**იაეი ფუკუდა**

*კრიტიკოსი, The Tokyo Shimbun,*
*17 მარტი 2010 (საღამოს გამოცემა)*



ნინო ანანიაშვილი, საბალეტო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვარსკვლავი, იაპონიაში საგასტროლოდ იმყოფება და იცეკვებს ბალეტებში – „ჟიზელი“ და „რომეო და ჯულიეტა“. შესრულდა 20 წელი მისი იაპონური დებიუტიდან, როდესაც მაყურებელი მისმა ბრწყინვალე შესრულებამ მოხიბლა დიდი თეატრის კლასიკურ საბალეტო სპექტაკლებში. ეს წარმოდგენები, იაპონურ სცენაზე, მისი ბოლო გამოსვლა იქნება ჯულიეტასა და ჟიზელის პარტიებში.

ფერიას მსგავსმა ანანიაშვილმა სცენაზე გამოჩენისთანავე თეატრი შემოქმედებით სივრცედ აქცია, რომელიც მისი აურით იყო სავსე. მისი ეს სასიამოვნო უნარი უცვლელი რჩება, თუმცა ახალგაზრდული, დინამიური მოძრაობები ახლა უფრო გამომსახველობითაა დატვირთული, რაც მის პარტიებს მეტ ემოციურობას მატებს.

3 მარტის „ჟიზელის“ მეორე მოქმედების პა დე დეში, როდესაც ის ალბერს (ანდრეი უვაროვი) იხსნის სიკვდილისაგან, ანანიაშვილის შესრულება ოსტატური იყო. ის პოზიდან პოზაზე გადადიოდა და მკლავებით, თავით, სხეულითა და ფეხებით დაუვიწყარ, რომანტიკულ სურათებს ქმნიდა.

5 მარტს, „რომეო და ჯულიეტაში“, მან ჯულიეტას ვნებისა და მწუხარების განცდა რომეოსთან (ანდრეი უვაროვი) პირველივე შეხვედრისთანავე გულით გადმოსცა.

მისმა შესრულებამ გვაჩვენა მსახიობი, რომელიც საკუთარი კარიერის მწვერვალზე იმყოფება და რომელმაც მთელი დარბაზის ოვაცია დაიმსახურა. მისი პარტნიორობა უვაროვთან ბრწყინვალე იყო, უკანასკნელ სცენაში მათმა თამაშმა კი მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

მოწონება დაიმსახურა მერკუციოს პარტიაში მორიჰირო ივატას (დიდი თეატრის ერთადერთი იაპონელი მოცეკვავე) გაბედულმა შესრულებამ.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი შესამჩნევ პროგრესს აჩვენებს. მოცეკვავეებს შორის გამორჩეული იყო ირაკლი ბახტაძე (ტიბალდის პარტიაში).

მხოლოდ დიდი მომავალი შეიძლება ვუსურვოთ საქართველოს სახელმწიფო ბალეტს, ამ გამორჩეულ დასს, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით.

# “From Fairy Nina, Supreme Performances”

**IPPEI FUKUDA**

*dance critic, The Tokyo Shimbun, March 17, 2010 (Evening Edition)*

Nina Ananiashvili, one of the most popular stars in the ballet world today, is currently touring Japan in *Romeo and Juliet* and *Giselle*. This year marks the 20th anniversary of her debut in Japan, when she deeply impressed the Japanese audience with her sublime performances in the same classics with the Bolshoi Ballet. These are her farewell performances in the roles of Juliet and Giselle in Japan.




When the fairy-like Ananiashvili first appeared on the stage, the theatre turned into an artistic space, filled with her aura. This appealing quality remains unchanged; however, her youthful dynamic movements have evolved into deep expressiveness, making her more moving in her roles.

In *Giselle* on March 3, the pas de deux in act 2 – where she saves the life of Albrecht (Andrei Uvarov) – was masterful. She flowed into pose after pose, with her arms, head, body and legs forming unforgettable Romantic images.

In *Romeo and Juliet* on March 5, she expressed Juliet’s growing sentiments of passion and sadness with all her heart from her first meeting with Romeo (Andrei Uvarov).

Her performance showed an artist who remains at the peak of her powers and excited the applause of the entire theatre. Her partnership with Uvarov was brilliant and their acting at the last scene deeply moved the heart of the audience. Her feelings for Japan can be said to be reflected in the performance.

As Mercutio, the bravura dancing of Morihiro Iwata (the only Japanese dancer with the Bolshoi) drew much applause.

The State Ballet of Georgia is making remarkable progress and Irakli Bakhtadze (as Tybalt) was notable among the dancers.

One can only wish glory for the future of the distinguished company led by Nina.

# SPOLETO FESTIVAL USA 2010

## სპოლეტოსა და ჯეიკობს ფილოუს ფესტივალებზე

## At the Spoleto and Jacob's Pillow Festivals



9 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი საგასტროლოდ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში ეს ქართული ბალეტის მესამე გასტროლია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად მათ ისევ მოუხდათ სპოლეტოსა და ჯეიკობს ფილოუს პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალებზე გამოსვლა. სპოლეტოს ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა ბალეტი „ჟიზელი“, ჯეიკობს ფილოუში კი ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა („ბიზე ვარიაციები“, „საგალობელი“, ფრედერიკ ეშტონის პა დე დეები, ბალანჩინის „Duo Concertant” და ირჟი კილიანის „Falling Angels”). საბალეტო დასთან ერთად სპოლეტოს ფესტივალზე გამოდიოდა კოვენტ გარდენის სამეფო ბალეტის პრემიერი დავით მახათელი, ჯეიკობს ფილოუს ფესტივალზე კი დანიის სამეფო ბალეტის სოლისტი სებასტიან კლობორგი. ორთავე მოცეკვავეს კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი. ისინი ბოლო პერიოდში რამდენჯერმე მონაწილეობდნენ ჩვენს სპექტაკლებში თბილისში.

ამერიკაში ქართული ბალეტის გასტროლს ეხმიანება ამერიკული პრესა:

**On June 9 the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Ballet Company traveled to the United States on the third tour to the country in last five seasons. This time they performed once more at the Spoleto and Jacob's Pillow festivals. The Spoleto event saw the Company present *Giselle*, while Jacob's Pillow was treated to a mixed bill program (*Bizet Variations*, *Sagalobeli*, Several pas de deux by Sir Frederick Ashton, *Duo Concertant* by George Balanchine and *Falling Angels* by Jirí Kylián). The Royal Ballet Principal Dancer David Makhateli danced alongside the Company at the Spoleto, while Sebastian Kloborg of the Royal Danish Ballet performed together with the State Ballet of Georgia at the Jacob's Pillow. Both dancers are well known to the Georgian audience, as they have featured in productions staged in Tbilisi.**

**The US press reacts to the tour of the Georgian ballet in the States:**


Aberdeen
Fort Bragg
Fayetteville
Pineville
Blewett Falls Lake
RICHMOND
Monroe
Marshville
Wadesboro
Raeford
Celriver
ANSON
Rockingham
Hamlet
E. Rockingham
Hope Mills
Parkton
St. Pauls
SCOTLAND
Laurinburg
Red Springs
Maxton
Cape Fear
Pageland
Ruby
Mount Croghan
Chesterfield
Lancaster
Brooklyn
LANCASTER
Cheraw
McColl
Tatum
Pembroke
ROBESON
Lumberton
Elizabethtown
Jefferson
CHESTERFIELD
Angelus
Elgin
Pleasant Hill
Heath Springs
Great Falls
Bennettsville
Clio
Kershaw
Patrick
Society Hill
MARLBORO
Blenheim
Dunbar
Rowland
Fairmont
Little Rock
Hamer
Liberty Hill
McBee
Bethune
Bingham
Dillon
Hartsville
Dovesville
DILLON
Lake View
Whiteville
Oak Grove
Sellers
Floyd Dale
Latta
Kemper
Fork
Fair Bluff
Chadbourn
Ridgeway
Zion
Windy Hill
Mullins
Nichols
Florence
Marion
Green Sea
Tabor City
Effingham
MARION
Centenary
Galivants Ferry
Loris
Pamplico
Hyman
Aynor
Gresham
HORRY
Little River
Poston
Conway
Johnsonville
North Myrtle Beach
Lake Swamp
Hemingway
INTRACOASTAL WATERWAY
Myrtle Beach
Myrtle Beach A.F.B
Kingstree
Nesmith
Socastee
Bucksport
Surfside Beach
Salters
Burgess
Plantersville
Murrells Inlet
Lane
Trio
Andrews
Pawleys Island
Georgetown
Graves
Sampit
St. Stephen
Alvin
Jamestown
North Inlet
Bonneau
McBeth
Bethera
Santee
NORTH I.
CAT I.
Moncks Corner
Cordesville
Shulerville
SOUTH I.
BERKELEY
Oakley
Smoaks
Ridgeville
CEDAR I.
McClellanville
MURPHY I.
Lodge
Canadys
Mount Holly
Williams
Ruffin
Summerville
Givhans
CAPE I.
Ladson
Goose Creek
C. ROMAIN
Cottageville
Hanahan
Wando
Bulls Bay
Walterboro
COLLETON
BULL I.
N. Charleston
CAPERS I.
DEWEES I.
Hendersonville
Jacksonboro
Charleston
Johns Island
ISLE OF PALMS
Early Branch
St. Andrews
Mount Pleasant
White Hall
Meggett
JAMES I.
Yemassee
Green Pond
Yonges Island
JOHNS I.
MORRIS I.
Coosawhatchie
Pocataligo
FOLLY I.
Folly Beach
Stono Inlet
Sheldon
EDISTO I.
KIAWAH I.
SEABROOK I.
Tukan
Tukangbesi
96.00 E
120.21 E
44.31 E
46.00 E
151.50 E
24.32 E
21.45 E
136.31 E
138.56 E

# დასი, რომელიც სასიამოვნო თავგადასავლებს გთავაზობთ

კლაუდია ლა როკო

The New York Times
24 ივნისი 2010

პრიმა ბალერინებმა იციან, როგორ იმოქმედონ მაყურებელზე. სწორედ ასე ხდებოდა ოთხშაბათს ტედ შოუნის სახელობის თეატრში, სადაც ჯეიკობს ფილოუს ცეკვის ფესტივალის გახსნაზე ნინო ანანიაშვილი პუბლიკას თბილად შეხვდა.

ანანიაშვილის დასის ერთ-ერთი საინტერესო მხარე, მისი ისტორია და იმ დღიდან გაჩენილი საერთაშორისო ინტერესი გახლავთ, როცა რთულ მდგომარეობაში მყოფი კოლექტივი მან 2004 წელს გამოაცოცხლა.

თბილისში დაბადებული ანანიაშვილი, რომელიც უკვე დიდი ხანია საერთაშორისო მასშტაბის ფავორიტი ბალერინაა, დასს საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თხოვნის შემდეგ ხელმძღვანელობს. ის ჯერ კიდევ ამერიკის საბალეტო თეატრის წამყვანი სოლისტი იყო და უეცრად სამშობლოში დაბრუნებულ გმირად იქცა. ოთხშაბათის პროგრამა, რომელიც ჯეიკობს ფილოუს აღმასრულებელმა დირექტორმა ელა ბაფმა დაახასიათა, როგორც „მეოცე საუკუნისა და ახლანდელი ბალეტის ერთი კადრი“, ფრედერიკ ეშტონიდან ირჟი კილიანამდე გაიშალა. ეს ანანიაშვილის მიერ, სამხატვრო ხელმძღვანელის ამპლუაში, თავგადასავლების ძიების ისეთ სიყვარულზე მიუთითებს, როგორსაც ის ცეკვისას ამჟღავნებს. დასის მოცეკვავეები თანაბარი დონისანი ჩანან და ანანიაშვილის მსგავსად, მიმზიდველი გულღიაობა და ნაკლები მანერულობა ახასიათებთ. მათ, ტედ შოუნის სახელობის სცენის სივიწროვის მიუხედავად, ტექნიკური შესაძლებლობების დემონსტრირებაც მოახერხეს.

თუმცა პროგრამა, რომელიც ორ საათზე ცოტა მეტხანს გრძელდებოდა, მხოლოდ პერიოდულად იყო საინტერესო. ჩნდება კითხვა, მოახერხა თუ არა დასმა, ბატონი სააკაშვილის მოწოდების შემდეგ, საკუთარი სამხატვრო მიმართულების პოვნა.

თუმცა, შესაძლოა ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ ეს დადგმები დასისთვის საკმაოდ ახალია. ერთის გარდა ყველა სპექტაკლი კოლექტივმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აითვისა და ლოგიკურია, რომ ყველაზე ძლიერი ის ორი ნომერი იყო,

# Flirtatious Bunch, Instigating Playful Adventures

CLAUDIA LA ROCCO

The New York Times
*Published: June 24, 2010*

Prima ballerinas know how to work a crowd, sweeping their arms and eyes up and out as if to embrace the farthest reaches of cavernous theaters. So it was on Wednesday at the Ted Shawn Theater here, when Nina Ananiashvili warmly acknowledged her public on opening night at the Jacob's Pillow Dance Festival.

Never mind that the only things above the stage were humble rafters; you can take the star out of the opera house, but you can't take the opera house out of the star. One of the curiosities of her troupe, the State Ballet of Georgia, is its dual existence as a plucky start-up operation and international attraction since Ms. Ananiashvili revived the floundering company in 2004.

Ms. Ananiashvili, who is from Tbilisi and has long been an intercontinental darling, took control at the request of the Georgian president, Mikheil Saakashvili; one minute she was an American Ballet Theater principal, the next a returning national hero. Wednesday's program, which Jacob's Pillow's executive director, Ella Baff, described in preshow remarks as a "snapshot of ballet in the 20th century and now," stretched from Frederick Ashton to Jiri Kylian. It proves Ms. Ananiashvili to be as adventuresome an artistic director as performer. Her dancers appear equally game, and, like her, have an appealing openness and lack of mannerisms. They also displayed technical skill despite being constrained by the shallow Ted Shawn stage.

But the program, which lasted a little more than two hours, was only intermittently stirring. It's tempting to wonder if the State Ballet of Georgia hasn't quite found its artistic imperative, beyond Mr. Saakashvili's request.

Or perhaps it's that all of these works are so new to the company. All but one were acquired within the last two years, and it seems no coincidence that the two strongest works have either been in the repertory the longest (Balanchine's *Duo*

რომელმაც რეპერტუარში ყველაზე დიდი დრო დაჰყო (ბალანჩინის "Duo Concertant", დადგმული 2006 წელს) ან რომელიც სპეციალურად მათთვის დაიდგა (ალექსეი რატმანსკის მიერ დადგმული „ვარიაციები"). ეს ორი ბალეტი, დანარჩენთაგან განსხვავებით, ცოცხალ მუსიკაზე სრულდებოდა და ორივე უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა, ვიდრე 2008 წელს ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში. საღამოს ყველაზე დინამიური ნომრის წარმოდგენა დანიის სამეფო საბალეტო დასის სოლისტმა სებასტიან კლობორგმა (რომელიც მოწვეული სოლისტის სტატუსით ცეკვავდა) და ნინო გოგუამ შეძლეს "Duo Concertant"-ში.

საკმაოდ სასიამოვნო იყო სხვა ნომრებიც; საინტერესო იყო ანანიაშვილის მიდგომა პროგრამის შედგენის მიმართ და მისი ცეკვის ხილვაც, რომელიც ახალგაზრდულ სიმსუბუქეს და მუსიკალურ ინტელექტს მოიცავდა. პრიმა-ბალერინა „ვარიაციების" არც თუ ისე უმანკო ფლირტში ცეკვავდა. მშვენიერი გახლდათ ხელების მოძრაობის მისეული ნიუანსები და დახვეწილი ნაბიჯები პუანტებით ეშტონის „ტაისში" (1971), რომელსაც სახელი მასნეს ოპერის მედიტაციის მიხედვით ეწოდა.

ამ წარმოდგენაში ის მგზნებარე ვასილ ახმეტელთან ერთად ცეკვავდა, რომელიც ასეთივე ეფექტური იყო ლალი კანდელაკის პარტნიორის როლში, ეშტონის პა დე დეში – „გაზაფხულის ხმები" (1977), რომელიც შტრაუსის მუსიკაზეა დადგმული. ეს დუეტი, მოთამაშე და ტკბილი შესრულებით, ბევრი აწევებით, მორიდებულ ფლირტს წარმოადგენს, რაც გვაჩვენებს ეშტონის მიდგომას – ბალეტის აკადემიური მხარე შემსრულებლებს შორის მსუბუქი ურთიერთობით შეამსუბუქოს. მისი პერსონაჟები თითქმის ყოველთვის ადამიანები არიან, მაშინაც კი (ან შეიძლება, განსაკუთრებით მაშინ), როდესაც ისინი ცხოველებს ასახიერებენ, როგორც ეს 1985 წელს დადგმულ ცოცხალი ხასიათის „კატაში" ჩანს, რომელიც ოთხშაბათს ლანა მღებრიშვილმა შეასრულა.

დამაჯერებლობა აკლდა ანა მურადელისა და ოთარ ხელაშვილის ცეკვას ეშტონის მიერ დელიბის მუსიკაზე დადგმულ „სილვიას" პა დე დეში (1952). მათ თითქოს განსაკუთრებით შეუშალა ხელი სცენის შეზღუდულმა ზომებმა. თუმცა ხელაშვილი ფლობს ძლიერ, სივრცის შთანმთქმელ ნახტომს, მურადელმა კი, იმის მიუხედავად, რომ ფინალური ნაწილისაკენ ფეხმა ცოტათი უმტყუნა, სილვიას შარმი გააცოცხლა.

დასი სრულიად სხვა მხრივ წარმოჩინდა კილიანის "Falling Angels"-ში (1989), რომელიც ათლეტურ, თუმცა მოძველებულ პასუხს წარმოადგენს სტივ რიქის "Drumming"-ზე და საღამოს „ბისზე" – ქართულ ხალხურ ცეკვაზე – „კინტაური", სადაც სოლისტი ნინო გოგუა გახლდათ. ეს იყო განსაკუთრებული სიურპრიზი. „თუკი დაღლილი არ ხართ" – აღნიშნა ანანიაშვილმა, რომელიც, როგორც ყოველთვის შარმს ასხივებდა.


ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲚᲔᲢᲝ ᲓᲐᲡᲘ „ᲟᲘᲖᲔᲚᲘᲡ" ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲙᲝᲣᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲡᲞᲝᲚᲔᲢᲝᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ
NINA ANANIASHVILI AND THE BALLET COMPANY WITH CONDUCTOR ROBERT COLE AFTER THE GISELLE PERFORMANCE. THE SPOLETO FESTIVAL

*Concertant*, added in 2006) or were created specifically for the Georgians (Alexei Ratmansky's witty, adult play on sexual manners, *Bizet Variations*). They were also the only ballets to feature live music, and both looked considerably sharper than they did during the troupe's 2008 stint at the Brooklyn Academy of Music. The Royal Danish Ballet soloist Sebastian Kloborg, appearing as a guest, and Nino Gogua offered the night's most incisive, dynamic performances in *Duo Concertant*.

Certainly, there was plenty to admire elsewhere, in Ms. Ananiashvili's programming and in her dancing, which retains its youthful freshness and musical intelligence. There she was as the not-so-innocent flirt in *Bizet Variations*. And how good to see the supple, nuanced play of her arms and delicate point work in Ashton's *Thaïs* (1971), named for the Meditation from Massenet's opera.

She performed it with the ardent Vasil Akhmeteli, who was equally effective with Lali Kandelaki in Ashton's *Voices of Spring* pas de deux (1977), set to Strauss. Mellow and playful, the duet makes much of traveling lifts and coy flirtations, emphasizing Ashton's penchant for softening ballet's academic side with subtle, witty exchanges. His characters almost always seem like human beings first, even (or perhaps especially) when they are portraying animals, as in the saucy 1985 romp *La Chatte métamorphosée en femme*, danced on Wednesday by Lana Mghebrishvili.

Anna Muradeli and Otar Khelashvili lacked convincing chemistry in Ashton's *Sylvia* pas de deux (1952), set to Delibes, and seemed especially affected by the stage's limitations. But Mr. Khelashvili has a buoyant, space-eating jump, and Ms. Muradeli, though her footwork failed her toward the end, evoked Sylvia's steely charms.

The company showed an entirely different side in Mr. Kylian's *Falling Angels* (1989), an athletic, rather dated response to Steve Reich's *Drumming*, and in the evening's encore, *Kintauri*, a slinky Georgian folk dance led by Ms. Gogua. It was a special surprise, "if you're not tired," Ms. Ananiashvili teased, charming as ever.

# ბალერინა და დასი, რომელიც გაიზარდა

# A ballerina and a troupe grow up

ჯანინ პარკერი
JANIN PARKER

The Boston Globe



ნინო ანანიაშვილის, მსოფლიო ბალეტის ჭეშმარიტი ვარსკვლავის, ხასიათში ყოველთვის იყო რაღაც თინეიჯერული – გლამურულ-თან ერთად გარკვეული ექსტრავაგანტულობაც. საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასიც, რომელსაც ის 2004 წლის შემდეგ ხელმძღვანელობს, ამ თვისების მატარებელია – ზოგჯერ სერიოზულად მოტივირებული, ზოგჯერ კი მოთამაშე, მორცხვი და მსუბუქი. ჯეიკობს ფილოუზე დასის სამი წლის წინანდელი გამოსვლის შემდეგ კოლექტივი თინეიჯერივით მუდმივ ცვალებადობაში იმყოფება.

ისინი საკმაოდ ამბიციურებიც არიან: მათ პროგრა-მაში შვიდი ბალეტია (დამატებით „სიურპრიზთან“ ერთად). ანანიაშვილის გადაწყვეტილება, შესთავაზოს მის მოცეკვავეებს სრულფასოვანი რეპერტუარი, სწორია, თუმცა არაა აუცილებელი ყველა ტიპის ქორეოგრაფია ყოველ წარმოდგენაზე შეასრულონ. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ახალგაზრდა მოცეკვა-ვეები ფიზიკურად და მსახიობურად ჯერ კიდევ არ არიან ასეთი მრავალფეროვანი პროგრამისთვის დახვეწილები. საბედნიეროდ, ამ სირთულეებთან ერთად შეიმჩნევა დასის ზრდაც, განსაკუთრებით მათი ამომავალი ვარსკვლავის – ნინო გოგუას მაგალითზე.

საღამო ბრიტანელი ქორეოგრაფის, ფრედერიკ ეშტონის პატარა დადგმებმა და სრულმასშტაბიანი დადგმების ფრაგმენტებმა გახსნა. ასეთი პროგრამა საკმაოდ რთულია გადმოსაცემად. „ტაისი“ პა დე დეში ანანიაშვილმა და ვასილ ახმეტელმა ჟიულ მასნეს ნოსტალგიურ მუსიკას საკუთარი, რომან-ტიკული შესაბამისობა მოუძებნეს, რაც ანანიაშვი-ლის ჰაერში მცურავ ბურეებსა და ახმეტელის მიერ თავს ზემოთ აწევებში გამოიხატა, სტილის უნებლიე ცვლილებების გარეშე. ახმეტელი ეშტონის სიუიტის ბოლოსაც წარმოგვიდგა ენერგიით სავსე ლალი კანდელაკთან ერთად, „გაზაფხულის ხმების“ პა დე დეში, რომლის მუსიკაც გამონაკლისია იოჰან შტრაუს II-ის პომპეზური მუსიკალური სტილიდან.

„სილვიას“ პა დე დეში ანა მურადელისა და ოთარ ხელაშვილის ლამაზ წყვილს ლეო დელიბის მხიარული მუსიკის შესაფერისი წარმოდგენის გამართვა გაუჭირ-და. ეს აშკარად ნერვიულობას უნდა მივაწეროთ,

Nina Ananiashvili, a true star in the ballet world, has always had a hint of the teenager about her, a little gawkiness alongside the glamour. The State Ballet of Georgia, which she has directed since 2004, shares some of those qualities, at times earnest, playful, shy, and goofy. In the three years since the company's first visit to Jacob's Pillow, the company, like a teenager, has been constantly changing.

And it is rather ambitious: There are seven ballets (and a "surprise" encore) on the program. It's right for Ananiashvili to provide her dancers with such a panoply of repertoire, but they needn't do it all in every perfor-mance. And as yet, her young dancers aren't always up to the physical and artistic subtleties of such diverse programming. Happily, along with growing pains, there is evidence of growing up, most notably in the superb development of the company's own rising star, the ballerina Nino Gogua.

A suite of short works and excerpts from longer pieces by the late British choreographer Frederick Ashton opened the evening. This sort of programming is challenging, as the dancers must authentically convey something larger, a whole world in a thumbnail sketch. In the *Thais Pas de Deux*, Ananiashvili and Vasil Akhmeteli matched Jules Massenet's yearning melody with their own soulful romance – lots of wafting bourrees for her and big overhead lifts for him – without succumbing to bathos. Akhmeteli returned at the end of the Ashton suite to partner the vivacious Lali Kandelaki in the *Voices of Spring Pas de Deux*, a breezy romp somewhat ill-suited to the pomp of Johann Strauss II.

In the *Sylvia Pas de Deux*, the handsome couple Anna Muradeli and Otar Khelashvili struggled but failed to match the playfulness in Leo Delibes's music, the duet's sweet formality overshadowed by apparent nerves. More



ვასილ ახმეტელი, ნინო ანანიაშვილი, საქართველოს ელჩი აშშ-ში ბათუ ქუთელია, დავით მახათელი, ნინო გოგუა. სპოლეტოს ფესტივალი
VASIL AKHMETELI, NINA ANANIASHVILI, BATU KUTELIA – THE AMBASSADOR OF GEORGIA TO THE USA, DAVID MAKHATELI, NINO GOGUA. THE SPOLETO FESTIVAL



ნინო გოგუა და სებასტიან კლობორგი ამერიკელ მუსიკოსებთან ერთად. “DUO CONCERTANT”. ჯეიკობს ფილოუს ფესტივალი
NINO GOGUA AND SEBASTIAN KLOBORG WITH US MUSICIANS.
*DUO CONCERTANT*. THE JACOB’S PILLOW FESTIVAL



საბალეტო დასი ჯეიკობს ფილოუს ფესტივალის სცენაზე
THE BALLET COMPANY ON THE JACOB’S PILLOW FESTIVAL STAGE

რომელმაც დუეტის მშვენიერი ფორმალურობა გადაფარა. მეტად წარმატებული იყო ლანა მღებრიშვილი – მან კატის ხასიათის სრულად გადმოცემა მოახერხა შარმით სავსე, თუმცა მცირე მასშტაბის „კატაში“.

ამდენადვე ახასიათებდა შარმი და მასშტაბის სიმცირე ალექსეი რატმანსკის „ბიზეს ვარიაციების“ პა დე სიზს, რომელიც გარკვეულწილად მსუბუქ ფსიქოდრამას წარმოადგენს, რომელშიც ანანიაშვილის კეკლუცი გმირის გული სრულად ეკუთვნის მგზნებარე, მამაკაცურ ახმეტელს. ამ უკანასკნელის შესრულება ნამდვილად იწვევდა შეყვარებული გმირის შთაბეჭდილებას, მაშინ როცა დანარჩენი მამაკაცები თითქოს მხოლოდ მათი აწევის დროს ელოდნენ.

საღამოს ნამდვილი მშვენება იყო ჯორჯ ბალანჩინის მარტივი “Duo Concertant”, შექმნილი ორი მოცეკვავისა და სცენაზე შემსრულებელი ორი მუსიკოსისათვის (პიანისტი ჯანეტ ფანგი და მევიოლინე დევიდ სათორნი). სპექტაკლში გოგუა და სებასტიან კლობორგი (მოწვეული არტისტი დანიის სამეფო საბალეტო დასიდან) უსმენდნენ მუსიკას ფორტეპიანოსთან, შემდეგ კი თვით ასრულებდნენ ცეკვას იგორ სტრავინსკის დრამატულ მელოდიაზე. სამი წლის წინ გოგუა, მისი მშვენიერი საშემსრულებლო ხაზებითა და ტექნიკით, ვერ ახერხებდა დაძაბულობის გარეშე, თავისუფლად ცეკვას. ახლა ის სრულებით ფლობს საკუთარ თავს და რბილი, მგრძნობიარეა, მოძრაობს თავისუფლად და სრულად. კლობორგი ფიზიკურად ამდენად დახვეწილი არაა – მას მცირე ალეგროს ნაწილებისათვის საჭირო სიმკვეთრე ჯერ კიდევ არ გააჩნია – თუმცა ტემპერამენტით ის კარგად შეესაბამებოდა გოგუას.

ირჟი კილიანის “Falling Angels”-ში რვა ბალერინა თითქოს მარიონეტებივით, მთლიანად სტივ რიქის “Drumming, Part 1”-ის მელოდიით იყო ამოძრავებული. მათი სწრაფად ცვალებადი მოძრაობები ან ერთმანეთთან ახლოს მყოფი ფეხებით სრულდებოდა, ან ერთი მყისიერი მოძრაობიდან მეორემდე შესრულებულ მეთოდურ ნაბიჯებში გამოიხატებოდა. პერიოდულად ისინი იდგნენ ან იწვნენ მათთვის სინათლით გამოყოფილ ოთხკუთედ სივრცეში, თითქოს ყუთში იყვნენ მოქცეულნი – ეს შთაბეჭდილება მათი მეტწილად უნისონური ცეკვით ძლიერდებოდა. სოლოები და დუეტები მხოლოდ ხაზს უსვამდა განმეორებით ხასიათს – სწრაფად მოხრილი მუხლი, ან უცებ გაშლილი მკლავი ისევე იქცევდა ყურადღებას, როგორც წყლის აღელვება გუბის წყნარ ზედაპირზე.

შესრულება მეტად ინტენსიური იყო და ამასთან ერთად, არათანაბარი. ბალერინებიდან ყველა არ ფლობს სხეულის ძლიერ ზედა ნაწილს, რომელსაც ასეთი დადგმა მოითხოვს. ისინი მოქნილნი არიან, თუმცა არ ფლობენ ორგანული ტალღური შესრულების ცოდნას. ამის მიუხედავად, დასმა სირთულეებს გაუძლო და შემოგვთავაზა როგორც კილიანის კარგი წარმოდგენა, ისე მომავლის პერსპექტივა.

successful was Lana Mghebrishvili, evoking all that is stereotypically feline in the charming but scant *La Chatte*.

Also charming though slight was Alexei Ratmansky's "Bizet Variations Pas de Six," a perhaps tongue-in-cheek period psychodrama. Ananiashvili played the coquette whose heart truly belongs to an ardent and virile Akhmeteli. The other women pouted like philistines, and while Akhmeteli looked like he was in love, the other men looked like they were just waiting for the next lift.

The real joy of the evening was George Balanchine's gloriously simple "Duo Concertante," for two dancers and two onstage musicians, pianist Jeannette Fang and violinist David Southorn. Throughout the piece, Gogua and Sebastian Kloborg (a guest from the Royal Danish Ballet) stood at the piano, listening and responding to the dramatic Igor Stravinsky score. Three years ago Gogua, though possessed of a beautiful line and technique, couldn't seem to relax, to just dance. Now she has come into herself, lithe and sensuous, moving with ease and plenitude. Though Kloborg wasn't as refined physically – he doesn't yet have the crispness for the petit allegro sections – he was temperamentally well-suited to Gogua.

The eight women in Jiri Kylian's "Falling Angels" seemed like marionettes propelled almost entirely by Steve Reich's "Drumming, Part 1." They skittered neurotically with their feet close together or stepped methodically from one long lunge to another, like slo-mo cyborg marathoners. Sometimes the women stood or lay down in their own squares of light as if they were boxed in, a sense heightened by the mostly unison dancing. The solos and duets that broke out only underscored the stark repetition: A quickly bent knee or flung out arm caught the eye like a sudden ripple in a quiet pond.

It was rigorous stuff, and uneven in execution. Not all the women have the upper body strength for some of the piece's demands, and though flexible, they don't all know how to undulate organically. Nonetheless the company persevered, leaving us with a worthy Kylian, and the promise of possibility.





ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი. „დემონი“
NINO GOGUA, VASIL AKHMETELI. *DEMON*



გიორგი ალექსიძის დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა მისი ქორეოგრაფია აღადგინა. ქორეოგრაფის საიუბილეო საღამო 11 და 12 მაისს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. გოგი ალექსიძის ქორეოგრაფიის აღდგენაზე მისმა მეუღლემ, საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორმა მარინა ალექსიძემ და ქალიშვილმა, დასის სოლისტმა მარიამ ალექსიძემ იმუშავეს. პროგრამა, რომელიც ორ განყოფილებად იქნა წარმოდგენილი 12 საბალეტო მინიატურისა (ა. ვებერნის, მ. დე ფალიას, ჯ. ფ. რამოს, ო. კარავაიჩუკის, გ. ყანჩელის, ვ. კახიძის, ა. პიაცოლას, ი. დუნაევსკის და ა. კნაიფელის მუსიკაზე) და ბალეტ „დემონისგან“ (გ. ყანჩელის №6 სიმფონიაზე) შედგებოდა.

გთავაზობთ ჟურნალისტ სოფო კილასონიას წერილს, რომელიც გამოქვეყნდა ყოველდღიურ გაზეთ „24 საათში“.

The Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company staged choreography by George Aleksidze, to mark the 70 years anniversary of the birth of the choreographer. The evening took place at the Shota Rustaveli State Drame Theatre on May 11 and 12.
The reconstruction of the choreography was undertaken by Marina and Mariam Aleksidzes. The program, presented in two acts, consisted of 12 ballet miniatures (on music by A. Webern, M. de Falla, J. P. Remo, O. Karavaichuk, G. Kancheli, V. Kakhidze, A. Piazzola, I. Dunaevsky and A. Knaifel) and a full scale ballet *Demon* (on Symphony No. 6 by G. Kancheli).

We present the article by Sopho Kilasonia, published in the daily newspaper *24 Hours*:

# სიცოცხლე მოძრაობაში

## გიორგი ალექსიძე – 70

სოფო კილასონია

*24 საათი, 23.05.10*

„მე, გოგი ალექსიძე დავიბადე 1939 წელს, ქალაქ თბილისში. ადამიანი თავის დაბადებას, პატარაობას ცხოვრების მანძილზე იხსენებს სურათებით, მშობლების და ახლობლების მოგონებებით. ამ სტრიქონებს ვწერ 65 წლის ასაკში, ამ, შეიძლება ითქვას, ცხოვრების მწვერვალიდან, სცენები და კადრები ბავშვობიდან მიკროსკოპიულად დაპატარავებულია და ბინდშია გახვეული...“ – ასე იწყება ვრცელი ტექსტი, რომელიც მოიცავს მის მონოლოგებს, ჩვენს დიალოგებს, ამონარიდებს მოგონებებიდან და გეგმებს იმ მომავლისთვის, რომელიც უკვე მის გარეშე, მაგრამ მაინც ვითარდება. ტექსტი, რომლის სრული და ერთადერთი ვერსია, რომელიც მისგან საჩუქრად დამრჩა, ჯერ მხოლოდ ჩემია, თუმცა ჯერჯერობით... მართალია სრულად მკითხველისთვის ჯერ არ მემეტება, მაგრამ ესეც ჯერჯერობით. არა ერთ რუსულენოვან გამოცემას, მალე ქართულიც შეემატება... წიგნი ადამიანზე, რომელმაც, როგორც თავად თქვა, სიცოცხლე მოძრაობის გარეშე წამითაც ვერ წარმოიდგინა.

გიორგი ალექსიძისთვის 65 წელი მართლა მწვერვალი იყო და არა დასასრული, ეს იმის მიუხედავად, რომ 3 წლის შემდეგ წავიდა. ალბათ მხოლოდ რჩეულები ახერხებენ სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ ისეთებად, როგორებიც იყვნენ „დასაწყისში“ – შემოქმედებითად აქტიურნი, ენერგიულნი, სავსე იდეებით, სურვილებით, მაგრამ ბავშვებივით თავისუფალნი ყოველგვარი ნეგატიურისგან. ალბათ ეს თავისუფლება და სიმშვიდე იყო მიზეზი, რომ ბოლო შეხვედრისას, როცა მითხრა, „მალე წავალ, ბევრი არ დამრჩენია“, მაინც მშვიდად იჯდა, ახალგაზრდა, თანამედროვე მუსიკოსის მიერ შექმნილ ელექტრონულ მუსიკას უსმენდა და ქორეოგრაფიულ მონახაზებს რვეულში „იწერდა“... იმ დღეს თუ ვინმე დარდობდა, თუ ვინმეს ეშინოდა ჩვენს შორის, ეს მე ვიყავი და არა ის.

საკუთარი დადგმების თბილისის საბალეტო სცენაზე ხელახლა ხილვას ბოლო რამდენიმე წელი ელოდა. მართალია, მის სიცოცხლეში ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ 11 და 12 მაისს მის 70 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი მისი დადგმებით გამოვიდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. გიორგი ალექსიძის სხვადასხვა პერიოდის დადგმები მარიამ და მარინა ალექსიძეებმა აღადგინეს.

ქორეოგრაფის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამა ძირითადად ქორეოგრაფიულ მინიატურებს მოიცავდა. ნეოკლასიკისა და მოდერნის სტილში ფოლკლორული, მითოლოგიური თემები და უბრალოდ უსიუჟეტო კომპოზიციები შესაძლოა ავტორის ხელოვნების მასშტაბს ვერა, მაგრამ მისი ხელწერის ტენდენციებს და მსოფლხედვას მაინც ნათლად წარმოგვიდგენს. ალექსიძის ამ დადგმების კამერულ ხასიათს კი რუსთაველის თეატრის სცენა-დარბაზი ადეკვატურ განწყობას მატებდა.

თუ ამ საღამოს კონტექსტს, საიუბილეო თარიღს ჩამოვაშორებთ, აღმოვაჩენთ, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი საკუთარ სარეპერტუარო ერთ-ერთ ხაზს აგრძელებს – მის ერთმოქმედებიან ბალეტებსა და მცირე საბალეტო ოპუსებს ამიერიდან ალექსიძის მცირე დადგმებიც შეემატება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთში, კონკრეტულად ევროპაში საავტორო, ორიგინალურ ბალეტს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე დადგმა, რომელსაც წარმოგვიდგენს, შესაძლოა დასის საგასტროლო რეპერტუარშიც აღმოჩნდეს და წარმატებაც დაიმსახუროს. მით უფრო, რომ ქორეოგრაფის ქალიშვილმა, მარიამ ალექსიძემ, აღნიშნული მინიატურებიდან რამდენიმე დამოუკიდებელ გასტროლებზე ევროპის სხვადასხვა ქალაქში უკვე რამდენჯერმე შეასრულა და ყოველ ჯერზე „ბისზე“ გავიდა.

საბალეტო საღამო რამდენიმე ნაწილად დაიყო. არ ყოფილა ვინმე, ვინც გიორგი ალექსიძეზე გვესაუბრებოდა. მხოლოდ მისი ხელოვნება და კიდევ მისი მონოლოგი – ჩანაწერი, რომელიც პერიოდულად ისმის და განმარტავს დეტალებს – მუსიკის როლს, არჩევანის თავისუფლებას, ფორმას ხელოვნებაში და ა.შ.

საღამოზე, ქორეოგრაფიული მინიატურების გარდა, მხოლოდ ერთი შედარებით მასშტაბური დადგმა – „დემონი“ (მუსიკა – გია ყანჩელის მე-6 სიმფონია) გახლდათ წარმოდგენილი, რითიც დასრულდა ქორეოგრაფიული საღამო, თუმცა ყანჩელი, სხვებთან ერთად, მანამდეც ისმის... რაც შეეხება „დემონს“, რომ ნინო გოგუას დახვეწილი ფორმები და პლასტიკა ამ ძალიან პრეტენზიულ დადგმას და ალექსიძისთვის დამახასიათებელ სტილიზირებას არა თუ უძლებს, ძალიან იხდენს. ამ შემსრულებლის წყალობით დადგმა გახდა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ძალიან სანახაობრივი. ქორეოგრაფია კი ძალიან მეტყველი.

პროგრამაში ჩართული გახლდათ ბალეტის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი დადგმა „ტანგოს მაგივრად“, რომელსაც ისევ ლალი კანდელაკი, ისევ არაჩვეულებრივად ასრულებდა. ქართველი მაყურებლისთვის ნაცნობია ასევე კნაიფელის „ფრთები“. მაგრამ საღამოს პროგრამა რამდენიმე ისეთ მინიატურასაც გვთავაზობდა, რომლებიც ქორეოგრაფმა სერიოზული ტრავმის შემდეგ, სიცოცხლის ბოლო წლებში უკვე პეტერბურგში დადგა და თბილისში პირველად შესრულდა. მათ შორის უნდა გამოვარჩიო „შუშანიკის ტანჯვა“, რომელსაც პირველ შემადგენლობაში ნინო ოჩიაური, ხოლო 12 მაისს ლანა მღებრიშვილი ასრულებენ. დრამატიზმი, რომელიც ამ დადგმაში უკიდურესია და რომელიც საერთოდ ალექსიძის ბოლო დადგმებში ძალიან თვალსაჩინოა, ზოგადად მისთვის მანამდე დამახასიათებელი ლაღი მანერის ფონზე, ორივე მოცეკვავის მიერ კარგად, მაგრამ განსხვავებულად არის გააზრებული, რაც მათი განსხვავებული პლასტიკით და შინაგანი დინამიკითაც აიხსნება.

გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამოს ყველაზე ორიგინალური და დასამახსოვრებელი სახე მაინც მარიამ ალექსიძის წითელი გახლდათ, წითელი – კოსტიუმი და ამ ფერის ადეკვატური ტემპერამენტი, რომლითაც ფლამენგოს მონახაზებსა და ალექსიძის სტილის არითმიას აერთიანებდა.

არ ვიცი დარჩება თუ არა „გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო“ თბილისის სახელმწიფო საბალეტო დასის რეპერტუარში. ფაქტია, რომ მომსწრე გავხდი თუ როგორ კარგად მიიღო მაყურებელმა ის და რამდენად დიდი იყო ინტერესი. არ ვიცი რა დარჩება ალექსიძისგან დღევანდელ დასს, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი რა დაგვრჩა ჩვენ, ვინც მას ვიცნობდით, როგორც მასწავლებელს, როგორც რესპონდენტს, როგორც მეგობარს, ეს არის მისი მოწოდებები – შემოქმედებითი თავისუფლების, უბრალოდ თავისუფლების და სიყვარულის, საქმისა და სიცოცხლის სიყვარულის შესახებ.

„ცხოვრების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეცადო გახდე უკეთესი, თავისუფალი შენი უსაშველოდ დაბნეული აზრებისგან, ვნებებისგან, შიშისგან. არ უნდა მისცე სხვებს უფლება იბატონონ შენ შინაგან სამყაროზე, ყველას თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს... სიცოცხლე არ უნდა გაფლანგო... უნდა გაუფრთხილდე სულიერ სიმშვიდეს. ყველაფერი წარმავალია, ამიტომ ნუ განიცდი წვრილმანებს და რაც მთავარია, იყავი ყოფითზე ცოტა უფრო მაღლა.“



მარიამ ალექსიძე. „ორი ესპანური სიმღერა“
MARIAM ALEKSIDZE. *TWO SPANISH SONGS*

# Life in Movement

## GEORGE ALEKSIDZE - 70

**SOPHO KILASONIA**

*24 Hours*



"I, George Aleksidze, was born in 1939 in Tbilisi. Man recalls his birth and childhood with pictures and memories of parents and relatives. These lines are written by me at the age of 65, when frames of childhood are seen diminished and as in fog, from this so-called 'peak' of life…" – this is the beginning of a extensive text encompassing his monologues, our dialogues, fragments from memories, and plans for the future that goes on, now without him. This text, in its full and only version, is left to me from him, and belongs only to me, at least yet... It is hard for me to share it in full with readers, yet. Numerous Russian editions will be enriched by a Georgian one soon... The book about the man who, in his own words, could not imagine life without movement, even for a second.

ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი. „ტანგოს ნაცვლად“
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI. *INSTEAD OF A TANGO*

For George Aleksidze, 65 years was the peak, and not the end, despite that he passed away 3 years after. Perhaps only the chosen manage to stay until the end like they were at the 'beginning',– active in artistic work, energetic, full of ideas, wishes, but free of anything negative, like children. Probably this freedom and calmness was the reason, that during our last meeting, when he said "I will leave soon, not much is left for me", he still sat calmly, listening to the electronic music of a modern young musician, and 'noted' the choreographic sketches in notebook… Of us two, it was me who was concerned and afraid that day.

He had been waiting for the last few years to see his productions restaged in Tbilisi. While it did not happen during his life, the ballet company of the Tbilisi Opera and Ballet Theatre presented his works in the Shota Rustaveli Theatre on May 11 and 12, to mark the 70 years anniversary of his birth. George Aleksidze's stagings from various times were reconstructed by Mariam and Marina Aleksidzes.

The anniversary evening program consisted mainly of the choreographic miniatures. The neoclassical and modern mythological themes, as well as simple plot-less compositions may not display the scale of author's artistic work, but definitely present his signature trends and ideology. And the mood for the chamber character of these productions was augmented by the Rustaveli Theatre stage-hall.

If we separate the anniversary context from this evening, it can be discovered that the ballet company of the Tbilisi Opera and Ballet Theatre carries on with one of its repertory lines – the miniature stagings by Aleksidze will join the one-act ballets and minor ballet opus'. Taking into account the significance that is attached to author's ballets of original work in Europe, it can be speculated that several of the works presented today and tomorrow could find their place in the company's touring repertory and enjoy success in this manner. Especially as Mariam, the choreographer's daughter, has already performed several of the mentioned miniatures on individual tours to several European cities and enjoyed curtain calls each time.



The evening was split into several parts. There was nobody speaking to us about George Aleksidze. It was just his art and his monologue, which periodically explains the details like the role of music, freedom of choice, form in art, and so on.

Besides the miniatures, a work of a larger scale – *Demon* (Symphony No.6 by Gia Kancheli) was presented, which concluded the evening. Kancheli's music can also be heard before that, though… And regarding *Demon* it can be said that Nino Gogua's exquisite physique and plastics not only endure this pretentious production with Aleksidze's stylistics, but suits it to itself well. Thanks to this performer the work has become not only interesting, but beautiful to witness, while the choreography is very telling.

*Instead of a Tango*, well-known to the balletomanes, was also included in the program, and performed marvelously by Lali Kandelaki, again. *Wings* by Knaifel is another piece familiar to the Georgian audience. But the evening treated us to several miniatures staged by the choreographer in St. Petersburg, after suffering the significant trauma, and performed in Tbilisi for the first time. Among them should be noted *The Martyrdom of Queen Shushaniki*, with Nino Ochiauri in the first cast, and Lana Mghebrishvili on May 12. The drama, reaching its peak in this work, and characteristic to the Aleksidze's last stagings in contrast to his earlier free manner, is acknowledged, although differently, by both dancers. This can also be explained by their different plastics and inner dynamics.

Although the most original and significant image of the evening was the red of Mariam Aleksidze - the red costume and the appropriate temperament, encapsulating the flamengo lines and arrhythmics of Aleksidze's style.

It is difficult to know if *The Evening of Choreography by George Aleksidze* will retain its place in the ballet company's repertory, although I can be definite about the warmth the audience received it with, and the interest towards it. I do not know what today's company will inherit from Aleksidze, although I know for sure what will stay with us, the ones who knew him as a teacher and a friend – it is his calls for artistic freedom, freedom in general, and love towards the work and life.

"The essence of life is to become better, to become free from your utterly confused thoughts, passions, fear. You must never let others reign over your inner world, as everybody has their own life… You must not waste life… You must cherish your spiritual calmness. Everything is ephemeral, so do not worry about trivialities and most importantly, stay slightly above the earthly matters."



ბალერინა, რომელიც ბალეტის სამყაროში „შავი მარგალიტის“ სახელით არის ცნობილი.

ბალანჩინის მუზათაგან ერთ-ერთი, რომლისთვისაც მან ლეგენდარული ბალეტი „ბროლის სასახლე“ შექმნა.

ქართული წარმოშობის თამარა თუმანოვას საინტერესო ცხოვრებისეული ისტორია და ანა პავლოვას გულსაბნევი, რომელიც თუმანოვამ ნინო ანანიაშვილს აჩუქა.

THE BALLERINA, KNOWN AS THE BLACK PEARL IN THE WORLD OF BALLET.

ONE OF THE BALANCHINE'S INSPIRATIONS, FOR WHOM THE LEGENDARY *LE PALAIS DE CRISTAL* WAS CREATED.

HERE IS THE STORY OF TAMARA TOUMANOVA AND HER GEORGIAN ORIGIN, AND ANNA PAVLOVA'S NECKLACE, GIVEN AS GIFT BY TOUMANOVA TO NINA ANANIASHVILI.

თამარა თუმანოვა. ფოტო ნინო ანანიაშვილის არქივიდან
TAMARA TOUMANOVA. PHOTOGRAPH FROM NINA ANANIASHVILI'S ARCHIVES

## ბალეტის „შავი მარგალიტი“

# თამარა თუმანოვა

## THE BLACK PEARL OF BALLET

# Tamara Toumanova

ილია თავბერიძე
ILIA TAVBERIDZE

თამარ თუმანოვა საქართველოში არასდროს ყოფილა. სხვა ქვეყანაში დაიბადა. უჩვეულო ისტორიაა: რუსეთი არეულობას მოეცვა. ევგენია თუმანიშვილი შორეულ ციმბირში მიდიოდა. მეუღლეს უნდა შეხვედროდა – კავკასიის სამხედრო ოლქის ექიმს კონსტანტინე ზახაროვს. სწორედ მატარებლის ვაგონში გაჩნდა თამარი... კონსტანტინე ზახაროვს ევგენია თუმანიშვილი ძმამ, ზაქარია თუმანიშვილმა, გააცნო და მათი ქორწინების ინიციატორიც თავად გახლდათ. „ჩემი მშობლები ომმა და რევოლუციამ დააშორა“ – დაწერს მოგვიანებით თუმანოვა. ვლადიმერ ხაზიდოვიჩ-ბორეცკი კი, რომელიც ყველა პუბლიკაციაში თუმანოვას მამად არის მოხსენიებული, როგორც ჩანს, ევგენია თუმანიშვილის მეუღლე იყო მეორე ქორწინებიდან. ხაზიდოვიჩ-ბორეცკის თამარ თუმანიშვილის აღზრდაზე დიდი ღვაწლი ქონია. მაგრამ მისთვის მაინც დედა იყო ყველაფერი.

Tamara Toumanova had never been to Georgia. She was even born abroad, which was not an ordinary story – it happened in train, while Evgenia Tumanishvili was on her way to the Siberia to meet her spouse Konstantin Zakharov – the Doctor at the Caucasian Military District. Zakharov and Evgenia were acquainted via her brother Zakaria, also the initiator for their marriage. “My parents got separated by the war and the revolution”, wrote Toumanova later. Vladimar Khazidovich-Boretsky, cited as her father in all later publications, seems to be Evgenia Tumanishvili’s husband from the second marriage. He is regarded as having had significant influence on Tamar Tumanishvili’s opbringing, although mother was all for Tamara.

Evgenia was never a dancer, although she loved ballet much – The Mariinsky Theatre, evenings of which she often attended, was then in awe of Preobrajenskaya. Inspired by her, she wished to enter her child into a ballet school.

The family first arrived to Shanghai from Vladivostok, and then moved to Cairo, although Evgenia said once: “I want my daughter to be raised in Paris”, and that is what happened. One of the things that made Paris more appealing was that Preobrajenskaya was teaching there. It was difficult to accept Tamara at the age of five, while the Russian ballet schools received the children at seven. Still, she was accepted, and soon Toumanova was dancing in Anna Pavlova’s company. Preobrajenskaya changed her surname to Toumanova. In 1929, Diaghilev’s ballerinas – Tatiana Chamie and Natalya Branitskaya – invited the mother and the daughter to the Sarah Bernhardt Theatre, for the program of Nabokov’s *Ode* and Balanchine’s *Apolo Musagete*. During the intermission Tamara was introduced to Diaghilev, Balanchine and Lifar by Tchelitchew: “This is the girl I saw at the Paris Opera; her dance is magnificent.” Toumanova was 10 years old and this was her first meeting with Balanchine, who was trying to establish himself in Europe and to create a company. Not much time had passed since the meeting until Balanchine arrived at Preobrajenskaya’s studio to see Toumanova. Alongside Tamara, he selected Irina Baronova and Tatiana Riabouchinska – the pupils of Preobrajenskaya and Matilda Kshesinskaya.

ევგენია მოცეკვავე არ ყოფილა, მაგრამ ბალეტი უყვარდა – მარიას თეატრში, რომლის სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდა, იმ დროს პრეობრაჟენსკაიას აღმერთებდნენ. მისი სიყვარულით შთაგონებულს შვილი ბალეტზე უნდოდა მიეყვანა.

ვლადივოსტოკიდან შანხაიში ჩასული დედა-შვილი შემდეგში კაიროში გადავიდა საცხოვრებლად. „ჩემი შვილი პარიზში უნდა გაიზარდოს“ – თქვა ერთხელ ევგენიამ და ოცნება აისრულა. პარიზში ცხოვრება განსაკუთრებით მომხიბვლელი მას შემდეგ გახდა, რაც შეიტყვეს, რომ პრეობრაჟენ-სკაია აქ ბალეტს ასწავლიდა. თამარას მიღება გაუჭირდათ, ხუთი წლის იყო. რუსულ ბალეტში სწავლებას კი შვიდი წლის ასაკიდან იწყებდნენ. მაინც დაიტოვეს. მალე პატარა გოგონა უკვე ანა პავლოვას დასში ცეკვავდა. პრეობრაჟენსკაიამ გვარი შეუცვალა და თუმანოვად მონათლა. 1929 წელს დიაგილევის ანტრეპრიზის ბალერინებმა ტატიანა შამიმ და ნატალია ბრანიცკაიამ დედა-შვილი თუმანოვები სარა ბერნჰარდტის თეატრში მიიწვიეს. პროგრამაში ნიკოლოზ ნაბოკოვის „ოდა“ და ჯორჯ ბალანჩინის „აპოლონ მუსაგეტი“ იყო. ანტრაქტზე, სცენის უკან, ჩელიშევმა პატარა ბალერინა თუმანოვა დიაგილევს, ბალანჩინს და ლიფარს წარუდგინა: „ესაა ის პატარა გოგონა, რომელიც პარიზის ოპერაში ვნახე. ის განსაცვიფ-რებლად ცეკვავს“. თუმანოვა 10 წლის იყო. ეს მისი პირველი შეხვედრა იყო ბალანჩინთან, რომელიც ამ დროს ევროპაში ცდილობდა დამკვიდრებას, დასს ქმნიდა. ამ შეხვედრის შემდეგ დიდი დრო არ გასულა – ბალანჩინი პრეობრაჟენსკაიას სტუდიაში თუმანოვას სანახავად მივიდა. მასთან ერთად პრეობრაჟენსკაიას და მატილდა კშეშინსკაიას მოსწავლეები – ირინა ბარონოვა და ტატიანა რიაბუშკინა შეარჩია. ასე გახდა თუმანოვა ბალანჩინის „Baby Ballerina”, გოგონა, რომელსაც ბალანჩინმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა: „დუბროვსკაია ვარსკვლავია, თუმცა მეორე ვარსკვლავი თქვენი ქალიშვილი იქნება“ – უთქვამს ბალანჩინს ევგენიასთვის.

თუმანოვამ დიდი საბალეტო კარიერა 13 წლის ასაკში დაიწყო. ბალანჩინი მისთვის განსაკუთრებული ადამიანი იყო. მან საკუთარ თავზე აიღო პატარა გოგონაზე ზრუნვა. რამდენიმე ბალეტიც დაუდგა – „Cotillon” (1932), „მოცარტიანა“ (პირველი ვერსია 1933). მალე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ბალანჩინი ამერიკაში გაემგზავრა, თუმანოვა კი კვლავ ევროპაში აგრძელებდა გამოსვლებს. ის, რომ ბალანჩინი მის ცხოვრებაში შემთხვევითი პიროვნება არ იყო, თუმანოვამ ყოველთვის იცოდა. დღიურშიც ჩაუწერია – „თამარიჩკა, ფრთხილად იყავი!... ის ყველა ქალისთვის საურველი ჯენტლმენია“.




ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲤᲐᲓᲔᲔᲩᲔᲕᲘ, ᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲣᲛᲐᲜᲝᲕᲐ, ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ. 1987
ALEXEI FADEECHEV, YURI GRIGOROVICH, TAMARA TOUMANOVA, NINA ANANIASHVILI. USA 1987

This is how Toumanova became the 'Baby Ballerina' of Balanchine, and the girl destined for greatness by him. "Doubrovska is a star, although your daughter will be the next one.", Evgenia was told by him.

Toumanova's big ballet career started at the age of 13. Balanchine was a special person for her, and he cared for the little girl. He staged several ballets for her – *Cotillon* (1932), *Mozartiana* (the first version dated 1933). Soon they were apart, as Balanchine traveled to America and Tamara carried on performing in Europe. He was not an ordinary person in her life, and Toumanova knew it. She even wrote in her diary – "Look out, Tamarichka! He is the most wanted gentleman for every lady."

Later she also moved to the United States and starred in a Broadway musicle *Star in Front of Us*. The movie career proved successful for her, starring in *Days of Glory* by Casey Robinson in 1944 and partnering Gregory Peck. Relationship with Robinson became bigger than the work, and they married in the Russian-Greek Orthodox Church of St. Mary in California. Later she recalled seeing Balanchine, when he approached her and said: "How could I have missed the marriage of my own daughter?"



თამარა თუმანოვა და ნინო ანანიაშვილი. აშშ. 1987
TAMARA TOUMANOVA AND NINA ANANIASHVILI. USA 1987

Balanchine was never indifferent to her. In 1946 he proposed that they moved Paris Opera, and one day she was called to a rehearsal, where Balanchine met her with a smile and told her about the big plan of staging *Le Palais de Cristal* on *Symphony in C* (the title the ballet itself received later) by Bizet. This is how Toumanova became the performer of the second part of the production – the adagio. She performed it with Roger Ritz. The premiere was triumphant, and when she moved down to the audience while on partner's knee, the audience met it with amazement. She was accompanied by her beloved 'Mamushka' at every performance, the person Tamara credited for her successful career. Balanchine introduced Evgenia Tumanishvili to Karin von Aroldingen in Los Angeles, during the New York City Ballet tour: "This is Toumanova's mother. When Tamara was in Paris Opera, Evgenia softened her pointes so that she would not feel pain."

In 1989, the family of painter Gia Pkhakadze in Tbilisi received the phone call from Tamara Toumanova, with sad news of her mother passing away. Gia Pkhakadze is the grandson of Toumanova's uncle Zakaria Tumanishvili. She wanted her mother to be buried in Tbilisi after she would pass away herself, as the mother's grave was the greatest of treasuries for her. Evgenia Tumanishvili's epitaph, in the United States, reads: "The Princess Evgenia Tumanishvili" – she was the descedant of the noble Tumanishvilis family, who descended from the Mdivan-Begi of King Erekle.

Gia Pkhakadze recalls that his grand father Zakaria Tumanishvili tried to meet his sister and her daughter before his passing away, and even met Yekaterina Furtseva, the Minister of Culture of USSR for this matter. Plans for Toumanova's tour to Moscow were almost done, although the conditions from the American side demanded the traveling of their own orchestra, which ended the possibility of the successful outcome. And so ended his hopes to see his sister and Tamara. Zakaria Tumanishvili maintained correspondence with Evgenia during the period of him being in political repression, especially after the war, when he was partly rehabilitated.

Vladimer Ukhtomsky, the partner to Toumanova, visited Tbilisi in the 70ies, asked for her relatives in the Opera Theatre and even visited Zakaria Tumanishvili's house, although the latter was ill at the time, passing away soon after.

The unique photograph at the beginning of the article was brought to Tbilisi to Nina Ananiashvili by Alexander Vasiliev, the well-known fashion historian and designer. The photo depicts Tamara Toumanova in the Georgian dress. An interesting story about Toumanova is told by Ananiashvili herself. She was told about Toumanova by Tamara Finch, the interpreter for the Bolshoi Theatre company and the former Diaghilev ballerina, during the tour of the company to the Covent Garden. Finch promised her to send the Georgian ballerina's regards to Toumanova, and Ananiashvili recalls the emotion of hearing from Yuri Grigorovich that Tamara Toumanova was visiting the Bolshoi company during their tour of the United States to see her. "I was shocked, did not even know what to say to her... she came in, congratulated me on successful performances, handed over a small box, and said: "This necklace belonged to Anna Pavlova. She gifted it to me, wnd now I would like you to wear it, to have it as a present from me." I can not relay the feelings of that moment. I was astonished, freezed. I often called her after the meeting, and wanted to dedicate a concert to her, although she was already ill and could not leave home due to the medical procedures."

Tamara Toumanova, the Black Pearl of the Ballet world, passed away on May 29, 1996 in Santa Monica. She is buried at the Hollywood Forever Cemetery, alongside her mother.

მოგვიანებით თუმანოვაც ამერიკაში გადავიდა და 1939 წელს ბროდვეის მიუზიკლში – „ვარსკვლავი ჩვენს თვალწინ“ მიიღო მონაწილეობა. კინოკარიერა მისთვის ტრიუმფალურად გრძელდებოდა. 1944 წელს კეისი რობინსონმა თუმანოვა თავის ფილმში – „დიდების დღეები“ გადაიღო, სადაც პარტნიორობას გრეგორი პეკს უწევდა. რობინსონთან ურთიერთობა გადასაღებ მოედანს გაცდა. ჯვარი კალიფორნიაში, ღმრთისმშობლის რუსულ-ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწერეს. მოგვიანებით თუმანოვა იხსენდებდა თუ როგორ დაინახა ეკლესიაში ბალანჩინი. „როგორ შემეძლო საკუთარი ქალიშვილის ქორწინება გამომეტოვებინა?“ – უთხრა ბალანჩინმა და მიულოცა.

ბალანჩინი მის მიმართ გულგრილი არასდროს ყოფილა. 1946 წელს ჯორჯმა მასთან ერთად პარიზის ოპერაში გადასვლაც შესთავაზა. ერთხელაც ბალანჩინთან რეპეტიციაზე ის ოპერის რეჟისორმა გამოიძახა. დაგვიანებულ თუმანოვას სარეპეტიციო დარბაზში ბალანჩინი ღიმილით შეხვდა. სწორედ მისგან შეიტყო ბალერინამ, მისი ხმაურიანი გეგმების შესახებ – ბალანჩინი იწყებდა „ბროლის სასახლის“ (Le Palais de Cristal) დადგმას ბიზეს „Symphony in C”-ზე (მოგვიანებით ასე დაერქვა კიდეც ამ ბალეტს). ასე გახდა თუმანოვა ბალეტის მეორე ნაწილის – ადაჟიოს შემსრულებელი, რომელსაც როჯერ რიტცთან ერთად ცეკვავდა. პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა. როცა ბალერინა მაყურებლისკენ დაიხარა, დარბაზში ალტაცების შეძახილები გაისმა. როგორ ყველა წარმატებული გამოსვლის დროს, იმ დღესაც თუმანოვას თან მისი განუყრელი „მამუშკა“ ახლდა. სწორედ დედას უმადლოდა თამარა წარმატებულ კარიერას. ერთხელ, ლოს ანჟელესში, „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ გასტროლისას, ბალანჩინმა ევგენია თუმანიშვილი კარინ ფონ აროლდინგენს წარუდგინა: „ეს თუმანოვას დედაა. როდესაც თამარა პარიზის ოპერაში ცეკვავდა, დედა მის პუანტებს არბილებდა, რათა თამარას ტკივილი არ ეგრძნო“.

1989 წელს თბილისში, მხატვარ გია ფხაკაძის ოჯახში, ამერიკიდან თამარა თუმანოვამ სამწუხარო ცნობით დარეკა. დედის გარდაცვალების შესახებ აუწყა ახლობლებს. გია ფხაკაძე თუმანოვას ბიძის – ზაქარია თუმანიშვილის შვილთაშვილია. თუმანოვას სურდა მისი გარდაცვალების შემდეგ დედის ნეშთი საქართველოში გადმოესვენებინათ, რადგან საკუთარ სიცოცხლეში დედის საფლავზე უფრო ძვირფასი არაფერი გააჩნდა. ამერიკაში დაკრძალულ ევგენია თუმანიშვილის საფლავს ამერიკაში ასეთი წარწერა აქვს – „პრინცესა ევგენია თუმანიშვილი“ – იგი ერეკლე მეფის მდივან-ბეგის შთამომავალთა, ხელთუბნელი თავადი თუმანიშვილების გვარის წარმომადგენელი გახლდათ.

გია ფხაკაძე იგონებს, რომ მისი დიდი პაპა ზაქარია დიმიტრის ძე თუმანიშვილი გარდაცვალებამდე ცდილობდა დას და დისშვილს შეხვედროდა. ამ მიზნით იგი სსრკ კულტურის მინისტრს ცნობილ ეკატერინე ფურცევასაც კი შეხვდა. თითქოს ყველაფერი გადაწყდა, თამარა თუმანოვა მოსკოვში გასტროლზე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ამერიკული მხარე საკუთარი ორკესტრის ჩამოყვანას ითხოვდა, რამაც გასტროლი ჩაშალა. ერთადერთი საშუალება და იმედი – ახლოს ენახა და და დისშვილი საბოლოოდ დაიკარგა. რეპრესირებულ ზაქარია თუმანიშვილს დასთან მიმოწერა სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა. განსაკუთრებით, ომის შემდგომ პერიოდში, როცა ზაქარია უკვე ნაწილობრივ რეაბილიტირებული იყო.

70-იან წლებში თბილისს თამარ თუმანოვას პარტნიორი ვლადიმერ უხტომსკი ეწვია. მან ოპერის თეატრში თუმანოვას ახლობლები მოიკითხა და ზაქარია თუმანიშვილს სახლშიც ეწვია, თუმცა იგი უკვე მძიმედ იყო ავად და მალე გარდაიცვალა კიდეც.

წერილის დასწყისში დაბეჭდილი უნიკალური ფოტო მოდის ცნობილმა ისტორიკოსმა და დიზაინერმა ალექსეი ვასილიევმა საჩუქრად ნინო ანანიაშვილს თბილისში ჩამოუტანა. ფოტოზე თუმანოვა ქართულ სამოსშია.

საინტერესო ისტორიას გვიამბობს ნინო ანანიაშვილი – დიდი თეატრის „კოვენტ გარდენში“ გასტროლისას თუმანოვას შესახებ მას დასის თარჯიმანმა, დიაგილევის ანტრეპრიზის ყოფილმა ბალერინამ თამარა ფინჩმა მოუყვა და შეჰპირდა, რომ მისგან მოკითხვასაც გადასცემდა. ანანიაშვილი დღესაც იხსენებს იმ ემოციას, რომელიც 1987 წელს დიდი თეატრის ამერიკაში გასტროლის დროს განიცადა. იური გრიგოროვიჩისგან შეიტყო, რომ მის სანახავად თავად თამარ თუმანოვა მოსულიყო – „შოკში ჩავვარდი – იგონებს ანანიაშვილი – არც კი ვიცოდი რა უნდა მეთქვა მისთვის... მოვიდა, მომილოცა წარმატებული გამოსვლები და პატარა კოლოფი გამომიწოდა – ეს გულსაბნევი ანა პავლოვას ეკუთვნოდა – მითხრა მან – მე მაჩუქა, ახლა კი მინდა, რომ ის შენ ატარო, ჩემგან სახსოვრად გქონდეს“. ვერ გადმოგცემთ რა გრძნობა დამეუფლა. ერთიანად გავშრი, მთელი სხეული გამეყინა. ამ შეხვედრის შემდეგ ყოველთვის ვურეკავდი. მინდოდა მისთვის კონცერტიც მიმეძღვნა, მაგრამ უკვე იყო ავად, მძიმე პროცედურების გამო სახლიდან გასვლას ვერ ახერხებდა“.

თამარ თუმანოვა, მსოფლიო ბალეტის „შავი მარგალიტი“, 1996 წლის 29 მაისს გარდაიცვალა სანტა-მონიკაში და “Hollywood Forever Cemetery”-ის სასაფლაოზე დედასთან ერთადაა დაკრძალული.

30 მარტს, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილ იქნა ლ. მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“. მთავარი პარტიები ლალი კანდელაკმა (ჩელიტა) და ვასილ ახმეტელმა (ბაზილი) შეასრულეს. ამ სპექტაკლში ქუჩის მოცეკვავის პარტია პირველად იცეკვა ნინო მახაშვილმა, ბოლეროში კი პირველად მოუხდა გამოსვლა ანა გორგიაშვილს. მას პარტნიორობას დავით ანანელი უწევდა.

On March 30, at the Shota Rustaveli State Drama Theatre, *Don Quixote* by L. Minkus was presented. The leading parts were danced by Lali Kandelaki (Chelita) and Vasil Akhmeteli (Basilio). The performance saw the first appearance of Nino Makhashvili as the Street Dancer, while Anna Gorgiashvili danced in Bolero for the first time, partnered by David Ananeli.



ᲑᲝᲚᲔᲠᲝ. ᲐᲜᲐ ᲒᲝᲠᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. „ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ“
BOLERO. ANNA GORGIASHVILI, DAVID ANANIASHVILI. *DON QUIXOTE*



ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ – ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ. „ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ“
THE STREET DANCER – NINO MAKHASHVILI. *DON QUIXOTE*

ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო საბალეტო პრემია „ვარსკვლავის“ გადაცემისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე, 29 აპრილს, რუსთაველის თეატრში პირველად იცეკვეს:

*ლ. დელიბის „სილვია“ (პა დე დე ფ.ეშტონის ქორეოგრაფია) ოთარ ხელაშვილმა, ანა მურადელთან ერთად. ლ. გოშტალკის „ტარანტელა“ (ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია) პირველად შეასრულეს ნინო მათიაშვილმა და იასაუი მერგალიევმა. ჟ. მასნეს „ტაისი“ პირველად იცეკვეს ნინო ანანიაშვილმა და ვასილ ახმეტელმა.*

On the gala concert marking the awarding ceremony of the Nina Ananiashvili and Gilbert Albert International Prize “Star”, on April 29 at the Shota Rustaveli Theatre, the following dancers have had their debuts in respective productions:

*Sylvia by L. Delibes (choreography by Sir Frederick Ashton) – Otar Khelashvili, with Anna Muradeli. Tarantella by L. Gottschalk (choreography by George Balanchine) – Nino Matiashvili and Yassaui Mergaliev. Thais by J. Massenet – Nina Ananiashvili and Vasil Akhmeteli*

7 ივნისს 158-ე თეატრალური სეზონის დახურვისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე ი.შტრაუსის „გაზაფხულის ხმები” პირველად შეასრულეს ლალი კანდელაკმა და ვასილ ახმეტელმა.



საბალეტო დასის სოლისტი როდნი ჯორჯ ქათბერსთონი ახალი სეზონიდან დასში მუშაობას აღარ აგრძელებს. მოცეკვავის ამ გადაწყვეტილების შესახებ, სეზონის ბოლოს გამართულ წვეულებაზე, დასის მსახიობებს ნინო ანანიაშვილმა აცნობა. მან როდნის მადლობა გადაუხადა საბალეტო დასში საქმიანობისათვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

On June 7, in the gala concert dedicated to the closing of the 158th theatrical season, Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli had their debuts in *Voices of Spring* by J. Strauss.

The Company Soloist Rodney Cuthbertson will not be carrying on as the Company dancer, starting from the new season. The decision by the dancer was announced to the Company members by Nina Ananiashvili on the season-closing event. She thanked Rodney for taking his part in the Company performances and wished him the best for the future.

# ახალი სეზონი გაიხსნა

17 სექტემბერს ახალი საბალეტო სეზონი ახალ გარემოში გახსნა საბალეტო დასმა. სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტს „თბილისი არტ ჰოლმა" უმასპინძლა. საბალეტო დასის გამოსვლით გაიხსნა ეს ახალი კულტურული დაწესებულებაა. მაყურებელს მიმართეს ნინო ანანიაშვილმა და „თბილისი არტ ჰოლის" წარმომადგენელმა ნინო წილოსანმა.

საბალეტო სეზონთან ერთად მუშაობა განაახლა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ. „თბილისი არტ ჰოლის" ფოიეში გაიმართა საზოგადოების პირველი შეკრება. საზოგადოების თავმჯდომარემ ელვირა სანდალმა საბალეტო დასს წარმატებული სეზონი უსურვა და საზოგადოების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

## The New Season Has Opened

On September 17 the Ballet Company opened its new season in a new environment. The gala concert dedicated to the event was hosted by the Tbilisi Art Hall, and the gala was the opening event for this new cultural spot as well. The audience was addressed by Nina Ananiashvili and Nino Tsilosani, the representative of the Tbilisi Art Hall.

Along with the new ballet season, the Friends of the Georgian Ballet have also renewed their work. The organization had its first gathering of the season at the foyer of the Art Hall. The chairman Elvira Pietraroia Sandalli wished the Ballet Company a successful season and spoke about the future plans for the organization.







ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ დაასახელა ახალი სეზონის სტიპენდიანტები –
ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები:

Friends of the Georgian Ballet also named the scholarships of the new season –
the following pupils of the V. Chabukiani State School of Ballet Art:

| | |
|---|---|
| ელენე ალაფიშვილი<br>**Elene Alaphishvili** | პერ და ულა ეკლუნდების სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Per and Ulla Eklund** |
| ნიკოლოზ პაპაშვილი<br>**Nikoloz Papashvili** | სარა ვილიამსონის სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Sarah Williamson** |
| გიორგი ბადურაშვილი<br>**Giorgi Badurashvili** | მარიელა ტეფტის სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Mariella Tefft** |
| სვეტლანა მიმინოშვილი<br>**Svetlana Miminoshvili** | ლია მაჭავარიანის სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Lia Matchavariani** |
| ანნა-მარია ონიანი<br>**Anna-Maria Oniani** | ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Lia Gogolashvili** |
| მარიამ გურგენიძე<br>**Mariam Gurgenidze** | მაიუმი ინოს სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Mayumi Iino** |
| თინათინ ხაინდრავა<br>**Tinatin Khaindrava** | მერილის სევილია-გონზაგას სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Marylis Sevilla-Gonzaga** |
| მარიამ ხალვაში<br>**Mariam Khalvashi** | იზუმი ტაკაჰაშის სახელობის სტიპენდია<br>**Scholarship in the name of Izumi Takahashi** |